უმეგობრდებიან ისეთ პირებს, რომლებიც ამ სოციალურ უპირატესობებს (მანდატს) ფლობენ. ეს მათთვის ხდება საშუალება, თავადაც ისარგებლონ იმავე სოციალური რესურსებითა და უპირატესობებით, რომლებსაც ჯგუფის ლიდერები ფლობენ (Evans & Smokowski, 2016). სოციალური კაპიტალის თეორია კარგად ხსნის სკოლის მოსწავლეებს შორის ურთიერთობების თავისებურებებს. მეგობრობა, განცდა იმისა, რომ ინდივიდს ჰყავს ახლობელი თანატოლები, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სკოლის პერიოდში, რადგან მეგობრების ყოლის შემთხვევაში მოზარდებს ნაკლებად ეშინიათ, რომ უარყოფილნი იქნებიან თავიანთი თანატოლების მიერ (Bagwell & Schmidt, 2011). მსხვერპლნი, რომლებიც განიცდიან სოციალური კაპიტალის სიმცირეს, როგორც წესი, არიან სისტემატური ვიქტიმიზაციის ობიექტები - კვლევები აჩვენებს, რომ ძირითადად ისეთი მოზარდები ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი, რომლებსაც არ ჰყავთ მეგობრები, მათ საჭიროების შემთხვევაში რომ გამოესარჩლებიან (Evans & Smokowski, 2016).

სოციალური კაპიტალის თეორია კარგად ხსნის არა მხოლოდ მსხვერპლის ფსიქოლოგიას, არამედ ბუღერის ქცევაზეც ბევრს გვეუბნება. თეორიის თანახმად, სოციალურ კაპიტალს ბუღერი სწორედ ძალადობით აგროვებს და შესაბამისად, მისთვის და ამ სოციალურ ჯგუფში შემავალი ყველა წევრისთვის ბულინგი ერთგვარი ტაქტიკა ხდება სოციალური კაპიტალის და თანმდევი უპირატესობების მოპოვებისთვის (Pellegrini A. , 2002). მიუხედავად იმისა, რომ ბუღერების ქცევა უმეტესად ნეგატიურად ფასდება, ისინი მაინც პოპულარული არიან თანატოლებში. სწორედ ეს პოპულარობა წარმოადგენს სოციალური სტატუსისა და კაპიტალის მოხვეჭის წინაპირობას, რადგან თანატოლების თვალში ბუღერი წარმოჩინდება, როგორც გავლენისა და ძალაუფლების მქონე, რის ფონზეც ისინი მარტივად ხდებიან ამავე ჯგუფის ლიდერები (Evans & Smokowski, 2016). აღსანიშნავია, რომ ბულინგის, როგორც ტაქტიკის, გამოყენება არა მხოლოდ მოძალადეს აგრძნობინებს უპირატესობას, არამედ ამავე ჯგუფის

სხვა წევრებსაც. ამ ტაქტიკით ბულერი ძლიერდება და აძლიერებს მთლიანად ჯგუფს სხვა ჯგუფებთან დაკავშირებით, რითიც ამ ერთობის ყველა წევრი (გარდა მსხვერპლების) სარგებლობს (Evans & Smokowski, 2016). ამავე თვალთახედვით, ბულინგის მსხვერპლთათვისაც ბულინგი ხდება მთავარი ტექნიკა და სტრატეგია მათი სოციალური სტატუსის გაუმჯობესებისთვის. შესაძლოა, ერთ სოციალურ ჯგუფში ბულინგის მსხვერპლმა, სხვა სოციალურ ჯგუფში მოძალადის და ბულერის როლი მოირგოს და ამ ფორმით სცადოს ამ მეორე ჯგუფში თავისი უპირატესობის ჩვენება და სოციალური კაპიტალის მოხვეჭა (Pellegrini & Bartini, 2001) (Evans & Smokowski, 2016).

ამრიგად, სოციალური კაპიტალის თეორია საინტერესო ახსნას გვაძლევს იმისა, თუ რატომ ხდებიან მოზარდები მოძალადეები თუ მსხვერპლნი და როგორ უწყობენ ჯგუფები თუ ინდივიდები ამ პროცესს ხელს.

ჯგუფის კონტექსტში ბულინგის გააზრებას გვთავაზობს **ჯგუფის სოციალიზაციის თეორია** (Group Socialization Theory), რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ასაკის ინდივიდები მიდრეკილნი არიან, რომელიმე ჯგუფის წევრად მოიაზრონ თავი. ჯგუფების ფორმირება ბუნებრივი პროცესია, რომლის მთავარი პრინციპი სხვა ჯგუფებზე დომინანტობის მოპოვებაა (Hymel, McClure, Miller, Shumka, & Trach, 2014) (Harris, 1998 / 2009). დროთა განმავლობაში ჯგუფის წევრები ამ უპირატესობის მოპოვების გზებს ხვეწენ და უფრო მკაფიოს ხდიან ცნებებს - „ჩვენ“ და „ისინი“, რაც ხდება ჯგუფებს შორის შემდგომი დაპირისპირების თუ დისკრიმინაციის მიზეზი (Hymel, McClure, Miller, Shumka, & Trach, 2014). საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს მკველვარი ჰარისი, რომლის თანახმადაც, დაწყებით კლასებში ჯგუფების ფორმირების მთავარი განმსაზღვრელი სქესია, მაშინ, როცა გარდატეხის ასაკში სქესობრივი სხვაობები უკან იხევს და წამყვან პოზიციას იკავებს რასობრივი და სოციალური კლასები, როგორც განმასხვავებელი ან დამაკავშირებელი ფაქტორები (Harris, 1998 / 2009).

კიდევ ერთი თეორია, რომელიც კარგად გვიჩვენებს გარემოს გავლენას აგრესიულ ქცევაზე, **ორგანიზაციული კულტურის თეორიაა**. ამ თეორიის თანახმად, ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი კულტურა და ეს კულტურა გაზიარებული ღირებულებების, ფასეულობების, წარმოდგენების, რიტუალებისა და ჩვევებისგან შედგება (Evans & Smokowski, 2016). სკოლის კულტურა და კლიმატი მნიშვნელოვნად განაპირობებს ახალგაზრდების რისკის შემცველ ქცევებში ჩართვის ხარისხს (Klein, Cornell, & Konold, 2012). მკვლევრებმა - კლაინმა, კორნელმა და კონოლდმა დაადგინეს, რომ მოზარდების რისკის შემცველი ქცევების 66% სკოლის კლიმატით აიხსნება. შესაბამისად, სკოლის კულტურა და კლიმატი პირდაპირ უკავშირდება ბულინგის შემთხვევების ზრდასა თუ შემცირებას.

პოზიტიური სასკოლო კლიმატი და კულტურა განაპირობებს მოზარდების უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის განცდას. პოზიტიური კლიმატის პირობებში მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებების საქმის კურსში არიან და ყველამ იცის, რომ ბულინგი არასდროს იქნება იმ გარემოში მისაღები ქცევა. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ სადაც პოზიტიური სასკოლო გარემოა, იქ ბულინგის ნაკლები შემთხვევები ფიქსირდება (Lee & Song, 2012) (Evans & Smokowski, 2016).

თავის მხრივ, მკვლევრები - გოლდვებერი, ვასვორტი და ბრედშოუ საპირისპირო სურათზე საუბრობენ და განმარტავენ, რომ ნეგატიური სასკოლო კლიმატის შემთხვევაში უმეტესად სკოლებში ბულინგის მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება (Goldweber, Waasdorp, & Bradshaw, 2012). თუ მასწავლებელი მოსწავლეების ბულინგთან დაკავშირებულ პრეტენზიასა თუ წუხილს უყურადღებოდ ეკიდება, ასეთ სასკოლო გარემოში ბულინგის ყველა მომდევნო შემთხვევას სულ უფრო და უფრო ნაკლები მოზარდი უპირისპირდება, რაც ნეგატიურ სასკოლო კლიმატს და ბულინგისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის



(Goldweber, Waasdorp, & Bradshaw, 2012). სასკოლო გარემოზე საუბრისას სასურველია ბულინგის **კონფლიქტის თეორიის** (Conflict Theory) ჭრილში გააზრებაც, რადგან ამ თეორიის თანახმად, სკოლა ქმნის მრავალი თვალსაზრისით კონკურენტულ გარემოს მოზარდებისთვის და სწორედ ეს კონკურენტული ბუნება ხდება კონფლიქტების წინაპირობა. მოზარდებს უწევთ ბრძოლა სოციალური სტატუსის, აკადემიური აღიარების თუ ყურადღების მოპოვებისთვის და ხშირად სწორედ ბულინგი ხდება საშუალება მოზარდისთვის ან მთლიანად ჯგუფისთვის, „მოიპოვონ“ და/ან „გაიმყარონ“ პოზიციები (Bowman, 2018).

ამრიგად, ბულინგის შემთხვევების შემცირებისთვის აუცილებელია, სასკოლო საზოგადოებამ - მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, ადმინისტრაციამ, დირექციამ, მშობლებმა გაითავისონ საკუთარი როლი ბულინგის პრევენციის საქმეში, რაშიც, პირველ ყოვლისა, პოზიტიური სასკოლო კლიმატი ასრულებს მნიშვნელოვან როლს.

#### 1.4 ბულინგში მონაწილე პირები და სომატური გამოვლინებები

ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე საუბრისას მიზანშეწონილია, ბულინგი გავიაზროთ, როგორც ჯგუფში მიმდინარე ფენომენი და შესაბამისად ვიკვლიოთ ის. ამ გარემოების გათვალისწინებით, ჩვენ უნდა გავაკეთოთ დაშვება, რომ ბულინგის დროს, სულ მცირე, ერთ ჯგუფთან გვაქვს საქმე, რადგან მოძალადისა და მსხვერპლის გვერდით ყოველთვის იკვეთებიან სხვა მოსწავლეები და პირები, რომლებიც ან ხელს უწყობენ, ან აფერხებენ პროცესს. მეცნიერთა ნაწილი გვთავაზობს როლების შემდეგ გადანაწილებას (Kaukiainen, 1996):

- ბულერი;
- მსხვერპლი;
- ბულის ასისტენტები (დამხმარეები, თანამონაწილეები);
- ბულის გამაძლიერებლები (პუბლიკა, რომელიც ბულერს მხარს უჭერს და ამხნეებს);
- მსხვერპლის დამცველები;
- აუტსაიდერები (გარეშე პირები, რომლებიც სიტუაციისგან შორს იჭერენ თავს).

ასე რომ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მკვლევრებისთვის ცხადი გახდა, რომ ბულინგის შემთხვევებში იკვეთებოდა რამდენიმე მხარე. პროცესში მონაწილეთა შესახებ კი ყველაზე ბევრი კვლევა სამი მიმართულებით გვხვდება. ეს კვლევები ეხება ბულის (მომალადის), მსხვერპლისა და ე. წ. მოწმეების, სეირის მაყურებლების (Bystander) ფსიქოლოგიური მახასიათებლების კვლევას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბულერი და ასისტენტები, მოწმეები თუ მხარდამჭერები ხშირად მეგობრობენ და ერთ წრეს მიაკუთვნებენ თავს (Lee C. , 2004).

განვიხილოთ ამ ძირითადი როლების დამახასიათებელი თავისებურებები:

- **ვინ არის ბულერი და რა თავისებურებები ახასიათებს მას:**

მომალადის (ბულის) პიროვნული თავისებურებების შემსწავლელი მრავალი კვლევა არსებობს, რომლებზე დაყრდნობით მეცნიერი როსენი საგანგებოდ აღნიშნავს იმას, რომ კარგად უნდა გვქონდეს გააზრებული - მოზარდი აგრესიული ბულერია, თუ უბრალოდ - აგრესიული ბავშვი. როსენი ამ ორ კატეგორიას შორის მთავარ სხვაობად იმას ასახელებს, რომ ბულინგის სახელი უნდა დავარქვათ დამაბულ ურთიერთობას მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მსხვერპლი. კომუნიკაციამ მსხვერპლი უნდა შექმნას და მხოლოდ ასეთი ურთიერთობა შეიძლება მივიჩნიოთ ბულინგად და აგრესიული მოზარდიც -

ბულერად (Rosen, 2017). სხვა შემთხვევაში არა ბულინგთან, არამედ სხვა ტიპის აგრესიულ ქცევასთან, შეიძლება გვექონდეს საქმე.

მეცნიერები - ჰაზლერი, ჰუვერი და ოლივერი ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოზარდს ხელს უწყობს, ჩამოყალიბდეს ბულერად. ესენია (Husler, 1992):

ა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი (სხვებზე დომინანტობის და მათი კონტროლის სურვილი);

ბ. სოციალური პრესტიჟის მოპოვება (სკოლის საბაზო საფეხურზე ბულერები პოპულარობით სარგებლობენ. ეს პოპულარობა კი ზოგჯერ საშუალო საფეხურზეც გადაჰყვებათ ხოლმე);

გ. გარემო ფაქტორები და ოჯახური პირობები (მშობლებთან და მშობლებს შორის კონფლიქტი, სითბოსა და ემოციური მიჯაჭვულობის ნაკლებობა მშობლებთან).

**- ვინ არის მსხვერპლი და რა თავისებურებები ახასიათებს მას:**

ბულინგის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა ფაქტორები/მახასიათებლები განაპირობებს მოზარდის მსხვერპლად გახდომას. ამ თვალსაზრისით მკვლევრები სხვადასხვა დაკვირვებას გვთავაზობენ. საკითხის გარშემო არსებული კვლევების ანალიზის საფუძველზე კულინგფორდმა და ბრაუნმა (Cullingford, 1995) წარმოადგინეს ბულინგის მსხვერპლისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ესენია:

ა. სწავლის პრობლემა;

ბ. ფიზიკური ნაკლი;

გ. მეგობრობის და სხვა სოციალური უნარის დეფიციტი;

დ. ქცევითი პრობლემები.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როგორც წესი, ბულინგის მსხვერპლი ხდება მოზარდი, რომელიც მიღებული ნორმისგან თუნდაც მცირედით, მაგრამ მაინც განსხვავდება და ეს განსხვავებულობა მეტ-ნაკლებად შესამჩნევია. აღნიშნული მოსაზრება მრავალი კვლევითაა გამყარებული.<sup>3</sup> კალინგფორდისა და ბრაუნის კვლევების თანახმად, მოსწავლეების 36% მიიჩნევს, რომ ესა თუ ის მოსწავლე ბულინგის მსხვერპლი ხდებოდა იმიტომ, რომ ის განსხვავდებოდა მასისგან, და ჩამოთვლილი ჰქონდათ ამ „განსხვავებულობის“ დიდი სპექტრი. მათ შორის, ისეთი განმასხვავებლებიც კი, როგორებიცაა თმის ფერი თუ ეთნიკური კუთვნილება (Cullingford, 1995).

ლიზა როსენი ასევე შეისწავლის იმ წინაპირობებს, რომლებიც ხელს უწყობს ბულინგის წარმოშობას. ეს არის მოსწავლის გარკვეული პიროვნული ან სოციალური მახასიათებლები, კერძოდ, წონასთან და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის სიღარიბე და ხელმოკლეობა, სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, ემოციურობა და ხასიათის ხშირი ცვალებადობა. ბულინგის ერთ-ერთ წინაპირობად ისიც შეიძლება იქცეს, კლასში ახალი გადასულია თუ არა მოსწავლე (Rosen, 2017).

ბავშვები და მოზარდები ყოველთვის რომ არ არიან ტოლერანტულები განსხვავებულის მიმართ, ამის თაობაზე წიგნში „განათლების ფსიქოლოგია“ ფართოდ საუბრობს ავტორი. ვულფორკის აზრით, ფიზიკურად, გონებრივად, ეთნიკურად, რასობრივად, ეკონომიკურად ან ენობრივად განსხვავებული ახალი მოსწავლე შესაძლოა, უარყოფილ იქნეს თანატოლთა ჯგუფის მიერ (ვულფოლკი, 2009).

ლიტერატურაში, ასევე, გვხვდება ტერმინი პროვოკაციული მსხვერპლი (Provocative victim). კვლევაში მონაწილე მოზარდები ამბობენ, რომ არსებობენ

---

<sup>3</sup> Wolke, D., Woods, S. and Samara, M. (2009), Who escapes or remains a victim of bullying in primary school?. *British Journal of Developmental Psychology*, 27: 835-851. doi:[10.1348/026151008X383003](https://doi.org/10.1348/026151008X383003)

მათ ირგვლივ ისეთი ბავშვები, რომლებიც „უნდა დააბულინგონ“, რადგან ისინი თავად ახდენენ ამ დამოკიდებულების პროვოცირებას (Ettekal, 2020).

მკვლევარი ლინდსტრომ ჯონსონი მშობლებს სთავაზობს იმ სიმპტომების ჩამონათვალს, რომლებიც მათ მხედველობის არედან არ უნდა გამორჩეთ. ეს სიმპტომებია: მოლაპარაკე, მხიარული ბავშვის უეცარი გარდასახვა მოღუშულ, სიტყვაძუნწ მოზარდად, ძილის დარღვევა, სკოლის უმიზეზო გაცდენა, ღამის კოშმარები, ფიზიკური თუ ემოციური გადაღლა, დაუდგენელი ეტიოლოგიის ტკივილი მუცლის არეში, უჩვეულო აგრესიის გამოვლენა ოჯახის წევრებისადმი, რადიკალური ცვლილება ქცევაში და სხვ. (Johnson, Waasdorp, Gaias, Bradshaw, & Catherine, 2019).

კვლევებში საინტერესო ანალიზი გვხვდება იმ ფსიქოლოგიური შედეგებისა, რომლებსაც ხშირად აწყდებიან ბულინგის მსხვერპლი მოზარდები. სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ მსხვერპლ მოზარდებს სოციალური ტიპის პრობლემები ახასიათებთ. კვლევის თანახმად, სოციალურ პრობლემებში იგულისხმება ასაკთან შეუფერებელი ქცევა, დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი და სხვ. ეს კი საბოლოოდ თანატოლებისგან იზოლირების მიზეზიც კი შეიძლება გახდეს (Kim YS, 2006). სოციალური უნარ-ჩვევების გარდა, ბულინგის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის ანალიზისას იკვეთება მთელი რიგი პრობლემები, რომლებსაც მოზარდები აწყდებიან. ესენია: შფოთვა, გაღიზიანება, აღზნებადობა, დეპრესიის ნიშნები -კვებისა და ძილის რეჟიმის დარღვევა (იგივე შედეგი აჩვენა აშშ-სა და ფინეთში ჩატარებულმა კვლევებმა) (Peskin MF, 2007), (Sourander & Jensen, 2007).

ამ და სხვა ანალოგიურ კვლევაზე დაყრდნობით, ფსიქიატრი რ. სანსონი გვთავაზობს იმ სიმპტომების ჩამონათვალს, რომლებიც ყველაზე ხშირად

ხვდებით პრაქტიკოს ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს ბულინგის მსხვერპლ მოზარდებთან მუშაობისას (Sansone, 2008), კერძოდ:

ფსიქოლოგიური სიმპტომები:

- სოციალური სირთულეები;
- გაღიზიანებადობა;
- დეპრესია;
- სუიციდის მცდელობა/მიდრეკილება;
- კვებითი დარღვევები;
- სხვადასხვა მენტალური დარღვევა.

სომატური სიმპტომები:

- მშრალი ყელი;
- უმადობა;
- თავის ტკივილი;
- ძილის დარღვევა;
- ტკივილი მუცლის არეში;
- სხეულში მტკრევის შეგრძნება - კუნთებისა და ძვლების ტკივილი;
- თავბრუსხვევა;
- გულისრევა;
- სხვადასხვა მედიკამენტზე დამოკიდებულება.

მკვლევარმა სანსონმა ეს ჩამონათვალი როგორც საკუთარი გამოცდილების, ისე არაერთი კვლევის გაანალიზების შედეგად მიიღო. მაგალითად, 2007 წელს აშშ-ში ჩატარებულ კვლევაში 1600 სკოლის მოსწავლე (6-9 წლის) მონაწილეობდა, რომელთაც სტრესის ფონზე აღენიშნებოდათ მომატებული ავადობა, ყელის ტკივილი და გაციება. ამავე წელს დანიაში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა მოზარდებში თავისა და მუცლის ტკივილი, ძილის დარღვევა, უნებლიე შარდვა

ლამით, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ტკივილის შესამცირებლად, სხვადასხვა მედიკამენტზე დამოკიდებულება.

- ვინ არიან ბულერის ასისტენტები და გამაძლიერებლები და რა თავისებურებები ახასიათებთ მათ:

მსხვერპლისა და მოძალადისაგან განსხვავებით, ე. წ. მოწმეების/დამკვირვებლების (bystanders) კვლევა სასკოლო კლიმატთან დაკავშირებით კიდევ უფრო ხშირად გვხვდება, რადგან სწორედ მათი რეაგირება/ინერტულობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბულინგის აღმოცენებისა თუ, პირიქით, შემცირების თვალსაზრისით. ამ ე. წ. დამკვირვებლების კატეგორიას მიეკუთვნებიან, პირველ ყოვლისა, დანარჩენი მოსწავლეები, სკოლის ადმინისტრაცია / მასწავლებლები და მშობლები (Lee C. , 2004).

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის კულტურას და სკოლაში არსებულ კლიმატს დიდი მნიშვნელობა აქვს ბულინგის პროვოცირებისა თუ შემთხვევების შემცირების თვალსაზრისით, აუცილებელია გავიაზროთ, რომ სასკოლო კლიმატზე დიდად ახდენს გავლენას მასწავლებელი, თავისი წარმოდგენებით, განწყობებითა და ღირებულებების სისტემით. სწორედ ამიტომ, როდესაც სკოლის რეაგირებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რამდენად დიდია კონკრეტულად მასწავლებლის როლი ბულინგის პრევენციის თვალსაზრისით. მეცნიერები - შარფი და სმითი კვლევის საფუძველზე ასკვნიან, რომ მასწავლებლების უმრავლესობა ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობს მათ კლასში მომხდარი ბულინგის შემთხვევების შესახებ (Smith & Sharp, 1994).

არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლის როლი და დანიშნულება. აქ პირველი, რაზეც მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ, არის ის, რომ მშობლები ყოველთვის უნდა იყვნენ ფხიზლად და ნებისმიერი უცნაური სიმპტომის

აღმოჩენის შემთხვევაში ადეკვატურად იმოქმედონ (Johnson, Waasdorp, Gaias, Bradshaw, & Catherine, 2019).

## 1.5 კიბერბულინგი

ბოლო ათეული წლებია ბულინგის სივრცედ განიხილება არა მხოლოდ ის ფიზიკური გარემო, რომელშიც მოზარდები იყრიან თავს, არამედ მთლიანად ციფრული სამყარო (ვირტუალური სივრცე), რამაც ბულინგის მასშტაბი და არეალი მნიშვნელოვნად გაზარდა.

კიბერბულინგზე, როგორც აგრესიულ ქცევაზე, დაკვირვება მეცნიერებმა გასული საუკუნის ბოლოს დაიწყეს. ტერმინი „კიბერბულინგი“ კი პირველად ნიუ იორკ ტაიმსის სტატიაში 1995 წელს გამოჩნდა (Bauman, 2011). ამ მიმართულებით კვლევები გააქტიურდა და დღეს Google Scholar-ის საძიებო ველში “კიბერბულინგის“ მითითებისას 50 000-ზე მეტი სტატია იძებნება, რაც სფეროსადმი მზარდ ინტერესს ადასტურებს.

არიზონას უნივერსიტეტის მკვლევრები - მერილინ კემპბელი და შერი ბაუმანი გასული 20 წლის განმავლობაში კიბერბულინგის მიმართულებით ჩატარებული კვლევების ანალიზს გვთავაზობენ და მიდიან დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე ყველაზე მწვავე პრობლემაა კიბერბულინგის შესამცირებელი სპეციალური ეფექტური პროგრამების არარსებობა (Campbell & Bauman, 2018). კემპბელმა და ბაუმანმა სრულად შეისწავლეს კიბერბულინგის მოტივები, მექანიზმები, დინამიკა და საკმაოდ სრულყოფილი განმარტებაც შემოგვთავაზეს:

„კიბერბულინგი თავისი შინაარსით დამაზიანებელი ქმედებაა, რომლის დროსაც ინდივიდების ან ჯგუფის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიები (ინტერნეტი, ელექტრონული ფოსტა, ტექსტური შეტყობინებები, ჩათი, სოციალური ქსელი, ფორუმები და სხვა ციფრული პლატფორმები) გამოიყენება,



რათა ამ გზებით შეურაცხყოფა მიაყენონ სხვა ადამიანს“ - კიბერბულინგის ამ განმარტებას გვთავაზობს მეცნიერი კემპბელი და დასძენს, რომ ეს განმარტება ძალიან ჰგავს ბულინგის სტანდარტულ განმარტებას, მხოლოდ აქ თავს იჩენს სიტყვები - „ციფრული ტექნოლოგიები“ (Campbell & Bauman, 2018). გარდა ამ სხვაობისა, რიგი მკვლევრები კიბერბულინგის კიდევ რამდენიმე თავისებურებას ასახელებენ. ესენია: ანონიმურად დარჩენის შესაძლებლობა, საჯაროობის (დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი რეპლიკების გავრცელების) მეტი არეალი და მისი განმეორების აუცილებლობის არარსებობა. რიგი კვლევების თანახმად, საშუალო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები კიბერბულინგს უფრო მწვავედ აღიქვამენ, ვიდრე სტანდარტულ ბულინგს, რადგან ჩვეულებრივი ბულინგის შემთხვევაში პრობლემა უფრო ლოკალურია და დროში განსაზღვრული (Sticca, 2013), მაშინ, როცა კიბერბულინგის დროს ძალადობა ვირტუალურ სივრცეში შეიძლება მეორდებოდეს/სრულდებოდეს მუდმივად (Campbell & Bauman, 2018).

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ კიბერბულინგი ბულინგის ერთგვარი განშტოებაა. როგორც წესი, თუ მოზარდი ყოფილა ბულინგის მსხვერპლი, მას აუცილებლად აქვს კიბერბულინგის გამოცდილება. გამოკითხული სტუდენტების 93% აღიარებს, რომ ყოფილან როგორც ბულინგის, ისე კიბერბულინგის მსხვერპლნი და, როგორც წესი, ორივე შემთხვევაში განიცდიდნენ დაძაბულობას, დაბალ თვითშეფასებას, უარყოფით ურთიერთობას ოჯახის წევრებსა და თანატოლებთან (Kim, Song, Jennings, & Wesley, 2016). ასევე, კვლევების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 2015 წელს გამოკითხული მოზარდებიდან ძალიან მცირე ნაწილი აღმოჩნდა ისეთი (მხოლოდ 5%), რომელსაც არ გამოუცდია ბულინგი და მხოლოდ კიბერბულინგის მსხვერპლი აღმოჩენილა (Bradshaw & Waasdorp, 2015).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, მოზარდები ბულინგისა და კიბერბულინგის შემთხვევებს აღიქვამენ, როგორც ერთ მთლიან პრობლემას, მკვლევრები მაინც გამოყოფენ გარკვეულ განსხვავებებს: კიბერბულინგის შედეგები, სტანდარტულ ბულინგთან შედარებით, უფრო სასტიკი და მძაფრია. ასევე, კიბერბულინგი, ბულინგისგან განსხვავებით, შესაძლოა, იყოს ერთჯერადი და, ამასთან, ანონიმური (Campbell & Bauman, 2018). როგორც ჩანს, ეს ბულერის ანონიმურად დარჩენის და სოციალური პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მეტი შესაძლებლობითაა გამოწვეული.

უკეთესად რომ გავიგოთ კიბერბულინგის არსი, სასურველია, გავიაზროთ მისი ტიპები და ფორმები. მოზარდები კიბერბულინგის შემთხვევებისას სხვადასხვა დისტრესზე ამახვილებენ ყურადღებას. არის შემთხვევები, როდესაც მოძალადეები მსხვერპლის ელექტრონული ფოსტის კოდს იგებენ და შემდეგ მისი მისამართიდან აგზავნიან შეტყობინებებს და წერენ კომენტარებს, რომლებიც ამ ფოსტის მფლობელს არ დაუწერია. ასეთი შემთხვევები მათ თანატოლებთან ურთიერთობებს ჩრდილს აყენებს, რასაც მოზარდები ძალიან მწვავედ განიცდიან (Campbell & Bauman, 2018). გარდა ამისა, გვხვდება კიბერბულინგის მარტივი ფორმებიც: შეურაცხყოფა, უხეშობა, დამცირება, ჭორების გავრცელება. ამასთან, როგორც წესი, ადამიანი მაშინ იგებს, რომ კიბერბულინგის მსხვერპლია, როცა უკვე ძალიან ბევრ ადამიანს აქვს ნანახი მის შესახებ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ინფორმაცია. კვლევების თანახმად, ცილისწამება, გარიყვა, ღალატი (ნდობის მოპოვება და საიდუმლო ინფორმაციის გაზიარების შემდეგ ამ საიდუმლოს სხვებისთვის მოყოლა) კიბერბულინგის ყველაზე ხშირი ფორმებია (Staude-Muller. F., 2013).

## 1.6 სად ვლინდება და როგორ რეაგირებენ ბულინგის შემთხვევებზე სკოლების ადმინისტრაციები

მეცნიერებმა - კირკ ვილიამსმა და ნენსი გუერამ 2006 წელს ჩატარებული კვლევით (Guerra, Williams, & Nancy, 2007) შეისწავლეს ის პრედიქტორები, რომლებიც განაპირობებს როგორც ფიზიკურ, ისე სიტყვიერ ბულინგს და დაადგინეს, რომ უმეტეს შემთხვევაში ბულინგი ხდება ისეთ სივრცეებში, რომელსაც უფროსები მინიმალურად ან საერთოდ ვერ აკონტროლებენ. ასეთი ადგილებია: სკოლის შენობის დერეფნები, კაფეტერია, სათამაშო მოედანი, ავტობუსი, გასახდელი ოთახი, საკლასო ოთახი გაკვეთილის დაწყებამდე, საპირფარეო.

თუ როგორ რეაგირებს ბულინგზე სკოლის ადმინისტრაცია, ხშირად ყოფილა სხვადასხვა კვლევისა და დაკვირვების საგანი. პროფესორი, კრის ლი (University of Plymouth), თავის წიგნში „ბულინგის პრევენცია სკოლებში“ (Lee C. , 2004) წერს, რომ ბულინგზე რეაგირებისას სკოლების ადმინისტრაციები, როგორც წესი, შემდეგ პოზიციებს იზიარებენ:

1. უარყოფა (Denial) - „ეს პრობლემა არ არის“ - გამოკითხული პირების უმრავლესობა ამბობდა, რომ ბულინგი მათ სკოლებში არ იყო პრობლემა და თუ მაინც იყო მსგავსი ქცევის შემთხვევები, ეს მოზარდების ცხოვრების განუყოფელ და ბუნებრივ ნაწილად ფასდებოდა. რაც შეეხება პოლიტიკის დოკუმენტს, გამოკითხული ადამიანების უმრავლესობა ადასტურებდა, რომ სკოლაში არსებობდა ბულინგთან ბრძოლის დოკუმენტი, თუმცა ვერ იხსენებდნენ, ვინ და როდის შეიმუშავა ის.
2. სიმბოლური მიდგომა (Token) - „ჩვენ სადღაც გვაქვს პოლიტიკის დოკუმენტი“. გამოკითხული სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები განმარტავდნენ, რომ სკოლებში იყო შემუშავებული ბულინგთან ბრძოლის პოლიტიკა, რომელზედაც მუშაობდა დარგის

სპეციალისტი, ექსპერტი და მასწავლებლებსა და მშობლებს ეს დოკუმენტი მხოლოდ გასაცნობად დაეგზავნათ მოგვიანებით.

3. მამოძრავებელი მიდგომა (Moving) – *„ჩვენ კარგად გააზრებული პოლიტიკის დოკუმენტი და წარმატებული პრაქტიკა გვაქვს“*. ამ შემთხვევაში სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ბულინგს სკოლის ადმინისტრაცია ძალიან სერიოზულად უდგებოდა. აგრეთვე დასძენდნენ, რომ არსებობდა დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილი იყო არა მხოლოდ დარგის სპეციალისტების, არამედ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების მოსაზრებები ბულინგთან ბრძოლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
4. პროაქტიული მიდგომა (Motoring) – *„ჩვენ კარგად ნაფიქრი პოლიტიკის დოკუმენტი და წარმატებული პრაქტიკა გვაქვს, რომელიც ყველამ იცის და რომელსაც ყველა იზიარებს“*. ადმინისტრაციის თითოეულ წარმომადგენელსა თუ მასწავლებელს ცხადად და ნათლად ესმოდა ყველა წესი. მათ გააზრებული ჰქონდათ პოლიტიკის დოკუმენტის მნიშვნელობა, რომელიც სკოლის დონეზე იყო შემუშავებული და ამასთანავე, ყველა გრძნობდა ჩართულობას ბულინგის პრევენციის ნაწილში. პროაქტიული რეაგირების შემთხვევაში სკოლების ადმინისტრაციების უმეტესობა განმარტავდა, რომ ბულინგთან ბრძოლის და, მით უფრო, პრევენციის ნაწილში, ჩართული იყო ძალიან ბევრი მხარე. მათ შორის აქტიურად მონაწილეობდნენ მშობლები. ბულინგთან ბრძოლა არ იწყებოდა და არ მთავრდებოდა სკოლის ზღურბლთან. ამასთან, მსგავსი ტიპის სკოლებში არა მხოლოდ მოსწავლეების პირადი უსაფრთხოების განცდა იყო უზრუნველყოფილი, არამედ მოსწავლეებს შორის დამყარებული პოზიტიური ურთიერთობა ადმინისტრაციის დონეზე იყო მხარდაჭერილი.

ამ განსხვავებების გააზრებისას კრის ლი საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: ბულინგის ქცევაზე პროაქტიული რეაგირების მქონე სკოლებში ბულინგის შემთხვევების პრევენციის სინონიმად ქცეულია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც თითოეული მოსწავლე პატივს სცემს ერთმანეთს (Lee C. , 2004). შესაბამისად, კრის ლის კვლევაშიც სკოლის კულტურას, კლიმატს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კვლევის ეს შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ისეთ სასკოლო გარემოში, რომელშიც ღირებულებები, ფასეულობები გაზიარებულია და არა თავსმოხვეული, მოზარდები უფრო დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. სკოლებში ასეთ გარემოზე კი სწორედ სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და მშობლები არიან პასუხისმგებელი.

სკოლების ადმინისტრაციებს მკვლევრები ურჩევენ, რომ „მოძალადე და მსხვერპლი“ - ამგვარ კატეგორიებად მოზარდები სკოლაში არასდროს დაყოფიან (ამ დაყოფას ბულინგის სამეცნიერო თვალსაზრისით შესწავლისას აქტიურად ვიყენებთ); რადგან ვერ მიიღებენ სასურველ შედეგს, როდესაც ჩაგრულს მსხვერპლის იარლიყს მიაკრავენ, აგრესიულ მოზარდს კი მოძალადისა და ბულერის წოდებას მიანიჭებენ. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვერც ბავშვებთან მუშაობით მიიღებს სასურველ შედეგს და არც მათი მშობლები ითანამშრომლებენ ადმინისტრაციასთან, როცა მათ შვილებს მძიმე შინაარსის შემცველი სახელები ექნებათ მინიჭებული (Rosen, 2017).

მკვლევარი ჰანა გეფნი დიდი ხანი იკვლევდა ბულინგის შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში და კოლეგებთან ერთად დაასკვნა, რომ:

1. ბულინგის შემთხვევები დიდ გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე კლასში;

2. ძალიან ბევრი ბულერი ცხოვრებას კრიმინალს უკავშირებს<sup>4</sup>;
3. ემოციური ტრავმა, რომელსაც მსხვერპლი თუ მოძალადე განიცდის ბულინგის დროს, მთელი ცხოვრება მიჰყვება მათ;
4. ბავშვები, რომლებიც ხშირად არიან ბულინგის მსხვერპლნი, მიდრეკილნი არიან სუიციდისკენ (Gaffney, Farrington, & Ttofi, 2019).

ამ რეალობის გათვალისწინებით, სკოლების ადმინისტრაციებს დიდი სიფრთხილე მართებთ და, ვფიქრობთ, მათ მრავალი რამ უნდა გააკეთონ ბულინგთან საბრძოლველად.

## 1.7 ბულინგთან ბრძოლის კონკრეტული მექანიზმები სკოლებში

ბულინგთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად სკოლის გარემო რომ უნდა მოვიაზროთ, ამაზე ფლორენციისა და ტურკუს უნივერსიტეტების პროფესორების, მენესინის და სალმივალის, კვლევაც მეტყველებს (Menesini & Salmivalli, 2017). მათი დაკვირვებით, ბულინგი უმეტესად თანატოლებში ვლინდება და ეს მათ მიერ სხვა თანატოლების სისტემატური ჩაგვრაა. მათი დაკვირვებით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექცევიან ისეთი მოწყვლადი ჯგუფები, როგორებიც არიან შშმ მოზარდები, დევნილები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ჭარბწონიანი და ნებისმიერი სხვა ნიშნით გამორჩეული მოსწავლეები. ამავე ფსიქოლოგების დაკვირვებით, მოზარდების დაახლოებით 35% მონაწილეობს ტრადიციულ ბულინგში, 15% კი -

---

<sup>4</sup> აგრესიული მოსწავლეები რომ უფროს ასაკში მეტად არიან მიდრეკილნი დანაშაულისკენ, ვკითხულობთ ანიტა ვულფორკის წიგნშიც „განათლების ფსიქოლოგია“ გვ.116 (2009).

კიბერბულინგში (Menesini & Salmivalli, 2017). მენესინი და სალმივალი სასკოლო გარემოს განიხილავენ მოზარდებისთვის მსხვერპლად გახდომის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად: როცა მოსწავლეს უჭირს თანატოლებთან კეთილგანწყობილი და მეგობრული ურთიერთობის დამყარება, როცა ისინი ნაკლებად ავლენენ პროსოციალურ ქცევას, ეს ხშირად ხდება მათივე ვიქტიმიზაციის მიზეზი (Menesini & Salmivalli, 2017). დაბოლოს, სასკოლო კლიმატის კვლევისას მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ კლასში მოსწავლეებს შორის ურთიერთობის პატერნზე და განმარტავენ, რომ რაც უფრო იერარქიულია კლასში ურთიერთობები (არსებობენ პოპულარული და ნაკლებად პოპულარული, „გავლენიანი“ და ნაკლებად „გავლენიანი“ მოსწავლეები), მით უფრო კარგი ნიადაგია ბულინგის აღმოცენებისთვის. ხოლო, რაც უფრო თანასწორია ურთიერთობები კლასში, მით ნაკლებია შანსი ბულინგის წარმოშობისა. კვლევის თანახმად, სწორედ საკლასო ოთახში არსებულ იერარქიულ ურთიერთობებს მიჰყავს საქმე ბულინგამდე და არა პირიქით. ბულინგის შემთხვევები, როგორც წესი, არ უსწრებს წინ იერარქიული ურთიერთობების დამკვიდრებას (Menesini & Salmivalli, 2017). კვლევის ეს შედეგი კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ გარემო დიდ როლს ასრულებს ბულინგის ქცევის განხორციელებაში.

სასკოლო გარემოს კვლევისას აქცენტი ისმის ბულინგის პრევენციის იმ მექანიზმებზე, რომლებსაც სკოლების ადმინისტრაციები იყენებენ. მკვლევრები - ფარინგტონი და ტოფი თავიანთი კვლევის ფარგლებში ასკვნიან, რომ თუ სკოლას შემუშავებული აქვს ბულინგთან ბრძოლის ეფექტიანი პროგრამა, ეს 20-23%-ით ამცირებს ბულინგის შემთხვევებს საკლასო გარემოში (Farrington & Ttofi, 2009).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ბოლო წლებია, აქტიურად მუშაობს ბულინგის საწინააღმდეგო სტრატეგიისა და ზოგადად უსაფრთხო სკოლის კონცეფციის შემუშავებაზე. ამჟამად მანდატურის სამსახურმა ბულინგისა და სარისკო ქცევების პრევენციის საპილოტე პროგრამაზე დაასრულა მუშაობა, რისთვისაც უკვე შეირჩა 11 საპილოტე სკოლა, სადაც გადამზადდნენ მასწავლებლები და, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, პროექტი უახლოეს პერიოდში ამოქმედდება<sup>5</sup>.

ბულინგის არსის უკეთ გაანალიზებისთვის აუცილებელია, სწორედ სკოლებში დამკვიდრებული პრაქტიკა გავიაზროთ, ვიმსჯელოთ, ბულინგის პრევენციის რომელი საუკეთესო მეთოდები არსებობს და რა გამოცდილებაა ამ თვალსაზრისით მსოფლიოში დაგროვილი.

მეცნიერები ძირითადად ორი ტიპის ანტიბულინგურ სტრატეგიას გამოყოფენ: **პირველი** - ესაა ცნობიერების ამაღლების სამუშაოები, რომლებიც გულისხმობს ისეთი სივრცის, გარემოს შექმნას სკოლებში, რომელშიც მოსწავლეებსა და სკოლის თანამშრომლებს აქვთ საშუალება, ზუსტად გაიგონ ბულინგის არსი მთელი თავისი კომპლექსურობით (Gaffney, Farrington, & Ttofi, 2019).

სკოლებში ბულინგთან ბრძოლის **მეორე ხაზი** კი ცალკეული შემთხვევების მენეჯმენტი და მათზე რეაგირებაა. ეს კულტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლებში, რათა ყველა პოტენციურ მსხვერპლს თანადგომის იმედი ჰქონდეს. მსხვერპლმა უნდა იცოდეს, რომ, თუ დაჩაგრავენ, მას დიდი მხარდაჭერა ექნება, გვერდით დაუდგებიან და დაეხმარებიან. ასევე,

---

<sup>5</sup> სსიპ მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, პროგრამის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ როგორც უცხოელი, ისე ქართველი ექსპერტები. მათ შორის, პროგრამა ეფუძნება „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსა“ და „არამალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „ანტიბულინგური პროგრამა სკოლაში“, *მაია ცირამუა, 2018*



დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ბულერის ქცევა არასდროს იქნება მიღებული და მასზე არასდროს დახუჭავს თვალს სკოლის ადმინისტრაცია თუ მოსწავლეები (Gaffney, Farrington, & Ttofi, 2019).

გავიაზროთ თითოეული სტრატეგია:

ა. **პროაქტიული მეთოდი** - ცნობიერების ამაღლების სტრატეგია:

ცნობიერების ასამაღლებელი სტრატეგიებიდან მნიშვნელოვანია, სხვადასხვა საგნის კურიკულუმში ჩავიხედოთ და განვსაზღვროთ, რამდენად უზრუნველყოფს ესა თუ ის საგანი ისეთ შედეგებზე გასვლას, როგორებიცაა მოსწავლეებში დემოკრატიული პრინციპებისა და ტოლერანტობის გრძნობის გაღვივება, განსხვავებულის მიმღებლობა და სხვ. (Johnson C. R., 2011).

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში სხვადასხვა საგნის თუ კლუბის დონეზე იყოს წახალისებული ჯგუფური სამუშაო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფის თითოეული წევრი აქტიურად ერთვება პროცესში. ამგვარი მიდგომა გვეხმარება, კლასში პროცესიდან გარიყული მოსწავლეების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდეს. ამასთან, ბულინგი, როგორც საკითხი, უნდა გაანალიზდეს სხვადასხვა საგნის დონეზე, როგორებიცაა ისტორია, მუსიკა, საგნები, რომლებიც საზოგადოებაში ადამიანების როლსა და დანიშნულებაზე სვამენ აქცენტს. სკოლებში წახალისებული უნდა იყოს მხატვრული ლიტერატურის კითხვა და შეირჩეს შესაბამისი წიგნები, რომლებზეც სკოლაში კლუბების დონეზე გამახვილდება ყურადღება (Cowie, 1995).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბულინგის პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციის სისტემატური შეგროვება. სასურველია, გარკვეული პერიოდულობით ტარდებოდეს მოსწავლეების კვლევა კითხვარების დონეზე, რათა სკოლა თვალს ადევნებდეს ბულინგის შემთხვევების რაოდენობასა და დინამიკას. კვლევები გვეხმარება არა მხოლოდ

ინფორმაციის მოძიებაში, არამედ იმაში, რომ მოსწავლეებს დავანახოთ - ბულინგი არ არის რაღაც, რაც მხოლოდ მათ თავს ხდება. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია საქმის კურსშია ბულინგის საფრთხეებთან დაკავშირებით. მას ხელმძღვანელობასთან ერთიანობის და სკოლისგან ზრუნვის განცდა უნდა გაუჩნდეს - ასეთ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ გარემო მეტად კეთილგანწყობილია მის მიმართ (Lee C. , 2004).

## **ბ. შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმი სკოლებში**

აღსანიშნავია, რომ როგორი გამართული პრევენციული ღონისძიებებიც არ უნდა გვექნოდეს სკოლებში, ბულინგის შემთხვევებს სრულად მაინც ვერავინ გაექცევა. ამიტომ აუცილებელია პრევენციის პარალელურად, არსებობდეს ბულინგის ფაქტებზე რეაგირების კონკრეტული წესები. თუ ჩვენ ვაკეთებთ დაშვებას, რომ ბულინგის არაერთი ფორმა არსებობს, ცხადია, ლოგიკური იქნება, რომ ბულერებთან მუშაობის არაერთი გზა მოიძებნოს (Rigby K. , 1996). მეცნიერი კენ რიგბი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ბულინგზე რეაგირების ორგვარ მიდგომაზე გაამახვილა ყურადღება: 1) სამართლებრივი გზების განსაზღვრა - ყველა მოზარდს უნდა ჰქონდეს ცხადი წარმოდგენა, რა სამართლებრივი სანქციები თუ პრობლემები მოჰყვება მათ აგრესიულ ქცევას. 2) მორალური მიდგომა - ფოკუსირება ქცევის მორალურ მხარეზე კეთდება და მოსწავლე საკუთარი ქცევის შეფასებისას მორალური კატეგორიებით აზროვნებას სწავლობს (Rigby K. , 1996).

კენ რიგბის შემდგომი თაობის კოლეგები ამ მიდგომას კიდევ უფრო ავითარებენ და განმარტავენ, რომ ერთ-ერთი პირველი და მთავარი, რაც სკოლის ადმინისტრაციასა თუ მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, არის ის, რომ ისინი თითოეული მოსწავლისთვის როლურ მოდელებად წარმოჩნდებიან. შესაბამისად, მასწავლებელი უნდა იყოს ყოველთვის კეთილგანწყობილი და არასდროს გამოხატოს აგრესიული ქცევა (Johnson C. R., 2011).

ბულერებთან მუშაობის არაერთ გზას გვასწავლიან მკვლევრები. ერთ-ერთი გზა, რომელსაც გვთავაზობენ, მონაწილე პირების რეინტეგრაციის პროცესია, რომლის დროსაც ბულერი და მსხვერპლი (შესაძლოა მათი ოჯახის წევრებიც) ხვდებიან ერთ სივრცეში ერთმანეთს და ამ პროცესს მოდერაციას უწევს ამ სფეროში სპეციალიზებული ბავშვთა ფსიქოლოგი (Ahmed, 2005). ეს მიდგომა მედიაციის პროცესად შეგვიძლია აღვიქვათ, რომელსაც ბევრი დადებითი მხარე აქვს. თუმცა ყოველთვის საჭიროა მისი ფრთხილად გამოყენება, რადგან სკოლის ადმინისტრაციამ, მშობლებმა და თითოეულმა ამ მედიაციამ მონაწილე პირმა ზუსტად უნდა იცოდეს, რას აკეთებს და რა როლი ეკისრება ამ პროცესში. მოსწავლეების ირგვლივ არსებული სოციუმი უნდა იყოს მზად მსგავსი შეხვედრისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მედიაციამ შესაძლოა, უფრო მეტად გაამწვავოს მოსწავლეებს შორის კონფლიქტი.

პრაქტიკოსი სპეციალისტები ურჩევენ სკოლებს, სამეურვეო საბჭოებში ჰქონდეთ მოსწავლეებისთვის გარკვეული კვოტა გამოყოფილი. თუ საბჭო არის ის ორგანო, რომელიც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს, რა სიახლეებიც მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაზე აისახება, სასურველია, ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თავად მოსწავლეებიც იყვნენ ჩართულნი. ასეთ შემთხვევაში ბულინგთან თუ სხვა პრობლემურ თემებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლაც უფრო ინტენსიური იქნება და გადაწყვეტილებებიც მეტად დაახლოებული მოსწავლეების რეალურ საჭიროებებთან. გარდა ამისა, სასურველია, სკოლებში არსებობდეს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც კონკრეტულად ბულინგის შემთხვევათა რეაგირებაზე იქნებიან ორიენტირებულნი და იმუშავებენ როგორც მსხვერპლთან, ისე მოძალადესთან, რომელსაც არანაკლებ სჭირდება მხარდაჭერა (Lee C. , 2004).

სკოლებში შეიძლება შემუშავდეს და დაინერგოს *ბულინგისადმი მდგრადობის ტრენინგი* (Assertiveness training), რომელიც უნდა გაიარონ ადმინისტრაციის

წარმომადგენლებმა, მასწავლებლებმა და, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებმა. განსაკუთრებით მათ, ვინც ოდესმე ყოფილა ბულინგის მსხვერპლი ან, სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, შესაძლოა, მარტივად გახდნენ ბუღერის სამიზნე (Lin, 2004). ტრენინგის ძირითადი იდეა უნდა იყოს ის, რომ თითოეულ მოსწავლეს შეუძლია, იყოს ისეთი, როგორც არის ან სურს ყოფნა. ამ შეხვედრებზე მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ არავის აქვს უფლება შეეცადოს, შეცვალოს ვინმე ან მიუთითოს რომელიმე მათგანს ნებისმიერ გამორჩეულობაზე. ტრენინგის თეორიული საფუძველი შემდეგია:

ა. მოზარდი უნდა გრძნობდეს მისდამი პატივისცემას;

ბ. უნდა იცოდეს, რომ მას უსმენენ და სერიოზულად იღებენ;

გ. იყოს პასუხისმგებელი შეცდომებზე;

დ. თქვას „არა“ იმასთან დაკავშირებით, რაც მას არ სურს და ამის გამო არასდროს იგრძნოს დამნაშავედ თავი.

ტრენინგის უმთავრესი არსი და, შეიძლება ითქვას, იდეა, უნდა იყოს ის, რომ თითოეულმა მოზარდმა გააცნობიეროს, რომ ყველა თანასწორი და ყველა პატივისცემის ღირსია (Lin, 2004).

## თავი 2 - სკოლის კულტურა და მისი მნიშვნელობა

### 2.1 Whole child approach და ყოვლისმომცველი სასკოლო სიჯანსაღის თეორიები

ამერიკელი ფსიქოლოგი, განათლების სპეციალისტი, ანიტა ვულფორკი, წიგნში „განათლების ფსიქოლოგია“ მკითხველს საგულისხმო კითხვას უსვამს: „სკოლის პერიოდის გახსენებისას, პირველ ყოვლისა, რა გახსენდებათ? იქ მიღებული აკადემიური ცოდნა თუ იმ პერიოდში განცდილი გრძნობები, შიში და მეგობრები?“ ამ კითხვით ავტორი გვიჩვენებს იმ რეალობას, რომ სასკოლო განათლება მხოლოდ მოზარდის შემეცნებით განვითარებას არ გულისხმობს და მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა, სკოლების ადმინისტრაციებმა სკოლაში აგრესიის შესამცირებლად და, საუკეთესო შემთხვევაში, აღმოსაფხვრელად სისტემატურად იმუშაონ (ვულფორკი, 2009).

ამრიგად, სკოლებში ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბულინგის შემთხვევების პრევენციისთვის, არამედ ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. როცა სკოლაში ბულინგის ფაქტებია, ბევრ პრობლემასთან ერთად სათუო ხდება ზოგადი განათლების შესახებ იმ კანონის იმპლემენტაცია, რომელშიც ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებია მოსწავლის ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შექმნა<sup>6</sup>. ეს მიდგომა კი ზუსტად ეხმაურება Whole Child Approach-ს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სტუდენტების სოციალურ, ემოციურ, გონებრივ, ფიზიკურ და კოგნიტურ განვითარებასა და ამ ფაქტორთა ერთობლიობაზე.

<sup>6</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>

სასკოლო განათლების დეკლარირებული მიზანი სწორედ მოქალაქის აღზრდაა. დღეს ამ მიმართულების ყველა მკვლევარი, ექსპერტი თუ ადმინისტრატორი თანხმდება, რომ განათლების მიზანი არა მხოლოდ მოსწავლის აკადემიური მხარდაჭერა, არამედ მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების უზრუნველყოფაა. ვირჯინიის შტატში დაფუძნებული კურიკულუმის განვითარების ასოციაციის (ASDC) დირექტორის - შონ სლეიდის აზრით, მოზარდების ზრდა-განვითარება (აკადემიური განვითარების ჩათვლით) ვერ იქნება სრულყოფილი, თუ არ იარსებებს ისეთი სისტემა, რომელიც მოსწავლეების უმეტეს საჭიროებას (ძირითად მოთხოვნებს) არ უპასუხებს (Slade, 2013).

სლეიდის განმარტებით, Whole child approach გულისხმობს 5 ძირითადი მიმართულებით მოზარდების უზრუნველყოფას (Slade, 2013). ეს მიმართულებებია:

ა. **ჯანმრთელობა** - თითოეული სკოლის მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საშუალება, დაკავებული იყოს სპორტის რომელიმე სახეობით; ამასთანავე, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წახალისებული უნდა იყოს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესი;

ბ. **უსაფრთხოება** - თითოეული მოზარდისათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ფიზიკური თუ ემოციური უსაფრთხოება;

გ. **ჩართულობა** - მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში;

დ. **მხარდაჭერა** - ყველა მოსწავლემ უნდა იგრძნოს სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლის მხარდაჭერა. მხარდაჭერაში უნდა იგულისხმებოდეს მის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის თუ სხვა რესურსის არსებობა;

**ე. გამოწვევებისთვის მზადყოფნა** - თითოეული მოსწავლე სკოლამ უნდა მოამზადოს აკადემიური თუ პერსონალური გამოწვევებისთვის, რათა მან მიაღწიოს წარმატებას სწავლის პროცესში ან განათლების შემდეგ საფეხურზე, შეძლოს მუშაობის დაწყება და გლობალურ სივრცეში ინტეგრირება.

შესაბამისად, როცა სკოლაში ბულინგის შემთხვევებია, ეს, პირველ ყოვლისა, შესაძლებლობას ართმევს მსხვერპლს, სრულფასოვან მოსწავლედ იგრძნოს თავი. მათი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა სათუო ხდება, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის ხარისხს ამცირებს. სწორედ ამიტომ, როცა სკოლა მოსწავლეების ჰოლისტურ განვითარებას ისახავს მიზნად, ბულინგის შემთხვევები ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად უნდა მიიჩნიოს.

არაერთი კვლევა<sup>7</sup> გვასწავლის, როგორ უნდა უზრუნველყოს პრაქტიკაში სკოლის ადმინისტრაციამ ჰოლისტური მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, აქ ყურადღება სკოლის კულტურაზეა გამახვილებული, რაც გულისხმობს შესაბამისი რესურსებითა და მხარდაჭერით მოსწავლეების უზრუნველყოფას და მათ გარშემო უსაფრთხო ფიზიკური თუ ემოციური გარემოს შექმნას. სწორედ ეს დეტალები ქმნის მოსწავლეებისთვის იმ მხარდამჭერ გარემოს, რომელიც მათი ჰოლისტური განვითარების მთავარი წინაპირობაა. ამასთან, ჰოლისტური პოლიტიკის პრაქტიკაში დანერგვით სკოლები არა მხოლოდ დადგენილ ცოდნას აძლევენ და ინფორმაციას უზიარებენ მოსწავლეებს, არამედ უმუშავებენ ისეთ უნარ-ჩვევებსა და ქცევის პატერნებს, რომლებიც მათ სოციუმსა და გარემოში რეალიზებაში ეხმარება (Slade, 2013). შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ whole child მიდგომა ერთგვარად ეფუძნება აბრაჰამ მასლოუს

---

<sup>7</sup> Lewallen, T.C., Hunt, H., Potts-Datema, W., Zaza, S. and Giles, W. (2015), The Whole School, Whole Community, Whole Child Model: A New Approach for Improving Educational Attainment and Healthy Development for Students. J School Health, 85: 729-739. doi:[10.1111/josh.12310](https://doi.org/10.1111/josh.12310)

მოთხოვნილებათა პირამიდის პრინციპს. იგი ცხადყოფს, რომ, თუ მოსწავლეების ძირითადი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები, როგორებიცაა უსაფრთხოება, ავტონომიურობა და სხვ., დაკმაყოფილებულია, მეტად სავარაუდოა, რომ ისინი ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და ნაკლებ სავარაუდოა, გამოავლინონ დევიაციური ქცევები. ისეთ სკოლებში კი, სადაც ვერ ხერხდება ამ საბაზისო მოთხოვნილებების უზრუნველყოფა, მეტი ალბათობაა, რომ მოსწავლეებს აკლდეთ მოტივაცია და გამოავლინონ დაბალი ჩართულობა - ასეთ დროს, როგორც წესი, მოზარდების აკადემიური მოსწრებაც საგანგაშოდ დაბალია ხოლმე (Belson, 2018).

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის განვითარების ასოციაციის მკვლევრებმა (ASCD, 2012) ჰოლისტური განვითარების ზემოთ აღნიშნული ხუთი პრინციპი მოარგეს სასკოლო რეალობას და შემოგვთავაზეს მისი გამოვლინებისა და შეფასების შემდეგი ინდიკატორები:

1. *სასკოლო კლიმატი და კულტურა* - მოსწავლეები, რომლებიც შემოდინ სკოლის შენობაში, უნდა გრძნობდნენ თავს დაცულად და უსაფრთხოდ. ამასთან, თავს უნდა მიიჩნევდნენ სასკოლო ცხოვრების ნაწილად, სკოლის სივრცეში მხარს უნდა უჭერდნენ მათ სოციალურ თუ ემოციურ განვითარებას და წახალისებული უნდა იყოს პოზიტიური თვისებების გამოვლენა;

2. *კურიკულუმი და ინსტრუქციები* - სკოლების ადმინისტრაციებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი კურიკულუმი და ინსტრუქციები, რომლებიც მოსწავლეებს სკოლის გარემოში უკეთ ადაპტაციის მიზნით სასარგებლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში შეუწყობს ხელს.

3. *სკოლების ადმინისტრაცია* - სკოლებში ისეთი ხელმძღვანელებისა და მენეჯერების მუშაობა, რომლებიც მართვის ყველა დონეზე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების პრინციპებს და აქვთ ის ცოდნა და



უნარები, რომელთა დახმარებითაც მოზარდებს გრძელვადიანი წარმატებისთვის მოამზადებენ.

აღსანიშნავია, რომ ამ მიდგომამ პირველად დააკავშირა პოზიტიური სასკოლო კლიმატი და მოზარდების კეთილდღეობა (well-being) ერთმანეთთან (Allensworth, 2011). სწორედ ეს ჰოლისტური განვითარების პრინციპი ირღვევა, როცა სკოლებში ბულინგი აღინიშნება, რადგან მოზარდს აღარც უსაფრთხოების განცდა აქვს, აღარც მის კეთილდღეობაზე (well-being) შეგვიძლია საუბარი. ამდენად, ბულინგის პრევენციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს სკოლებში ჰოლისტური მიდგომის დამკვიდრებას.

დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ მოზარდების კეთილდღეობა (well-being) უშუალოდ უკავშირდება განათლების მიღების პროცესს და წარმოადგენს მოზარდების განვითარების ფუნდამენტს. თუ მოზარდი არ გრძნობს თავს კარგად, ის, დიდი ალბათობით, გააცდენს სკოლას, ან ივლის, მაგრამ გაუჭირდება სწავლაზე კონცენტრირება. სწორედ ამიტომ, თუ ჩვენ მოზარდების აკადემიური კეთილდღეობის განცდასა და მათ მრავალმხრივ განვითარებაზე ვსაუბრობთ, ეს მხოლოდ მათივე სოციალური, ემოციური და მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფითა და დაცვით მიიღწევა და, რაც მთავარია, გავლენას ახდენს როგორც აკადემიურ მოსწრებაზე, ისე პიროვნულ განვითარებაზე.

შესაბამისად, სკოლის მიზანია, ფოკუსირდეს მოსწავლის სოციალურ, ემოციურ, მენტალურ და ფიზიკურ განვითარებაზე, რაც წარმოადგენს ბავისს მოზარდების ჰოლისტური განვითარებისა და პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

ჰოლისტური ხედვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ყოვლისმომცველი სასკოლო სიჯანსაღის (CSH) ჩარჩო მიდგომა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ განათლების პოლიტიკის

პრაქტიკას და მხარს უჭერს მოსწავლეების განათლების შედეგების გაუმჯობესებას, იმავდროულად, ყურადღებას ამახვილებს სკოლაში ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფაზე (Rasberry, 2015). ეს მოდელი აძლიერებს შესაძლებლობებს, რათა მოსწავლეთა „კარგად ყოფნა“ (well-being) მოსწავლის მიღწევებისთვის აუცილებელ კომპონენტად იყოს გათვალისწინებული. ნაბიჯები ეხება ოთხ კონკრეტულ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ, კომპონენტს (JCSH, 2020), რომლებიც შეადგენს ყოვლისმომცველი სასკოლო სიჯანსაღის მიდგომას:

ა. სოციალური და ფიზიკური გარემო;

ბ. სწავლება და სწავლა;

გ. ჯანმრთელი სასკოლო პოლიტიკა;

დ. პარტნიორობა და მომსახურება.

მოსწავლეების აკადემიურ წარმატებას, ჰოლისტურ მიდგომასა და სკოლებში ყოვლისმომცველი სასკოლო სიჯანსაღის უზრუნველყოფას შორის რომ მჭიდრო კავშირია, ამას კურიკულუმის განვითარების ასოციაციის (ASCD) მრავალი გამოკითხვა ცხადყოფს. 2014 წელს ასოციაციამ ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარა, რომელმაც გამოავლინა, რომ სკოლებში არსებული ჯანსაღი გარემო (CSH მოდელი) მოსწავლეების ფიზიკურ თუ ემოციურ ჯანმრთელობასა და აკადემიურ შედეგებზე დიდ გავლენას ახდენდა (ASCD, 2015).

შესაბამისად, როცა ჩვენ მოზარდებისთვის ისეთი პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნაზე ვსაუბრობთ, რომელშიც ნაკლებია ბულინგი და სხვა დესტრუქციული ქცევები, ჰოლისტური განვითარების პრინციპის პარალელურად აუცილებელია ყოვლისმომცველი სასკოლო სიჯანსაღის მოდელის გათვალისწინებაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბოლო პერიოდის პოლიტიკის დოკუმენტებში ხშირად შეხვდებით ისეთ ჩანაწერებს, რომლებშიც მოსწავლეების ჰოლისტურ განვითარებაზეა აქცენტი დასმული. განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში, რომელიც 2017 წელს შემუშავდა და მომდევნო 4 წლის სამოქმედო სტრატეგიას მოიცავს, ერთ-ერთ ამოცანად საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაა დასახული: „გამლიერდება ინკლუზიური, უსაფრთხო, თანასწორი, არაძალადობრივი, მაღალი კულტურის მქონე, ჯანსაღი, მამოტივირებელი გარემოს უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებები ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისათვის. სკოლებში მხარდაჭერილი იქნება თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებისა და მასწავლებლების მიერ გამოცდილების ურთიერთგაზიარების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა მოსწავლეთა უკეთესი აკადემიური მიღწევების უზრუნველყოფის მიზნით. სკოლის ორიენტირი თითოეული მოსწავლის ჰოლისტური აღზრდა-განვითარება და სრულფასოვანი ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება იქნება. ამ მიზნით გამოიყენეს ყველა შესაძლო რესურსი როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში. შეიქმნება შესაბამისი პირობები ცხოვრების ჯანსაღი წესისათვის, მათ შორის სპორტული აქტივობებით, გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურებით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესებით და უსაფრთხო და ჯანსაღი საკვების უზრუნველყოფით“<sup>8</sup> (MES, 2017). ეს კომპონენტები თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჰოლისტური განვითარების საფუძვლად. პედაგოგებისთვის საინტერესო საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს მასწავლებლის წიგნი „უსაფრთხო სკოლა“, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მხარდაჭერით გამოიცა. ამ სახელმძღვანელოში უსაფრთხო სკოლა ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად

<sup>8</sup> განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.

გვევლინება და ბავშვის ბუნების სრულფასოვანი რეალიზებისთვის, საგანმანათლებლო გარემოში აქცენტი დასმულია თითოეული ბავშვის უსაფრთხოებაზე (ლაბარტყავა, ოსიაშვილი, საჯაია, & კობალაძე, 2018). აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტროს სხვადასხვა ანგარიშში ხშირად შეხვდებით ინკლუზიური განათლების მოდელის იმპლემენტაციის წარმატებაზე მსჯელობასაც<sup>9</sup>. თუმცა სკოლებში ბულინგის ხშირი შემთხვევები საექვოს ხდის როგორც ინკლუზიური განათლების პრინციპის, ისე ჰოლისტური განვითარების მოდელის გააზრების ხარისხს სკოლის ადმინისტრაციების მხრიდან.

## 2.2 სკოლის კულტურა და მისი ელემენტები

ჰოლისტურ მიდგომაზე მსჯელობისას აუცილებელია, კარგად გვეჩვენოს გააზრებული ტერმინი სკოლის კულტურა და მისი შემადგენელი ელემენტები. სკოლის კულტურა სწორედ ის მთავარი დასაყრდენი უნდა იყოს, რომელზეც სკოლის ადმინისტრაციებმა ბულინგთან ბრძოლის მექანიზმები უნდა დააშენონ. სწორედ ამიტომ საინტერესოა გავიაზროთ, როგორაა წარმოჩენილი სკოლის კულტურის რაობა და მნიშვნელობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სხვადასხვა დოკუმენტში. 2020 წელს სამინისტრომ დაამტკიცა ზოგადი განათლების ხელშემწყობი პროგრამა, რომლის ქვეპროგრამაში „ახალი სკოლის მოდელი“ ჩნდება ტერმინი „სკოლის კულტურა“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს ყველა სკოლაში სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება<sup>10</sup>“ (MES, 2020. გვ.

<sup>9</sup> <http://www.inclusion.ge/geo/static/13>

<sup>10</sup> დოკუმენტი პირადი შეტყობინების სახით გადმომეცა განათლების სამინისტროს თანამშრომლების მიერ. საჯარო სივრცეში არ არის ხელმისაწვდომი (ნ. ა.).

16). ამასთან, დოკუმენტში წერია, რომ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდება სასკოლო შეფასების დიზაინი, რომელიც სასკოლო კულტურის შესწავლასაც მოიაზრებს. კერძოდ, „განაალიზდება სკოლაში არსებული ღირებულებები, შეხედულებები და წარმოდგენები. პროგრამის განხორციელების (მოდელის დანერგვის) შემდეგ კი სამინისტრო მოელის, რომ სკოლაში დამკვიდრდება კონსტრუქციული თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კულტურა; შეიქმნება პირობები მიღწევებისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად; ყველას გაუჩნდება განცდა, რომ შეუძლია საკუთარ საქმეში წინსვლა-დახელოვნება და სკოლის განვითარებაში განუმეორებელი წვლილის შეტანა. საერთო ინტერესებითა და ღირებულებებით გაერთიანებული სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი უშუალო მონაწილეობას მიიღებს სკოლის კეთილდღეობის შექმნაში. რეფორმირებული სკოლა - თავისი პოზიტიური გარემოთი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სამოქალაქო საქმიანობებით - ადგილობრივი თემისთვის შექმნის მიმზიდველ სოციოკულტურულ სივრცეს“ (MES, 2020. გვ. 31).

ტერმინი „სკოლის კულტურა“ არსად გვხვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, თუმცა დოკუმენტის მესამე თავში, რომელშიც მეთოდიკურ ორიენტირებზეა საუბარი, გვხვდება ჩანაწერი, რომ სკოლამ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით უნდა იხელმძღვანელოს, რაც შემდეგნაირადაა განმარტებული: „ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს; სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც

მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე<sup>11</sup> (NCP, 2018). ეს ჩანაწერი კარგად ასახავს სკოლის კულტურის არსს და ხაზს უსვამს კეთილგანწყობილი გარემოს მნიშვნელობას მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარების თვალსაზრისით.

XX საუკუნის 30-იან წლებიდან მოყოლებული არაერთი კვლევა ჩატარდა, რომლის თანახმადაც, კონკრეტულ ჯგუფებში ადამიანები კონკრეტულ ნორმებს გამოიმუშავებენ (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011). ეს დაკვირვება დაედო საფუძვლად მიდგომას, რომელიც სკოლებში სოციალური და პოლიტიკური ნორმების ტიპებს იკვლევდა. ეფექტიანი სკოლების შესწავლამ სკოლის კულტურა განსაზღვრა, როგორც ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ცვლადი. ამ თვალსაზრისით ღირებულია აშშ-ის საგანმანათლებლო კომისიის დადგენილება, რომლის თანახმადაც, ხარისხიანი სწავლის გამოცდილებები და სკოლაში პოზიტიური გარემოს უზრუნველყოფა სწორედ ორგანიზაციული კულტურით იწყება, რაც ქმნის მაღალ მოლოდინებს და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას<sup>12</sup>. შესაბამისად, თუ სკოლის თავისებურებები გვინდა შევისწავლოთ, პირველ ყოვლისა, სკოლის კულტურა და მისი მახასიათებლები უნდა გავიაზროთ, რომელთა განვითარებისკენაც უნდა ისწრაფოდეს სკოლის ადმინისტრაცია. ამრიგად, თუ ჩვენ პოზიტიურ სასკოლო გარემოზე ვმსჯელობთ, აუცილებელია ორგანიზაციული კულტურის თეორია ზედმიწევნით განვმარტოთ, რადგან ის მჭიდროდ უკავშირდება ეფექტიან სკოლებს. ორგანიზაციული კულტურის მკვლევრები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი ტიპის ორგანიზაცია მუშაობს გარკვეული ღირებულებების, მიზნების, პრაქტიკის მიხედვით, რაც მას საკუთარი არსის დადგენაში ეხმარება და ამ მახასიათებლების გაერთიანებას

<sup>11</sup> ეროვნული სასწავლო გეგმა

<sup>12</sup> <https://www.ecs.org/>


ჰქვია „კულტურა“ (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011). მკვლევრების - სმირჩიჩის, ბრაიტონის და სხვების თანახმად, კულტურა, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც ნორმატიული წებო, რომელიც ორგანიზაციას ერთ მთლიან ორგანიზმად კრავს. იგი გამოხატავს ფასეულობებს, სოციალურ იდეებსა და რწმენას, რომელთაც ორგანიზაციის წევრები იზიარებენ. ბრაიტონისა და სეიდის (Brighton & Sayeed, 1990) მიხედვით, კულტურა არის სოციალური ენერგია, რომელიც ორგანიზაციების მამოძრავებელი ძალაა და ის ორგანიზაციას აძლევს საშუალებას, მართოს შიდა გარემო. პეტერსონისა და დილისთვის კი კულტურა წარმოადგენს ნორმების, შეხედულებების, ტრადიციების, ფასეულობების ნაკადს, რომელიც გროვდება დროთა განმავლობაში ადამიანების ერთად მუშაობის და მათ მიერ პრობლემებისა თუ გამოწვევების ერთობლივად გადაწყვეტის პროცესში (Peterson & Deal, 1998).

სასკოლო კულტურასთან დაკავშირებით კვლევები გორდონსა და ალსტონს მრავლად აქვთ მოყვანილი თავიანთ წიგნში და სწორედ, ამ კვლევების თანახმად, სკოლები თავიანთი კულტურების მიხედვით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ეს განსხვავებული კულტურები კი დიდ გავლენას ახდენენ მოსწავლეებზე (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011). ამ მოსაზრების დასადასტურებლად მეცნიერები ეყრდნობიან კვლევას, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტიპის სკოლები შეისწავლეს. დაკვირვების თანახმად, იმ სკოლაში, რომლის ადმინისტრაცია ისეთი ენერგიული და გამბედავი ადამიანებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც მუშაობაში სიამოვნებას იღებდნენ, მოსწავლეებაც უკეთესად გრძნობდნენ თავს. იმ სკოლაში კი, რომელშიც მასწავლებელთა შორის უკმაყოფილება აშკარა იყო და დირექტორი ცდილობდა, „ავტორიტეტის ნიღბის უკან დაემალა არაკომპეტენტურობა“, (გვ. 20) ამგვარი გარემო უარყოფითად მოქმედებდა მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011).

ამავე წიგნში ავტორები ორგანიზაციული კულტურის გასააზრებლად საინტერესო სქემას გვთავაზობენ: ღირებულებები და იდეალები წარმოშობს ნორმებს, ნორმები მოლოდინებსა და სანქციებს, სანქციები სიმბოლურ აქტივობას და ბოლოს, ეს ყოველივე გავლენას ახდენს ინდივიდისა და ჯგუფის ქცევაზე. ეს კომპონენტები აყალიბებს სკოლის კულტურას, რომელზედაც, თავის მხრივ, გარე კულტურა ახდენს გავლენას.

*სქემა N1*

**ორგანიზაციული კულტურის ძირითადი ელემენტები**



სქემა ამოღებულია წიგნიდან „ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში“. ავტორები: ვორტონი, ალსტონი, სნოუდენი, 2011.

ამ სქემის გააზრებისას შემდეგი კითხვა ხდება აქტუალური - რა სახის ქცევაა ღირებული ამა თუ იმ სკოლაში და საითკენ მიისწრაფის სკოლა (როგორი სკოლა უნდა, რომ გახდეს)? ზოგადად რთულია სკოლების ღირებულებებისა და იდეალების დადგენა, მაგრამ, როგორც წესი, ეს ყოველივე სკოლების როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ისე არაოფიციალურ სიტყვიერ შეთანხმებებში



აისახება. სწორედ ასეთ არაფორმალურ შეთანხმებებზე საუბრობს მკვლევარი ჯოსეფოვიჩი, როცა ის სკოლებში არსებულ ნორმებს იკვლევდა და განმარტავდა, რომ ნორმები ის დაუწერელი წესები იყო, რომლებიც აყალიბებდა, თუ რა უნდა და რა არ უნდა გაეკეთებინა ადამიანს ამა თუ იმ ორგანიზაციაში (Josefowitz, 1980). ნორმები ემსახურება ქცევის რეგულირებასა და კონტროლს. თუმცა, აუცილებელია, გავიაზროთ, რომ კოლექტივის წევრები სკოლაში გარკვეული პიროვნული ღირებულებების სისტემით მოდიან და ორგანიზაციულ ღირებულებებს მაინც ამ პრიზმიდან განიხილავენ. პამელა ზალაბაკისა და დონალდ მორლეს კვლევა გვიჩვენებს, რომ როცა ორგანიზაციული წესები და პიროვნული ღირებულებები ერთმანეთს შეესაბამება, ადამიანები მეტად არიან კმაყოფილი საკუთარი სამუშაოთი, რაც ორგანიზაციის მუშაობის ხარისხსა და წარმატებაზე აისახება (Morley, 1989).

ეფექტიანი სკოლის კულტურის ელემენტების კვლევისას გამოყოფენ 4 ძირითად მიმართულებას, რომლებიც განსაზღვრავს სკოლის კულტურას. ესენია: მშობლებთან თანამშრომლობა, მასწავლებლების თანამშრომლობითი ურთიერთობები, მოსწავლეთა საჭიროებები და ადმინისტრაცია, როგორც ორგანიზაციული კულტურის გადამცემი და მასზე პასუხისმგებელი მთავარი ერთეული (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011).

ნიშანდობლივია, რომ ადრეული კვლევები ორიენტირებული იყო ნეგატიურ გავლენაზე, რაც შეიძლებოდა ორგანიზაციის კულტურას მოეხდინა ინდივიდთა და ორგანიზაციასთან ასოცირებულ ჯგუფთა მიღწევებსა და ქცევებზე, თუმცა ბოლო პერიოდში მკვლევრებმა საგანგებოდ აღნიშნეს პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის გავლენა და მისი მნიშვნელობა ორგანიზაციის წარმატებაში. აღსანიშნავია, რომ სკოლები განსხვავდება თავისი კულტურით, კერძოდ, სტრუქტურით, პროცესებით, ღირებულებებითა და ნორმებით, რაც სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს

(Smith, 1982). თუმცა, განათლების ფსიქოლოგებისთვის საინტერესოა მეტი დეტალი და კონკრეტიკა - თუ როგორი ტიპის ორგანიზაციული სტრუქტურა უწყობს ხელს ყველაზე მეტად ამ პროცესის გაუმჯობესებას. კვლევების თანახმად, არსებობს გარკვეული პირველადი მონაცემები, რომლებიც ეფექტიანი სკოლის კულტურის რამდენიმე მთავარ ელემენტს გამოყოფს. ეს ელემენტებია: ნათლად განსაზღვრული სასკოლო ნორმები, თანამიმდევრული მოლოდინები და სიმბოლური ქმედებებისა და პოზიტიური სანქციების სისტემა, რომელიც ახალისებს გაუმჯობესებისა და მიღწევების მცდელობებს (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011). ნორმები შეიძლება ასახული იყოს ორგანიზაციის მისიის განაცხადში, საგანმანათლებლო მიზნებში ან სხვა დოკუმენტებში - უნდა იყოს ძალიან ნათელი და არტიკულირებული ხედვა იმისა, თუ რას წარმოადგენს სკოლა და რა ძირითად მიზნებსა და ხედვებს ემსახურება. ეფექტიან სკოლებში მასწავლებლებისთვის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ დამოკიდებულების გათავისება, რომ ყველა მოსწავლეს აქვს წარმატების მიღწევის უნარი და, ამდენად, მასწავლებლებმა შესაბამისი დამოკიდებულება უნდა გამოავლინონ თითოეული მოსწავლისადმი. ამ პოსტულატის განმტიცებისთვის კარგი მაგალითია მაურინ მაკკორმაკ ლარკინის კვლევა, რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ იმ სკოლებში, რომლებშიც პედაგოგები სიტყვიერად და ქცევით გამოხატავდნენ რწმენას, რომ ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა, შეეძლო წარმატების მიღწევა, მოსწავლეები მართლაც მეტ წარმატებას აღწევდნენ (Oakes & Lipton, 1990).

კიდევ ერთი მოლოდინი, რომელიც ეფექტიან სკოლას ახასიათებს, ეს არის პედაგოგიური კოლექტივის წევრების მისწრაფება, გააუმჯობესონ საკუთარი ცოდნა თუ ცოდნის გადაცემის მეთოდები. პედაგოგები ერთობლივად უნდა ეძებდნენ სწავლების ყველაზე ეფექტურ გზებს (Duke, 1990). პედაგოგების როლზე პოზიტიურ სასკოლო გარემოში და სასკოლო კულტურის

უზრუნველყოფის საქმეში მრავალი კვლევა არსებობს, რომლებიც ცხადყოფს, რომ მასწავლებლების მხრიდან უსაფრთხო და მოწესრიგებული სასკოლო გარემოს ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. მოწესრიგებული სკოლები კი შესაბამისი, პოზიტიური ქცევისკენ უბიძგებს მოსწავლეებს (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011).

უსაფრთხო და მოწესრიგებულ სასკოლო გარემოზე საუბრისას ყურადღება გამახვილებულია იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც ნებისმიერი სკოლის ადმინისტრაცია და დირექტორი დგას. ადმინისტრატორმა, სირთულისა და საკითხის კომპლექსურობის მიუხედავად, უნდა შეძლოს სკოლის ორგანიზაციული კულტურის ფორმირება, თუმცა პირველი და მთავარი, რაც მას უნდა ჰქონდეს გააზრებული, არის იმ იდეალების განვითარება, რომლებსაც მისი სკოლა უნდა ემსახურებოდეს (ალსტონი, გორტონი, & სნოუდენი, 2011). ისეთი ადმინისტრატორი / დირექტორი, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, როგორი უნდა იყოს იდეალური სკოლა, ვერ შეძლებს სწორი პოლიტიკის შექმნას (DuFour, 1990).

სამწუხაროდ, ბევრი სკოლის ადმინისტრაცია აწყდება სირთულეებს სკოლის მართვის ყოველდღიური მოვალეობების შესრულებისას, რადგან კარგად არ აქვთ გააზრებული საკუთარი სკოლის ძირითადი მიმართულება. სწორედ ამიტომ აუცილებელია, ყველამ იცოდეს პასუხი კითხვაზე: „რა უნდა იყოს მისი სკოლის ძირითადი მისია და მიზნები“ (Hickman & Silva, 1985). ამ კითხვაზე პასუხი არა მხოლოდ სკოლის დირექტორსა და დირექციას, არამედ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებსაც უნდა ჰქონდეთ.

სკოლის კულტურის მნიშვნელობაზე მეტყველებს კიდევ ერთი კვლევა, რომელიც ქართველ მკვლევრებს - მზია წერეთელს, ხათუნა მარწყვიშვილს, ია აფთარაშვილს, თამთა დარსაველიძეს და შორენა სამაგლიშვილს ეკუთვნით და სკოლის მოსწავლეების თავდაჯერების, წარმატებისა და ბედნიერების დონეს

იკვლევს (Tsereteli, Martskvishvili, Aptarashvili, & Darsavelidze, 2010). კვლევა 2010 წელს ჩატარდა და მასში 224 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ (5 385 მოსწავლე). შედეგებმა აჩვენა, რომ ის ფაქტორები, რომლებიც დადებითად მოქმედებს მოსწავლეების თვითკომპეტენტურობის განცდის ამაღლებაზე, წარმოადგენს სკოლის კულტურის შემადგენელ კომპონენტებს (Tsereteli, Martskvishvili, Aptarashvili, & Darsavelidze, 2010). კვლევამ შემდეგი რეზულტატი აჩვენა: წარმატების განცდა პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ რამდენად არიან ჩართულნი მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ოჯახის წევრები. ასევე, მოსწავლეების მაღალი თვითშეფასების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მშობლების დამოკიდებულება შვილების განათლებისადმი და რწმენა იმისა, რომ მათ შვილებს შეუძლიათ აკადემიური მიმართულებით წარმატების მიღწევა.

კვლევის ფარგლებში მასწავლებლებთან დაკავშირებითაც გამოვლინდა საინტერესო მიგნებები. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ წარმატების განცდის წინაპირობა ხშირად მასწავლებლების რჩევები და მათი სამართლიანი დამოკიდებულებაა.

მნიშვნელოვანი კორელაცია გამოვლინდა შემდეგ ფაქტორებს შორისაც: წარმატების განცდა დიდწილად არის დაკავშირებული მოსწავლის მიერ დავალების შესრულებასთან: რაც უფრო მეტ სიამოვნებას იღებს მოსწავლე საშინაო დავალების შესრულებით, მით მაღალია მისი თვითკომპეტენტურობის განცდა. ასევე გამოიკვეთა, რომ სასკოლო სპორტული და სახელოვნებო აქტივობები დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების ბედნიერებისა და წარმატების განცდაზე. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს მით უფრო მაღალი აქვთ ბედნიერების განცდა, რაც უფრო მეტადაა მომავლის ოპტიმისტური ხედვა მხარდაჭერილი სკოლაში (Tsereteli, Martskvishvili, Aptarashvili, & Darsavelidze, 2010).

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი კავშირი გამოვლინდა თვითკომპეტენტურობას, ბედნიერების განცდასა და სკოლასთან დაკავშირებულ ფაქტორებს შორის, როგორებიცაა: სკოლის კულტურა, სასკოლო კლიმატი, მასწავლებლები, სწავლების სტილი.

ამ შედეგებმა აჩვენა, რომ სასკოლო კულტურა პირდაპირ კორელაციაშია თვითკომპეტენტურობის განცდასთან და შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა, საკლასო ოთახი, მასწავლებელი - ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც მოსწავლეებზე დიდ გავლენას ახდენს. სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც წესები ცხადია და მკაფიო, სადაც მასწავლებლები სამართლიანები არიან და მოსწავლეებმა იციან, რა არის სავალდებულო და რა - მეორეხარისხოვანი. სწორედ ასეთ გარემოშია უფრო დიდი შანსი, მოსწავლეებს ჰქონდეთ მეტად პოზიტიური ურთიერთობა ერთმანეთთან და მეტად ბედნიერად და წარმატებულადაც იგრძნონ თავი (Tsereteli, Martskvishvili, Aptarashvili, & Darsavelidze, 2010).

ამ დაკვირვებას კი კიდევ ერთ დასკვნამდე მივყავართ: ისეთ სასკოლო გარემოში, რომელშიც მოსწავლეების ბედნიერების ხარისხი და თვითშეფასება მაღალია, რომელშიც მასწავლებლები სამართლიანნი არიან, ხოლო მოზარდები აქტიურად ჩართულნი სასკოლო სპორტულ თუ სახელოვნებო აქტივობებში, შეუძლებელია მივიღოთ მოცემულობა, რომ სკოლაში პერმანენტული და გახშირებული ბულინგის შემთხვევები იყოს სახეზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია სკოლის ისეთი კულტურის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობს ბულინგის პრევენციული მექანიზმების დამკვიდრებას და საუკეთესო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

### 2.3 სკოლებში მოსწავლეებისადმი სამართლიანი მიდგომის ხედვა<sup>13</sup>

სასწავლო პროცესის მკვლევრები საუკეთესო სასწავლო გარემოს აღწერისას აღნიშნავენ მოსწავლეებისადმი არა თანასწორ, არამედ სამართლიან მიდგომას (Equity vs. Equality). სამართლიანი დამოკიდებულება ნიშნავს, იმ შესაძლებლობების გააზრებას, რომლებსაც საჭიროებენ ინდივიდუალურად მოსწავლეები, რათა მათ მიაღწიონ წარმატებას - ეს კი იმაზე მეტია, რასაც ჩვენ თანასწორობას ვუწოდებთ. სამართლიანი მიდგომის უპირატესობას იკვლევენ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში (MIT, Teaching System LAB). ლაბორატორიის დირექტორის - ჯასტინ რეიხის თქმით, სკოლების დიდ ნაწილში კვლავ შევხვდებით „პრივილეგირებულ“ და შედარებით პროცესიდან გარიყულ მოსწავლეებს. მოსწავლეების წარუმატებლობას, სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ დაბალ ინტერესს კი სკოლის ადმინისტრატორები და მასწავლებლები მოზარდების სიზარმაცეს მიაწერენ ხოლმე, რაც მკვლევრის აზრით, მცდარი დამოკიდებულებაა. სწორედ ამიტომ რაიხი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, სკოლებმა და მასწავლებლებმა კარგად გაიაზრონ, რას ნიშნავს სამართლიანი გარემო და როგორ უზრუნველყოფს სამართლიანობა კეთილგანწყობილ გარემოს სკოლებში (Reich, 2020).

განათლების მკვლევარი ვარდერბილტის უნივერსიტეტიდან, რიჩარდ მილნერი, თავის სტატიაში „ტესტის მიღმა: საგანმანათლებლო პრაქტიკაში შესაძლებლობებს შორის განსხვავებების ახსნა“ გვთავაზობს პრობლემების გააზრების ახლებულ ხედვას, ე. წ. პედაგოგთა მსოფლმხედველობას (Educator Mindset), რომელიც ასწავლის მათ, შეხედონ მოსწავლეებს განსხვავებულად, გაიაზრონ თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და ის გარემო ფაქტორები,

<sup>13</sup> ქვეთავში გაანალიზებული მასალა გამოყენებულია სტატიაში.  
ასათიანი, ნ., & წერეთელი, მ. (2021) სამართლიანობა თუ თანასწორობა საკლასო ოთახში.  
ჟურნალი განათლების მეცნიერება, <http://jes.org.ge/number/10/article/73/>

რომლებსაც სკოლის გარეთ აწყდებიან/განიცდიან მოსწავლეები (Milner, 2012). რიჩ მილნერის აზრით, სწორედ გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია საკლასო ოთახში სამართლიანი (ინდივიდუალური) და არა თანასწორი მიდგომის დამკვიდრება.

იგივე მკვლევარი თავის წიგნში „კონტროლს მიღმა დარჩენილი ბავშვები: რატომ უნდა გადავხედოთ კლასში მენეჯმენტს სამართლიანობისთვის“ განმარტავს: იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არასამართლიან და არათანასწორ გარემოში, მოსწავლეებს წარმატების მიღწევისთვის სხვადასხვა ტიპისა და დონის მხარდაჭერა სჭირდებათ. აუცილებელია, სკოლამ, კერძოდ კი, მასწავლებლებმა გაიაზრონ, რომ თითოეულ მოსწავლეს შესწევს უნარი, ისწავლოს და ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება (Milner, 2018). თუკი შევაჯამებთ მილნერის პოზიციას, დავრწმუნდებით, რომ მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომით არის შესაძლებელი თითოეულმა მოსწავლემ იგრძნოს ყურადღების ის ხარისხი, რომელიც მას საკუთარი თავის რეალიზებისთვის სჭირდება.

MIT-ის პროფესორის, ჯასტინ რეიხის აზრით, მასწავლებლებმა კარგად უნდა გაიაზრონ, რომ სწორედ ისინი არიან ახალგაზრდა თაობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი. საკლასო ოთახში კლიმატის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს პედაგოგი: რას ამჩნევს ის კლასში, რას წყვეტს, რომ ნაკლები ყურადღება დაუთმოს, როგორ ახერხებს სიტუაციების ინტერპრეტაციას - ეს ყველაფერი დიდ როლს ასრულებს მოსწავლეების კეთილგანწყობისა და პროდუქტიულობის გაზრდაში. იმის გასაგებად, რომ მასწავლებლების განწყობა და მიკერძოებულობა ხშირად ახდენს გავლენას საკლასო კლიმატზე, რეიხს მარტივი მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ, საკლასო ოთახში გაკვეთილის მსვლელობისას ორი მოსწავლე საუბრობს ერთმანეთში და ხელს უშლის მასწავლებელს, მასწავლებელს დიდი ალბათობით, ამ ფაქტზე

იმის მიხედვით ირეაგირებს, თუკი გარკვეული ინფორმაცია ექნება ამ მოსწავლეების შესახებ, კერძოდ, ბეჯითები არიან თუ ზარმაცები, გოგონები არიან თუ ბიჭები და სხვ... ამრიგად, რეიხის აზრით, მასწავლებლების მხრიდან რეაგირებაზე გავლენას ახდენს მათი პირადი დამოკიდებულებები და განწყობები და რეაქციაც შესაბამისია (Reich, 2020). სწორედ ეს წინასწარი და გაბატონებული სხვადასხვაგვარი განწყობა ასრულებს დიდ როლს (და ხშირად უარყოფითს) მასწავლებლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სწორედ ამიტომ აუცილებელია, მასწავლებლებმა იცოდნენ, როგორ მართონ ეს წინასწარი „განწყობები“ და როგორ უზრუნველყონ ინდივიდუალური და უნიკალური მიდგომა თითოეული მოსწავლისადმი. იმავეს ამტკიცებს რიჩარდ მილნერი თავის 2018 წლის წიგნში. მისი აზრით, აუცილებელია, მასწავლებელმა იმოქმედოს მაქსიმალურად სამართლიანად და არასდროს იხელმძღვანელოს კლიშეებით თუ წინასწარი განწყობებით (Milner, 2018).

მილნერი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებს მოსწავლეების წარმატებას, კარგი შეფასებებით სკოლის დამთავრებასა და ცხოვრებისთვის მათ მომზადებას. ხშირად მსჯელობენ მოსწავლეების განსხვავებულ შეფასებებზე (Achievement gaps), თუმცა, უმეტესწილად, ავიწყდებათ, რომ მიღწევებს შორის სხვაობა, როგორც წესი, შესაძლებლობებს შორის სხვაობითაა გამოწვეული (Milner, 2020). მილნერის თქმით, მხოლოდ მოსწავლეთა ნაწილს აქვს საშუალება, ჰქონდეს საკუთარი ოთახი, მაგიდა და სკამი, აგრეთვე, იღებდეს ბალანსირებულ საკვებს, მაშინ, როცა მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ეს შესაძლებლობები თითქმის არ გააჩნია. ზემოაღნიშნული გარე ფაქტორები კი, ცხადია, განათლების მიღების შესაძლებლობებს ცვლის, რაც ყველაზე მეტად მიღწევებზე აისახება. აუცილებელია, სკოლებმა გაითავისონ ის გარე ფაქტორები, რომლებშიც მოსწავლეებს ცხოვრება სკოლის მიღმა უწევთ. აგრეთვე გასათვალისწინებელია, როგორ ახდენს გავლენას გარე მახასიათებლები მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე.



როდესაც მასწავლებელი ამ ფაქტორებს გარკვეულწილად მნიშვნელობას ანიჭებს და აანალიზებს, იგი ცდილობს ყველა მოსწავლეს ინდივიდუალურად მიუდგეს და წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტულ მიდგომებს გვერდი აუაროს. მილნერის განმარტებით, როდესაც მოსწავლე დიდ ენერჯიას არ ახმარს სასწავლო პროცესს და არ მუშაობს საკმარისად საკუთარ თავზე, მასწავლებლების უმეტესობა ფიქრობს, რომ ის ზარმაცია და უკეთეს შეფასებას არც იმსახურებს, თუმცა ასეთ დროს მთავარი გარე ფაქტორების გავლენა რჩებათ ხოლმე ყურადღების მიღმა, რაც მოსწავლის „ბრალი“ არასდროს არის (Milner, 2020).

სწორედ ამიტომ ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ აუცილებელია, საკლასო ოთახში ყველა მოსწავლე არათუ თანაბრად იღებდეს ყურადღებას და მხარდაჭერას, არამედ თითოეული მათგანი ისეთი ხარისხისა და ოდენობის გულისხმიერებას უნდა გრძნობდეს მასწავლებლისგან, როგორც მათ ინდივიდუალურად სჭირდებათ წარმატების მისაღწევად. როდესაც სკოლაში, საკლასო ოთახში მოსწავლეების მხარდაჭერის მექანიზმები არსებობს და ფუნქციონირებს, მოზარდები სწავლის თუ სოციალიზაციის თვალსაზრისით გაცილებით დიდ წარმატებას აღწევენ. სწორედ ამიტომ მასწავლებლები უნდა ფიქრობდნენ პროცესის გაუმჯობესებაზე და, ამასთან, ინდივიდუალურად მიდგომის მეთოდების შემუშავებასა და დახვეწაზე.

განათლების მკვლევრები, მათ შორის, MIT-ის პროფესორი ჯასტინ რეიხი, სამართლიან მიდგომაზე საუბრისას განმარტავს, რომ აუცილებელია სკოლებში დამკვიდრდეს მოსწავლეების უპირატესობის ხაზგასმაზე დაფუძნებული აზროვნება, ნაცვლად ნაკლოვანებაზე დაფუძნებულისა და კარგად გავიაროთ, თუ როგორ შეუძლიათ პედაგოგებს მოსწავლეების დახმარება მათი ძლიერი მხარეების გამოკვეთის გზით (Reich, 2020).

იმავე პოზიციას იზიარებს განათლების სპეციალისტი, ყოფილი პედაგოგი და აშშ-ში გატარებული არაერთი რეფორმის ავტორი, ზარეტა ჰამონდი. მისი თქმით, იმისთვის, რომ მოსწავლეებმა კლასში კომფორტულად იგრძნონ თავი, აუცილებელია, მათ უნიკალურ შესაძლებლობებზე, ტალანტზე, ნიჭზე სისტემატურად გამახვილდეს ყურადღება. პედაგოგს, როგორც კი ის მოსწავლის ნაკლოვანებებს უსვამს ხაზს, მოსწავლის მიმართ დაბალი მოლოდინი უჩნდება, აღარ ასწავლის ისეთი მონდომებით, როგორც ნიჭიერ მოსწავლეს ასწავლიდა და, შესაბამისად, მოსწავლის მიღწევებიც არასდროს იქნება მაღალი (Hammond, 2014).

ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი, დავიდ სკოტ იეგერი მიიჩნევს, რომ მოსწავლეები მაშინ აღწევენ კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს, როცა მასწავლებელი მათ უპირატესობებზეა ორიენტირებული და არასდროს უმახვილებს ყურადღებას ნაკლოვანებებზე (Yeager, 2014). მისივე თქმით, მოსწავლეები და სტუდენტები არასდროს უნდა შევაფასოთ სხვადასხვა ჯგუფში მიკუთვნების შესაბამისად, არამედ უფრო მასშტაბურად, მათი ინტერესებისა და ნიჭის გათვალისწინებით. ამასთან, იეგერი იმასაც წერს, რომ როცა ჩვენ მივუთითებთ მოსწავლეებს საკუთარი ნაკლოვანებებისკენ, სწორედ ეს არის საუკეთესო გზა, მივაჩვიოთ ისინი, არ ისწავლონ და არ გამოსცადონ არაფერი ახალი (Yeager, 2014).

უპირატესობებზე ორიენტირებისთვის კი მკვლევრები გვთავაზობენ ე. წ. გონიერ უკუკავშირს (wise feedback), რომლის დროსაც მასწავლებელი მშრალად კი არ აფასებს მოსწავლეს, არამედ ღრმად აანალიზებს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას შეუძლია, ასეთი სირთულის დავალებას წარმატებით გაართვას თავი და ეს მისი ნიჭის და გონიერების დამსახურებაა (Wright, 2016).

## თავი 3 - გარემო და აგრესიული ქცევა

### 3.1 აგრესიული ქცევის განმარტება და დახასიათება

ბულინგისა და სკოლის კულტურის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გააზრებით, ცხადი გახდა, რამდენად დიდ გავლენას ახდენს გარემო მოზარდების ქცევის ფორმირებაზე. იმისთვის, რომ გავიაზროთ აგრესიული ქცევის დეტერმინანტები, გარემოს როლი და გავლენა, რომელშიც მოზარდი ვითარდება, უპირველეს ყოვლისა, ჯერ თავად აგრესიული ქცევის რაობა და მისი თავისებურებები უნდა გავაანალიზოთ.

ძალადობა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ამას ადასტურებს არაერთი სოციოლოგიური კვლევაც, რომლებსაც მკვლევრებმა - რობერტ ბერონმა და დებორა რიჩარდსონმა თავი მოუყარეს წიგნში „აგრესია“ (Бэрон, Агрессия, 2000). ისინი აქცენტს სვამენ საგანგაშო სტატისტიკაზე და წერენ, რომ ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში 3 ათასიდან 5 ათასამდე ბავშვი კვდება მათი მშობლების მხრიდან აგრესიული მოპყრობის შედეგად. ბავშვების 16% აღნიშნავს, რომ ძმები ან/და დები მათ სცემენ. ამასთან, 1990 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 15-დან 34 წლამდე შავკანიანი ამერიკელების სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი სწორედ ძალადობაა (Бэрон, Агрессия, 2000).

მსგავსი სტატისტიკის გააზრება მართლაც გვაფიქრებინებს, რომ ძალადობა, კონფლიქტები - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელსაც დღეს მოზარდები აწყდებიან და ამ პრობლემის დაძლევა მხოლოდ საკითხის სისტემური და კომპლექსური შესწავლით არის შესაძლებელი.

ადამიანის განვითარების ეტაპებს შორის მოზარდობის ასაკი ისეთ პერიოდად მიიჩნევა, როცა რისკის შემცველი ქცევები ჩვეულებრივი მოვლენაა. იმის

ალბათობა, რომ დამამთავრებელ კლასებში სწავლისას ინდივიდი შესაძლოა ჩაერთოს აგრესიულ ან ძალადობრივ ქცევებში, საკმაოდ მაღალია, რასაც გასულ წლებში მოზარდთა შორის აგრესიული და ძალადობრივი მოქმედებების შესახებ ჩატარებული კვლევებიც ცხადყოფს (Huang, White, Kosterman, & Catalano, 2001); (White, Brick, & Hansell., 1993) კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარი რობერტ მარკუსი თავის წიგნში “Aggression and Violence in Adolescence” ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის დეპარტამენტზე დაყრდნობით წერს, რომ 14-დან 18 წლამდე ვაჟების 42% და გოგონების 28% აღიარებენ, რომ მათ წინა წელს გამოსცადეს ფიზიკური დაპირისპირება (Marcus, 2007). იგივე ავტორი ჯანმრთელობის სტატისტიკის ეროვნული ცენტრის ინფორმაციის გათვალისწინებით, განმარტავს, რომ მკვლელობის შედეგად გარდაცვალების ფაქტები სტაბილურად იკავებს მეორე ადგილს სიკვდილის მიზეზებს შორის 15-დან 24 წლამდე ასაკის პირებში.

კლინიცისტი პროფესორი რობერტ მარკუსი, რომელიც 30 წელზე მეტ ხანს მუშაობდა საშუალო სკოლისა და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან, აგრესიისა და ძალადობის განმარტებებს გვთავაზობს. მისი პოზიციის მიხედვით, აგრესია ყოველთვის ინტერსპერსონალურ დაპირისპირებებთანაა დაკავშირებული, განსხვავებით სხვა ძალადობრივი ქცევებისგან, როგორებიცაა ქურდობა, ვანდალიზმი და სხვ. (Marcus, 2007).

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ლექსიკონში აგრესია განმარტებულია, როგორც ქცევა, რომლის მიზანია სხვისი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დაზარალება. ბრაზისგან განსხვავებით, აგრესია არის ქცევა, რომელსაც შედეგად მოჰყვება სხვისთვის ზიანის მიყენება, განადგურება ან დამარცხება (dictionary.apa.org).<sup>14</sup> თუმცა, გარდა სხვისთვის ზიანის მიყენებისა (ე. წ.

<sup>14</sup> American Psychological Association (APA) online dictionary <https://dictionary.apa.org/aggression>

მტრული აგრესიისა), მოზარდის მხრიდან აგრესიული ქცევის მოტივი შესაძლოა იყოს სწრაფვა, აგრესიული ქმედების საშუალებით მიაღწიოს დასახულ მიზანს (ქურხული, 2006, გვ: 15) სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევარი ლეონარდ ბერკოვიცი უმეტესად ორი ტიპის აგრესიას გამოყოფდა. ესენია პროაქტიული და რეაქტიული (საპასუხო) აგრესიული ქმედება (Berkowitz, 1993), თუმცა ნებისმიერი ფორმის აგრესიაზე საუბრისას ყველა მკვლევარი და, მათ შორის ბერკოვიცი, განმარტავს, რომ გარემო აგრესიული ქცევის ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტია.

### 3.2 აგრესიის სახეები და გარემო, როგორც ამ ქცევის დეტერმინანტი

სამეცნიერო ლიტერატურაში აგრესიული ქცევის კლასიფიკაცია სხადასხვაგვარი გვხვდება, თუმცა ყველა შემთხვევაში აგრესიული ქცევის საფუძვლად პირდაპირი თუ ირიბი ზიანის მიყენება სახელდება. მკვლევარი ვულფოლკი აგრესიული ქცევის შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

1. ინსტრუმენტული აგრესია - აქტივობა, რომლის მიზანია სხვისი ნივთის თუ სხვასთან უპირატესობის მოპოვება. ამ ქცევას არ ახლავს წყენის განზრახვა, მაგრამ შესაძლებელია, გამოიწვიოს გულისტკენა;

2. მტრული აგრესია - თავხედური, პირდაპირი მოქმედება, რომელიც ვინმეს გულისტკენისკენაა მიმართული,

ა. აშკარა აგრესია - მტრული აგრესიის ფორმა, რომელიც ფიზიკურ თავდასხმაში ვლინდება;

ბ. ურთიერთობითი აგრესია - მტრული აგრესიის ფორმა, რომელიც გულისხმობს სიტყვიერ თავდასხმას და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების დამაზიანებელ ქმედებებს (ვულფოლკი, 2009).

აგრესიული ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებზე მრავალი მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას. აგრესიის თეორიების რეტროსპექტული ანალიზი გიჩვენებს, რომ ისეთი თეორიებიც კი, რომლებიც აგრესიას თანდაყოლილ და ინსტინქტურ ქცევად განიხილავს, წარმოაჩენს გარემოს როლს აგრესიული ქცევის განხორციელებაში. ერთ-ერთი პირველი, ვინც აგრესიის ინსტინქტური ბუნების კვლევა დაიწყო, კონრად ლორენცი გახლდათ. მისი დაკვირვებით, ამ ინსტინქტის უკან თვითგადარჩენის სურვილია, რაც ყველა ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს. თუმცა მანვე განმარტა, რომ ეს დაგროვილი შინაგანი იმპულსი მხოლოდ მაშინ იქცევა აგრესიად, როდესაც გარემო იძლევა ამის შესაძლებლობას (Lorenz, 1966).

შესაბამისად, თუ მოზარდს უწევს არაკეთილგანწყობილ სასკოლო გარემოში ყოფნა, უფრო დიდი იქნება ალბათობა იმისა, რომ მან სწორედ აგრესიული ქცევით გადაწყვიტოს მის წინაშე არსებული საკითხები. გარემო, როგორც აგრესიული ქცევის განმაპირობებელი, კარგად აღწერა შოთა ნადირაშვილმა წიგნში „განწყობის ანტროპული თეორია“, სადაც მას იროკეზების ტომის მაგალითი მოჰყავს: ამ ტომის წარმომადგენლებს აგრესიის დაბალი დონე აღენიშნებოდათ მანამ, სანამ იქ თეთრკანიანები შეიჭრებოდნენ. შეჭრის შემდეგ მათი მშვიდობისმოყვარეობიდან აღარაფერი დარჩა და ისინი აგრესიული ტომის წევრებად ჩამოყალიბდნენ. მეტიც, ისინი აგრესიის ტენდენციას ამჟღავნებდნენ მაშინაც კი, როცა ამის არანაირი საფუძველი არ არსებობდა (ნადირაშვილი შ, 2001). არაერთი თეორიისა და აგრესიასთან დაკავშირებული ლიტერატურის კვლევა გვიჩვენებს, რომ გარემო მნიშვნელოვანი ცვლადია აგრესიის შესწავლისას.

გარემოს მნიშვნელობაზე საინტერესო მიგნებებს გვთავაზობს ქართველი მკვლევარი ნათია ჯანაშია წიგნში „განვითარებისა და სწავლის თეორიები“. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოზარდებში აგრესიის

განვითარებას უწყობს ხელს. ეს ფაქტორებია: *სამყაროს მხოლოდ საკუთარი გადმოსახედიდან აღქმა* (მოზარდებს, რომლებსაც უჭირთ სიტუაციის სხვა ადამიანის მდგომარეობიდან აღქმა, როგორც წესი, ახასიათებთ აგრესიულობა), *სოციალური სიგნალების არასწორი ინტერპრეტაცია* (მოზარდები აგრესიულად პასუხობენ იმ სოციალურ ქცევებს, რომლებსაც მათ არ ესმით), *ეგოისტური მიზნების სიჭარბე* - როგორც წესი, თუ მოსწავლისთვის პრიორიტეტული ეგოისტური მიზნებია, მას უჭირს მეგობრული ურთიერთობის დამყარება. *რწმენა იმისა, რომ აგრესია მისაღები და ეფექტურია* - როცა მოზარდმა იცის, რომ აგრესია ურთიერთობის მიღებული ფორმაა, ცხადია, ეს ამ ქცევის მყარი განმაპირობებელი ხდება. კვლევების თანახმად, ბევრი მოზარდი მიიჩნევს, რომ აგრესია და აგრესიის ფორმები კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა და აგრესიულ ქმედებას დადებით შედეგებამდე მიჰყავთ ისინი (ჯანაშია, განვითარებისა და სწავლის თეორიები, 2008, გვ: 46).

ამრიგად, აგრესიული ქცევის განმარტების გააზრება თავიდანვე ცხადყოფს, რომ გარემო მნიშვნელოვანი ცვლადია, როცა ჩვენ აგრესიული ქცევის შესწავლა გვსურს.

ბავშვებში აგრესიული ქცევის კვლევა, რომელიც ტელეგადაცემების თუ ვიდეოთამაშების გავლენითაა პროვოცირებული, ყოველთვის იყო დაკვირვების საგანი. 2010 წელს მკვლევრებმა: ანდერსონმა, შიბუამ, ბუშმანმა და სხვებმა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების მეტაანალიზით დაადგინეს, რომ ძალადობრივი ვიდეოთამაშები ცალსახად წარმოადგენს კაუზალურ რისკფაქტორს აგრესიული ქცევისთვის (Anderson CA, 2010).

აგრესიული ქცევის მოდელირებაზე ამახვილებს ყურადღებას ანიტა ვულფორკიც. მისი განმარტებით, ბავშვები, რომლებიც ძალადობით სავსე ოჯახში გაიზარდნენ, პრობლემის გადაჭრის მიზნით ხშირად მიმართავენ აგრესიას. ამასთან, „მისაბადი“ აგრესიის ერთ-ერთ რეალურ წყაროდ ვულფორკი

სწორედ ტელევიზიას ასახელებს. მას გრძელვადიანი გამოკვლევების შედეგები მოჰყავს, რომლითაც ხდება აშკარა, რომ ძალადობრივი სატელევიზიო სანახაობა ზრდის აგრესიული ქცევების ალბათობას მოზარდებში (ვულფოლკი, 2009).

აგრესიული ქცევა სოციალურ ვაკუუმში რომ არ წარმოიშობა, ამაზე მეტყველებს შურისძიების შესწავლის მიზნით ჩატარებული მრავალი კვლევა. კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანები უფრო სასტიკად და მეტად აგრესიულად იძიებენ ხოლმე შურს მაშინ, როცა მათზე განხორციელებულ ძალადობას ჰყავდა თვითმხილველები, ან მაშინ, როცა ადამიანი მიიჩნევს, რომ მას სხვების თვალში აღსადგენი აქვს რეპუტაცია, პატივისცემა, სახელი (Chester & DeWall, 2018).

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად შეხვდებით აგრესიის გამომწვევი სოციალური ფაქტორების გაანალიზების მცდელობებს, თუმცა აგრესიაზე საუბრისას ფიზიკურ გარემოში არსებული ისეთი დეტერმინანტებიც უნდა გვახსოვდეს, როგორებიცაა სიცხე, ხმაური, სიმჭიდროვე და დაბინძურებული ჰაერი. ამ გარემოფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას ვისკონსის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი ჩარლზ ზასტროუ თავის წიგნში „ადამიანის ქცევის გაგება და სოციალური გარემო“. მისი თქმით, ჩამოთვლილი ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენს ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე - ჩვენი ფიზიოლოგიური თუ ემოციური მდგომარეობა და უნარი, წარმატებით გავართვათ თავი სხვადასხვა ამოცანას, ხშირად სწორედ გარემოში არსებულ ობიექტურ მოცემულობებზეა დამოკიდებული (Zastrow, 2015). მეცნიერების აზრით, ტემპერატურა, ხმაური, დაბინძურებული, მჭიდროდ დასახლებული გარემო და სხვა გარემოში არსებული ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ აგრესიული ქცევის აღმოცენებაზე (Carlsmith JM, 1979); (Zastrow, 2015); (Zastrow, 2015). ამავე პოზიციას იზიარებდა ბანდურა (Bandura A. , 1973), რომელიც განმარტავდა, რომ



ნებისმიერი ტიპის არასასურველი და არასასიამოვნო გარემო ფაქტორი, რომელიც ფიზიკურ დისკომფორტს უქმნის ადამიანს, შეიძლება გახდეს აგრესიის აღმძვრელი იმ შემთხვევაში, თუ პოტენციურ აგრესორში ქცევის ეს მოდელი დომინირებს.

აგრესიის გამომწვევ ფაქტორებზე საუბრისას აუცილებელია, კიდევ ერთი თეორია გავიაზროთ, რომელიც აგრესიისა და ფრუსტრაციის კავშირზე ამხვილებს ყურადღებას. ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით მოსაზრებას, რომ ფრუსტრაცია იწვევს აგრესიის გარკვეულ ფორმას და აგრესია შეგვიძლია ფრუსტრაციის რეზულტატად განვიხილოთ (Ristic-Dimitrijević R, 2011). თუმცა აგრესიის ირგვლივ დაგროვებული კვლევების მეტაანალიზი გვიჩვენებს, რომ აგრესია და ფრუსტრაცია ერთმანეთთან პირდაპირ არ უნდა დავაკავშიროთ. კერძოდ, ფრუსტრაცია ერთმნიშვნელოვნად არ იწვევს აგრესიას, არამედ ის შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთი მაპროვოცირებელი გახდეს. ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევრის, ლეონარდ ბერკოვიცის განმარტებით, ფრუსტრაცია აგრესიას იმ ადამიანებში იწვევს, რომლებიც მიეჩვივნენ ფრუსტრაციაზე აგრესიული ქცევით რეაგირებას (Leonard Berkowitz, 1969). იმავეს ადასტურებს ალბერტ ბანდურას კვლევები, რომელთა თანახმადაც ადამიანები, რომლებსაც ზოგადად არ ახასიათებთ აგრესიული ქცევა, ფრუსტრაციის განცდისას შესაძლოა, სულ არ მივიდნენ აგრესიულ გამოვლინებამდე (Bandura A., 1983). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფრუსტრაცია შობს ქცევის მრავალგვარ მოდელს, მათ შორის აგრესიულ ქცევას. ამასთან ფრუსტრაცია არის იმ მრავალათასიან სტიმულთაგან ერთ-ერთი, რომელიც აგრესიული ქცევის პროვოცირებას ახდენს. ამრიგად, ფრუსტრაცია ქმნის მზაობას, უბიძგოს მოზარდსა თუ ზრდასრულს აგრესიული ქცევისკენ.

აგრესიისა და ფრუსტრაციის კავშირის კვლევისას განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ფრუსტრაციის განცდას აქვს დაგროვებითი ხასიათი: თუ გარემო მოზარდის მიერ აღიქმება საფრთხის შემცველად, აქვს მართობისა და მხარდაჭერის მიღების დაბალი ალბათობის განცდა, შესაძლოა ამ გარემომ დააგროვოს მოზარდებში ფრუსტრაციის გრძნობა, რაც მათ დიდი ალბათობით აგრესიული ქცევისკენ უბიძგებს (Leonard Berkowitz, 1969).

ამრიგად, როგორც კვლევების, ისე ამ სფეროში არსებული თანამედროვე ლიტერატურის გააზრება გვიჩვენებს, რომ აგრესიული ქცევის პრედიქტორები მრავალგვარია. თუმცა ამ პრედიქტორების კვლევისას სასურველია არა მხოლოდ შინაგან და გარე ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, არამედ იმ სოციო-ეკოლოგიური გარემოს გააზრება, რომელშიც მოზარდი ვითარდება.

გარემოზე საუბრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ბავშვის ოჯახში არსებული ემოციური ფონია. ემოციურ ფონს ვრცლად მიმოიხილავს მანანა მელიქიშვილი წიგნში „ბავშვებზე ძალადობის ძირითადი საკითხები“. ემოციურ ფონში იგულისხმება თბილი ან მტრული ატმოსფერო და განმარტავს, რომ ისეთ გარემოში, რომელშიც ბავშვთა მოთხოვნები პირველ ადგილს იკავებს და ენთუზიაზმით ხვდებიან მათ ინიციატივებსა და სურვილებს, ბავშვებს უყალიბდებათ სანდო მიჯაჭვულობა და მაღალი თვითშეფასება, რაც მათი სწავლის შედეგებზეც აისახება. მელიქიშვილი განმარტავს, რომ თბილ ოჯახურ გარემოში გაზრდილი ბავშვი იშვიათად ავლენს აგრესიულ თუ დელიკვენტურ ქცევას მოზარდობის ასაკში, ხოლო მშობლის მტრული დამოკიდებულება ბავშვის მიმართ დელიკვენტური ქცევის ფორმირების სერიოზულ რისკფაქტორს წარმოადგენს (მელიქიშვილი, 2011).

ამრიგად, როცა ჩვენ მოზარდების ქცევას ვაანალიზებთ, უნდა გავიაზროთ ის შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორები, რომელთა გარემოცვაშიც უწევს მოზარდს განვითარება და ჩამოყალიბება. ამასთან, ლიტერატურის მიმოხილვა

გვაჩვენებს, რომ ნებისმიერი ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორები და დეტერმინანტები, უმეტესად, გარემოში და გარემოსთან დაკავშირებით ჩვენს შესაძლებლობებში უნდა ვეძიოთ. სწორედ ამიტომ, ჩვენი ნაშრომის ფარგლებში, გადავწყვიტეთ, ბულინგის ქცევა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის კრილში გვეკვლია.

## თავი 4 - ბულინგის გააზრება განწყობის ფსიქოლოგიის თეორიის მიხედვით

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხილული თანამედროვე კვლევები ბულინგს მრავალი თვალსაზრისით სწავლობს. ვნახეთ, რომ ფართოდაა შესწავლილი მისი პრედიქტორები თუ გამოვლინების ფორმები. სხვადასხვა თეორიის ჭრილში ბულინგის ქცევის გააზრებამ გვიჩვენა, რომ ბულინგი მრავალკომპონენტური ფენომენია და სხვადასხვა თეორია მის ამა თუ იმ ასპექტს თუ განზომილებას გამოკვეთს და ასე ცდილობს მის ახსნას.

მიდგომების განხილვამ ასევე დაგვანახა, რომ მიუხედავად თეორიათა სიმრავლისა, მათი უმეტესობა ბულინგის ან ძალიან ზოგად სურათს იძლევა, ან მისი მხოლოდ სოციალური ასპექტია წინ წამოწეული. ამკარაა, რომ არ არსებობს ერთიანი მოდელი, რომელიც ახსნიდა ბულინგის, როგორც ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიურ ბუნებას და მისი მოქმედების მექანიზმს.

ბულინგის კონკრეტული მახასიათებლები (ქცევაში მონაწილე პირებს შორის გადანაწილებული როლები, მისი განმეორებითი ბუნება და სხვა) გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ეს ქცევა გარკვეული გარემოებების თანხვედრის შემთხვევაში აღმოცენდება და, შესაბამისად, საჭიროა მისი მოქმედების მექანიზმის შესწავლა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ პრობლემის მთლიანობითი სურათის დანახვა და მისი ფუნქციონირების ფსიქოლოგიური მოდელის გააზრება. ამ თვალსაზრისით კი საინტერესო სურათს ქმნის ბულინგის ქცევის **განწყობის თეორიის** ჭრილში გააზრება, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს, პიროვნულ დონეზე ავხსნათ ამ ტიპის ქცევის ჩამოყალიბებისა და მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი და იმავდროულად, გავითვალისწინოთ გარემოს ზემოქმედებაც, ქცევის დროში დინამიკა/განვითარება და გარემოში განფენილობა.

საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო კვლევების ანალიზის საფუძველზე თუ შევაჯამებთ ბულინგის სხვადასხვა ასპექტს, აღმოჩნდება, რომ ცალსახად გამოკვეთილია ბულინგის სამი ძირითადი ფაქტორის მოქმედება. ეს ფაქტორებია: პიროვნული აგრესია, აგრესიის რეალიზებისთვის საჭირო ობიექტის (მსხვერპლის) არსებობა და გარემო / გარემოში არსებული შესაძლებლობები.

ამდენად, არსებული კვლევების გააზრების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბულინგის განხორციელებისთვის უნდა არსებობდეს აგრესია (მოთხოვნილება), მსხვერპლი (მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი) და გარემო (ინსტრუმენტული შესაძლებლობები). აღნიშნულ ფაქტორთა ურთიერთქმედებას კი კარგად ხსნის განწყობის თეორია და სწორად ამიტომ გადავწყვიტეთ, ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მოქმედების მექანიზმი განწყობის თეორიის გამოყენებით გვეკვლია.

განწყობის თეორიის თანახმად, ყველა ტიპის აქტივობას საფუძვლად უდევს მთლიან-პიროვნული მდგომარეობა - განწყობა (უზნაძე, 1998). ეს ინდივიდის მდგომარეობაა, რომელიც ადამიანში ყალიბდება მოთხოვნილების, მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციისა და ამ სიტუაციაში ამავე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინსტრუმენტული შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში. განწყობა ინდივიდს ამზადებს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისთვის (ნადირაშვილი შ. , 1975) (ნადირაშვილი შ. , 1983). თუ ქცევას აქვს სისტემატური ხასიათი ან დიდი პიროვნული წონა, მის საფუძვლად მდებარე აქტუალური განწყობა ფიქსირდება და ინდივიდში მყარი სტრუქტურის, ფიქსირებული განწყობის სახით წარმოჩნდება (უზნაძე, 1977).

განწყობის თეორიის მიხედვით, მოთხოვნილების მქონე სუბიექტი, გარემოსთან მიმართების დამყარებისას, მას საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტად აფასებს (უზნაძე, 1977). საგანი ინდივიდისთვის ინდიფერენტული

კი აღარ არის, იგი სუბიექტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტის მნიშვნელობას იძენს და ობიექტი იმდენადაა მნიშვნელოვანი სუბიექტისთვის, რამდენადაც იგი მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მოთხოვნილების მქონე სუბიექტის მიერ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გარემოს ობიექტთან მიმართების ხშირი დამყარების ან ამ მიმართების დიდი პიროვნული წონის გამო ამ დროს სუბიექტში წარმოშობილი მთლიან-პიროვნული მდგომარეობა - განწყობა - ფიქსირდება. ამიერიდან ეს ობიექტი სუბიექტის მიერ ამ კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისად ფასდება და მას ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებლის მნიშვნელობა ენიჭება.

თეორიის განვითარების შემდეგ ეტაპზე დადგინდა, რომ სოციალური მოთხოვნების ზეგავლენით განხორციელებული ქცევის საფუძველს უმეტესად სწორედ ასეთი ფიქსირებული - დისპოზიციური განწყობები წარმოადგენენ. ეს განწყობები, როგორც წესი, სოციალური წარმოშობისაა და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ არიან მიმართული (ბალიაშვილი, 1980), (ნადირაშვილი შ. , 1975), (Надирашвили Ш.А., 1987).

აღსანიშნავია, რომ დისპოზიციური განწყობის საფუძველზე ინდივიდს უყალიბდება გარე საგნებისა და მოვლენებისადმი შეფასებები, რაც მიმღებლობა-მიუღებლობაში ვლინდება - ეს მოვლენები თუ საგნები რიგ შემთხვევებში ხელს უწყობს განწყობის რეალიზებას და რიგ შემთხვევებში აფერხებს მას. შესაბამისად, ინდივიდს უყალიბდება შეფასებითი დამოკიდებულება ამ საგნებისა და მოვლენების მიმართ, რაც დიდ გავლენას ახდენს გარემოში აქტივობაზე თუ გარემოსადმი ადაპტაციაზე (ნადირაშვილი შ. , 2001). ამასთან, მოზარდთა ქცევის კვლევის პროცესში საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: თეორიის თანახმად, დისპოზიციური განწყობის ფორმირებაზე

გავლენას ახდენს სოციალური გარემოს ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა სოციალური მხარდაჭერა, მიზაძვა, როლის შესრულება და სხვა.

ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას განწყობის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება - **ობიექტივაციის აქტი** - ხსნის (ნადირაშვილი შ. , 1983) (უზნაძე, 1977). განწყობის თეორიის თანახმად, როცა აქტუალური განწყობის საფუძველზე მიმდინარე ქცევა ფერხდება წარმოქმნილი დაბრკოლების გამო, ქცევის მორიგი რგოლი ქცევის აქტთა ჯაჭვიდან ამოვარდება და იმპულსური მოქმედება წყდება. იგი სუბიექტის საგანგებო დაკვირვების, შემეცნების ობიექტად იქცევა. მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების გზაზე ეს დაბრკოლება მისი თვისებების შესწავლას მოითხოვს, რასაც ეს ქცევა კიდევ უფრო მაღალ დონეზე აჰყავს - მასში შემოდის შემეცნების პროცესი და ნაკლებია იმპულსური ქმედება. სწორედ ამ აქტის აღსანიშნავად შემოაქვს დ. უზნაძეს ტერმინი ობიექტივაციის ცნება, „რომელიც ადამიანის მოქმედებათა ჯაჭვში ჩართულ საგანს ან მოვლენას გამოყოფს, შეაჩერებს და დაკვირვების საგანგებო, დამოუკიდებელ ობიექტად იქცევა, შეიძლება ობიექტივაციის აქტის სახელწოდებით აღვნიშნოთ“ (უზნაძე, ტომი VI, გვ. 96, 1977). თეორიის თანახმად, ობიექტივაციის აქტს თან სდევს საგნის იდენტიფიკაციისა და ნომინაციის აქტები, რაც, თავის მხრივ, სოციალურ გარემოში შემდგომი წინსვლის ფსიქოლოგიურ წინაპირობას წარმოადგენს (უზნაძე, 1977).

ამრიგად, განწყობას დინამიკური ხასიათი აქვს და მისი ბუნებიდან გამომდინარე, ის გარკვეულ აქტივობაში უნდა გამოვლინდეს და სწორედ ამიტომ, როცა კი ინდივიდში ყალიბდება განწყობა, აქტივობის ეს ტენდენცია მანამ არ ქრება, სანამ ის მოქმედების ამ მოთხოვნილებას არ დაიკმაყოფილებს (ნადირაშვილი შ. , 1983). შესაბამისად, როდესაც გარემო იმგვარია, რომ ვერ ხერხდება განწყობის რეალიზება, სუბიექტში აღმოცენდება დაუკმაყოფილებლობის, შეფერხების მთლიან-პიროვნული მდგომარეობა. ეს

მდგომარეობა სუბიექტში ფიქსირდება არარეალიზებული ფიქსირებული განწყობის სახით, რაც სუბიექტში უსიამოვნო გრძნობას და დისკომფორტის განცდას იწვევს. ქცევის შეფერხების შედეგად სუბიექტი მიმართავს ობიექტივაციის აქტს. ობიექტივაციის დროს ფასდება ქცევაში წარმოშობილი პრობლემა და მისი თანმხლები დისკომფორტი და განისაზღვრება მისი დაძლევის გზები. ობიექტივაცია საფუძვლად ედება ახალი, ადეკვატური ქცევის განხორციელებას. ამრიგად, როდესაც ქცევის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრობლემა თუ წარუმატებლობა ძალიან ძლიერია, არარეალიზებული განწყობის შედეგად აღმოცენებული განცდაც, შესაბამისად, ძლიერია და არარეალიზებული განწყობა ფიქსირდება. ამ დროს სუბიექტი მიმართავს ობიექტივაციის აქტს, რის საფუძველზეც იწყებს ფიქრს, რომ ეს სიტუაცია მისთვის მიუღებელი და საშიშია. ამ განცდაზე დაყრდნობით კი, ცდილობს ამ „საშიში“ ქცევების თავის არიდებას, რაც მისთვის ახალი ცოდნის სახეს იძენს. შესაბამისად, ქცევის რეალიზაციის დროს წარმოქმნილი პრობლემა ან წარუმატებლობა ინახება, ერთი მხრივ, როგორ არარეალიზებული ფიქსირებული განწყობის და, მეორე მხრივ, როგორც მიღებული ცოდნის სახით (წერეთელი, 2005). აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ძლიერია ფიქსირებული არარეალიზებული განწყობა, მით უფრო ძლიერია ამ ქცევის განხორციელებისგან თავის არიდების ტენდენცია.

წიგნში „განწყობის ანტროპული თეორია“ შოთა ნადირაშვილი განმარტავს, რომ ცოცხალ ორგანიზმებს მოთხოვნილების დაკმაყოფილება აქტივობის გარეშე არ შეუძლიათ. ინდივიდი აქტივობას იმიტომ მიმართავს, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას მხოლოდ სინამდვილე, გარემოში არსებული საგნები იძლევა, ამიტომ ინდივიდი იძულებულია, ურთიერთობა დაამყაროს გარემოსთან და იმ საგნებთან, რომლებსაც მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლიათ (ნადირაშვილი შ. , 2001) თუმცა, იქვე დასძენს, რომ სანამ ინდივიდი მოქმედებას განახორციელებს,



მისი მოთხოვნილება გარემოს შესატყვისად შეიცვლება, რაც საბოლოო პროდუქტზე - ქცევაზეც აისახება.


ამრიგად, კონკრეტული მოთხოვნილებებისა და სიტუაციის თანხვედრის დროს ინდივიდს ისეთი განწყობა ექმნება, რომლის შესატყვისი ქცევის განსახორციელებლადაც მას სათანადო ძალები და უნარები გააჩნია (ნადირაშვილი შ., 2001) სწორედ ანთროპული თეორიის მიხედვით, ინდივიდი ისეთ მოქმედებას მიმართავს, რომელიც მის განწყობას, მოქმედების შესაფერის სიტუაციას და საკუთარ სამოქმედო ძალებს შეესატყვისება. ამ წინაპირობებს უწოდებს ნადირაშვილი ქცევის მიზანშეწონილობას და თუ ამ მიდგომას ჩვენც გავიზიარებთ, აღმოვაჩენთ, რომ ბულინგის განხორციელებისთვის აუცილებელია შესაბამისი განწყობის ამოქმედება, რასაც სათანადო სიტუაცია და საკუთარი სამოქმედო ძალების შესატყვისობა უნდა შეესაბამებოდეს. ამრიგად, შოთა ნადირაშვილი აყალიბებს ქცევის გასაგებ სამწვერიან სქემას - გარემოს, ინდივიდის მოთხოვნილებებსა და უნარებს, რომელთა ერთიანობით იქმნება განწყობა, რასაც მოსდევს მიზანშეწონილი ქცევა.

ჩვენ შევეცადეთ, ბულინგის ქცევა განწყობის თეორიის შესაბამისად გაგვეაზრებინა. განწყობის თეორია აღიარებს, რომ ყველა ადამიანში დევს აგრესიისადმი მიდრეკილება, თუმცა, თეორიის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის აქტივობის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს მოთხოვნილება წარმოადგენს, მისი არსებობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ინდივიდმა აქტივობა განახორციელოს. თეორიის მიხედვით, ინდივიდს სამოქმედოდ ისეთი სიტუაცია უზიბგებს, რომელიც მის მოთხოვნილებასთან შინაარსობრივად დაკავშირებული. როდესაც ინდივიდის მოთხოვნილებათა შესატყვისი სიტუაცია არსად ჩანს, ინდივიდს არ ექმნება აქტივობის განწყობა და იგი პასიურ, ინაქტიურ მდგომარეობაში რჩება (ნადირაშვილი შ., 2001).

ამრიგად, განწყობის თეორიის მიხედვით, ინდივიდი რა სახის ქცევას განახორციელებს, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემოზე - სწორედ გარემო აზუსტებს ინდივიდის ქცევასაც და მოთხოვნილებასაც.

განწყობის ანტროპული თეორია გვთავაზობს ინდივიდის აქტივობის შემდეგ სქემას:

სქემა N2



სქემა აღებულია შოთა ნადირაშვილის წიგნიდან „განწყობის ანტროპული თეორია“, გვ. 38

ამ სქემიდან ნათლად ჩანს, რომ გარემო (სიტუაცია) და ამ სიტუაციაში ინდივიდის შესაძლებლობები განაპირობებს განწყობას, რაც საფუძვლად ედება ქცევას.

აქედან გამომდინარე, აგრესიული ქცევა რომ განხორციელდეს, აუცილებელია როგორც შინაგანი მოთხოვნილება, ისე ამ მოთხოვნილების შესაბამისი სიტუაცია (მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი) და ინსტრუმენტული შესაძლებლობები, მოვიდეს თანხვედრაში. სწორედ ამ სამი გარემოების ერთობლიობა შეიძლება გახდეს ინდივიდის მიერ განხორციელებული აგრესიული ქცევის წინაპირობა.

ვფიქრობთ, ბულინგის ფსიქოლოგიური მექანიზმის კვლევისთვის განწყობის თეორია საინტერესო საფუძველს ქმნის, რადგან ამ თეორიით კარგად აიხსნება ბულინგის ქცევა და მისი აქტორების ურთიერთქმედების მექანიზმი. ჩვენი ჰიპოთეზაც სწორედ ამას წარმოადგენს. ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ბულინგის

ქცევის განხორციელებას სამი ძირითადი კომპონენტის თანხვედრა განაპირობებს. ეს კომპონენტებია: პიროვნული აგრესია, აგრესიის რეალიზებისთვის საჭირო ობიექტი და გარემოში არსებული შესაძლებლობები. ჩვენი დაკვირვებით, სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობა ქმნის შესაძლებელს, ბულინგის ქცევა განხორციელდეს, რასაც კარგად ესადაგება განწყობის თეორია: იმისათვის, რომ ბულინგი განხორციელდეს, უნდა არსებობდეს აგრესიის მოთხოვნილება და ის ობიექტი (მსხვერპლი), რომელსაც სუბიექტი ამ კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილებლად აფასებს, ან რომელსაც ფიქსირებული განწყობის საფუძველზე ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებლის მნიშვნელობა ენიჭება. აგრეთვე, უნდა არსებობდეს ამ (ფიქსირებული) განწყობის რეალიზაციის ინსტრუმენტული შესაძლებლობები გარემოს სახით, რომელიც ნებას მისცემს ბულერს, გამოავლინოს აგრესია.

ამგვარად, განწყობის თეორიაზე დაყრდნობით, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ როგორც კი ბულერის პოტენციური მსხვერპლი შეფასდება მისი აგრესიის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ობიექტად, ყალიბდება ბულინგის ტიპის ქცევის შესაბამისი განწყობა. იგი მოქმედებას იწყებს (რეალიზდება ქცევაში) როგორც კი მას ამ ქცევის შესრულების შესაძლებლობები ექმნება. დიდი პიროვნული წონის ან ხშირი გამეორების შემთხვევაში განწყობა ფიქსირდება და შემდგომში ავტომატურად იწყებს აქტუალიზაციასა და მოქმედებას სწორედ ამ ფიქსირებული (დისპოზიციური) განწყობის საფუძველზე.

მეორეს მხრივ, თუ ქცევის განწყობის ზემოთ მოყვანილ კომპონენტებს შორის არის კონფლიქტური მდგომარეობა, განწყობა ცდილობს ამ კომპონენტებს შორის კონსენსუსის მიღწევას და თუ ვერ შედგა ცნობიერების პროცესების თანხვედრა, განწყობა ითრგუნება ან ქრება. (ნადირაშვილი შ. , 2001) სწორედ ამიტომ, მიუხედავად აგრესიის მოთხოვნილებისა, თუ სასკოლო გარემო კეთილგანწყობილია და ამ გარემოში მოზარდს არ აქვს აგრესიის

განხორციელების ინსტრუმენტული შესაძლებლობები, მაშინ ან მოთხოვნილების საფუძველზე აქტუალური განწყობა არ ჩამოყალიბდება, ან არ მოხდება უკვე არსებული ფიქსირებული განწყობის აქტუალიზაცია და შესაბამისად, ვერც აგრესიული (ბულერის) ქცევა გამოვლინდება/განხორციელდება.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნების გააზრებისას დაგვეხმარება, არის შემდეგი: ჩვენ გვინდა, ჩვენივე ქცევას მივცეთ სამართლიანი და მისაღები სახე. ადამიანები ხშირად თეორიებს აყალიბებენ, რომ გაამართლონ თავიანთი ამორალური და ასოციალური ქცევები. ამ თავისებურებას ნადირაშვილი ფსიქიკის დიფერენცირებული კომპონენტების რეჰარმონიზაციის კანონს უწოდებს - ეს არის განწყობის ტენდენცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის ცდილობს, დაამყაროს თავსებადი ურთიერთშეთანხმებული მდგომარეობა იმ შეუფერებელ ფსიქიკურ შინაარსებს შორის, რომლებიც ადამიანს ცხოვრებაში ეძლევა (ნადირაშვილი შ. , 2001). ამ მოსაზრების თანახმად, გამოდის, რომ თუ სასკოლო გარემოში ბულინგი და ძალადობრივი ქცევა წახალისებული არ იქნება, მოზარდებს გაუჭირდებათ თავიანთი ასოციალური ქცევის საკუთარ თავში გამართლება. ანუ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იქ, სადაც ბულერი კომფორტულად გრძნობს თავს, არის ბულინგის წამახალისებელი გარემო და გაბატონებულია შესაბამისი ღირებულებებიც. სკოლაში გაზიარებული ღირებულებების სისტემა ხომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო გარემოში მოზარდების ქცევაზე. პიროვნება იმის მიხედვით ყალიბდება, ინდივიდის რა ხასიათის რეაქციებს დაუჭერს მხარს და რის მიმართ გამოიჩენს უარყოფით დამოკიდებულებას სოციალური გარემო. გარემო არა მხოლოდ კონკრეტული ქცევის განხორციელების სტიმულია, არამედ სწორედ გარემოში ყალიბდება ადამიანი პიროვნებად და უყალიბდება ღირებულებები. ინდივიდის რა რეაქციები იქნება

მხარდაჭერილი და რა უარყოფილი, სწორედ გარემოზეა დამოკიდებული (ნადირაშვილი შ. , 2001).

ამიტომაც აუცილებელია, რომ, ერთი მხრივ, სიტუაციაზე ვიმუშაოთ და, მეორეს მხრივ - ღირებულებებზე. შიდა ღირებულებითი სისტემითაც უნდა იცოდეს მოზარდმა, რომ ბულინგი დაუშვებელია, მართო სიტუაციურად არ უნდა ვზღუდავდეთ ბულინგის გამოვლინებას, რადგან ეს განწყობა სხვა გზას პოვნებს და სახეცვლილი ფორმით, მაგრამ მაინც, განხორციელდება.

ამრიგად, განწყობის თეორიით კარგად შეგვიძლია ავხსნათ ბულინგის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რადგან ამ მიდგომით გარემოს და მასში გაბატონებულ ღირებულებებს, ფასეულობებსა თუ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ბულინგის ფსიქოლოგიურ მექანიზმს სწორედ ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს, რომლის რეალიზების საშუალებასაც იძლევა სკოლის კულტურა.

## თავი 5 - კვლევის ძირითადი ჰიპოთეზები და მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბულინგის ირგვლივ ჩატარებული კვლევებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გააზრებამ გვაჩვენა, რომ აუცილებელია, ვიკვლიოთ არა მხოლოდ ბულინგის გამომწვევი ცალკეული ფაქტორი, არამედ შევიმუშაოთ ამ ქცევის წარმოშობისა და რეალიზების ფსიქოლოგიური მოდელი.

ამდენად, ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეების მაგალითზე; აგრეთვე, ქცევისა და ფსიქიკური აქტივობის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით, ავაგოთ ბულინგის მოქმედების ფსიქოლოგიური მოდელი.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ბულინგის ქცევა სამი ძირითადი კომპონენტის თანხვედრის შემთხვევაში აღმოცენდება. ეს კომპონენტებია: პიროვნული აგრესია, აგრესიის რეალიზებისთვის საჭირო ობიექტი და გარემოში არსებული შესაძლებლობები. ჩვენი წარმოდგენით, სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობა ქმნის შესაძლებელს, ბულინგის ქცევა განხორციელდეს.

ამრიგად, ჩვენი კვლევის მიზანია იმის ჩვენება, რომ უნდა არსებობდეს აგრესია, აგრესიის ობიექტი (მსხვერპლი) და გარემო, რომელიც ნებას მისცემს ბულერს, გამოავლინოს აგრესია. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბულინგი უნდა გავიაზროთ, როგორც ფაქტორთა ერთობლიობის (სისტემის) შედეგი და არა მხოლოდ ცალკეული ფაქტორის გავლენით გამოწვეული ქცევა.

ამ მოდელის უკეთ გააზრებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვებმარება განწყობის თეორია, რომლის თანახმადაც, ქცევის განხორციელებისთვის აუცილებელია განწყობის ჩამოყალიბება, რომელსაც ქმნის: **ა. მოთხოვნილება; ბ.**

**მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი (მსხვერპლი) და გ. ინსტრუმენტული შესაძლებლობები (გარემო ფაქტორები).**

ამგვარად, ჩვენი მოსაზრებების თანახმად, ბულინგის ფსიქოლოგიურ მექანიზმს დისპოზიციური განწყობები წარმოადგენს, რომლის რეალიზაციის ინსტრუმენტული შესაძლებლობები საკლასო კლიმატშია ჩადებული.

ამდენად, ჩვენი კვლევის ძირითადი ჰიპოთეზაა:

სასკოლო გარემოს რაგვარობა (აგრესიის ფონზე) წარმოადგენს ბულინგის ქცევის შესრულების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს და თუ სკოლის კულტურა იმგვარია, რომ არ იძლევა აგრესიის რეალიზების საშუალებას, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ კლასში ყოველთვის არის მოწყვლადი რისკჯგუფები, ვერ მოხდება მათი ვიქტიმიზაცია.

ამგვარად, ჩვენ ვაკეთებთ დაშვებას, რომ ბულინგი მაშინ ხდება, როდესაც არსებობს აგრესია, პოტენციური მსხვერპლი და ამ ქცევის განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემო.

ამდენად, ჩვენი კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა ორ ქვეჰიპოთეზად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) მიუხედავად აგრესიის დონისა, კეთილსაიმედო სასკოლო გარემო მნიშვნელოვნად ამცირებს ბულინგის შემთხვევებს. უფრო ზუსტად კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეთა აგრესიის დონისგან დამოუკიდებლად კეთილსაიმედო სასკოლო გარემო განაპირობებს ვიქტიმიზაციის დაბალ დონეს;

ბ) მიუხედავად აგრესიის დონისა, არაკეთილსაიმედო სასკოლო გარემო განაპირობებს ვიქტიმიზაციის მაღალ მაჩვენებელს.

იმავდროულად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ:

გ) ბულინგის შემთხვევები უფრო ხშირად გვხვდება ბიჭებში, ვიდრე - გოგონებში;

*იქიდან გამომდინარე, რომ* პატარა სკოლებში უფრო მარტივია პოზიტიური სკოლის კულტურის ფორმირება, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ

დ) რაც უფრო მცირე კონტინგენტია სკოლაში, მით ნაკლებია ბულინგის შემთხვევები;

დაბოლოს, ასევე ვივარაუდებთ, რომ ბულინგის ფსიქოლოგიური მექანიზმის კვლევისთვის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვლადები იქნებოდა მშობელთა უმუშევრობა, რადგან ის მოსწავლის სოციალურ სტატუსსა და მის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება, აგრეთვე, მოსწავლეთა ასაკი და რეგიონი, სადაც ისინი ცხოვრობენ. იმავდროულად, აღნიშნული ცვლადების ზეგავლენის შეფასება ზოგადი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისთვის დამატებით საინტერესო ინფორმაციას მოგვცემდა.

**ჩვენი ჰიპოთეზის შესამოწმებლად, კვლევისთვის გამოვიყენეთ სამი კითხვარი და ვიკვლიეთ მოზარდებში აგრესიის დონე, ვიქტიმიზაცია და აგრეთვე, სასკოლო გარემო.**

1. აგრესიის დონის კვლევა - მოზარდებში აგრესიის ფორმების გამოსავლენად გამოვიყენეთ ბას - დარკის კითხვარი<sup>15</sup>. კითხვარი შექმნილია ინგლისურ ენაზე და წარმოადგენს 75-დებულებიან ტესტს, რომელიც მოიცავს 8 სკალას. კვლევაში გამოვიყენეთ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ამირან გრიგოლავასა და ბელა არუთინოვას მიერ ბას - დარკის კითხვარის აპრობირებული და ადაპტირებული ვერსია. გამოყენებული კითხვარი შედგება აგრესიის გამოვლენის შემდეგი ფორმებისაგან: ფიზიკური აგრესია, ირიბი აგრესია, გაღიზიანებადობა,

---

<sup>15</sup> Buss-Durkey Inventory, 1957



ნეგატივიზმი, წყენა, ეჭვიანობა, ვერბალური აგრესია, დანაშაულის განცდა (იხ. დანართი).

2. **სასკოლო გარემოს კვლევა** -სასკოლო კლიმატის შესწავლის მიზნით, გამოვიყენეთ 2014 წელს ბოჩავერისა და თანაავტორების მიერ შემუშავებული კითხვარი<sup>16</sup> (იხ. დანართი), რომლის მიზანია კლასსა და სკოლაში არსებული ემოციური ფონის შესწავლა. კითხვარი 46 კითხვისგან შედგება და ეს კითხვები ოთხ ბლოკადაა თავმოყრილი. ეს ბლოკებია: *საფრთხის* (16 კითხვა), *კეთილდღეობის* (11 კითხვა), *განცალკევებულობის* (10 კითხვა) და *თანასწორობის* (9 კითხვა).<sup>17</sup> მოსწავლეების **საფრთხის დონე** ფასდება იმის მიხედვით, თუ რა პასუხს სცემენ მოზარდები კითხვებს, რომლებითაც დგინდება: სკოლაში მიღებულია თუ არა ერთმანეთისთვის ხელის შეშლა, აბუჩად აგდება, ვინმეზე ხუმრობა ისე, რომ მთელი კლასი იცინოდეს, სალანძღავი სახელების შერქმევა და სხვა. მოსწავლეები კითხვარის ფარგლებში აფასებენ საკუთარ კლასსაც - უნდა გასცენ პასუხი კითხვას, ფასდება თუ არა მათი კლასი, როგორც ხულიგნების კლასი და სხვა. **კეთილდღეობის** განცდის შეფასებისთვის მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, თავისუფლად ტოვებენ თუ არა საკუთარ ნივთებს საკლასო ოთახში და მით უფრო - დერეფანში, ჩვეულებრივი ამბავია თუ არა მასწავლებლებთან ერთად ექსკურსიაზე წასვლა, მათი კლასის დამრიგებლად ყოფნა არის თუ არა სასიამოვნო მასწავლებლისთვის და სხვა. **განცალკევებულობის** სკალა ზომავს ჩხუბის შემთხვევებს და ამ ქცევისადმი მოსწავლეების დამოკიდებულებას. კერძოდ, რამდენადაა კლასში მიღებული ან ხშირი ჩხუბი და როცა ეს ხდება, კლასისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა თუ

<sup>16</sup> Alexandra Bochaver, 2014

<sup>17</sup> ჩვენ გამოვიყენეთ აღნიშნული ტესტის ელენე ჩომახიძისა და მარი კიკალიშვილის მიერ 2018 წელს ადაპტირებული ვერსია.

დიდხანს გასარჩევი გამონაკლისი და სხვა. დაბოლოს, **თანასწორობის** სკალაზე ინფორმაცია გროვდება შემდეგი დებულებების გამოყენებით: თუ ჩხუბი ხდება, დიდხანს ვარჩევთ ამ ამბავს კლასში, შესვენებაზე შევდივართ სხვა კლასში მოსწავლეებთან, ჩვენი კლასი სარგებლობს წარჩინებული კლასის რეპუტაციით და სხვა.

ამრიგად, არაკეთილსაიმედო სასკოლო გარემოს განზომილებებია საფრთხისა და განცალკევებულობის სკალები, რომლებიც, ჩვენი ჰიპოთეზის შესაბამისად, ბულინგის წარმოქმნის პროექტორებად მივიჩნიეთ. კეთილდღეობისა და თანასწორობის სკალებით ფასდება სასკოლო გარემოს ის განზომილებები, რომლებიც, ჩვენი ჰიპოთეზის შესაბამისად, ამცირებს ბულინგის წარმოქმნის რისკს, და აქედან გამომდინარე, ბულინგის უარყოფით პროექტორებს უნდა წარმოადგენდეს.

3. **ბულინგის შემთხვევების კვლევა** - ბულინგის შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის ვიყენებთ მაინორდისა და ჯოსეფის<sup>18</sup> მრავალფაქტორიანი ვიქტიმიზაციის სკალას – Multidimensional Peer-Victimization Scale (ფორმა A), რომელიც განკუთვნილია პირდაპირი და არაპირდაპირი ვიქტიმიზაციის შესაფასებლად<sup>19</sup>. სკალა შეიცავს 45 ქმედებას და მიგვანიშნებს ოთხი სახის ვიქტიმიზაციაზე: ფიზიკური და ვერბალური ვიქტიმიზაცია, სოციალური მანიპულაცია და საკუთრების ხელყოფა (იხ. დანართი). **ფიზიკური ვიქტიმიზაციის** გასაზომად მოზარდს ვთავაზობთ, სამი სავარაუდო პასუხით (არასოდეს, იშვიათად და ხშირად) შეაფასოს ისეთი დებულებები, როგორებიცაა: მეჩხუბებიან, წიხლებს მირტყამენ, ფიზიკურ ტკივილს მაყენებენ, მცემენ. **ვერბალური**

<sup>18</sup> (H. Mynard, S. Joseph, 2000)

<sup>19</sup> ჩვენ გამოვიყენეთ აღნიშნული ტესტის ელენე ჩომახიძისა და მარი კიკალიშვილის მიერ 2018 წელს ადაპტირებული ვერსია.


**ვიქტიმიზაცია** იზომება შემდეგი დებულებებით: დამცინიან ჩემი გარეგნობის გამო, აბუჩად მიგდებენ, დამცინიან ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მიყვირიან. **სოციალური მანიპულაციის** გაზომვის მიზნით მოზარდებს ტესტის ფარგლებში ვთხოვთ, შეაფასონ ისეთი შემთხვევების სიხშირე, როგორებიცაა: ცდილობენ, ურთიერთობა გამიფუჭონ ჩემს მეგობრებთან, მეგობრებს ჩემ წინააღმდეგ ამხედრებენ; არ მელაპარაკებიან, სხვებს ითანხმებენ, რომ არ დამელაპარაკონ. დაბოლოს, **საკუთრების ხელყოფასთან** დაკავშირებითაც იძლევა ტესტი ინფორმაციას. კერძოდ, მოსწავლეებმა უნდა გასცენ საკუთრებასთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხი. კერძოდ, იღებენ თუ არა მათ ნივთებს დაუკითხავად, ხომ არ უმტვრევენ, ართმევენ ან განზრახ უფუჭებენ.

*ამ სკალის მეშვეობით განისაზღვრება ძალადობის და, შესაბამისად, ვიქტიმიზაციის ფორმები და მათი სიხშირე თანატოლების მხრიდან.*

**შერჩევის აღწერა და ჩარჩოს ფორმირება:**

ჩვენ მიერ გაანალიზებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველაზე ხშირად დევიაციური ქცევა ვლინდება მოზარდობის ასაკისთვის შესაფერის კლასებში. შესაბამისად, შევარჩიეთ ჩვენი კვლევის მონაწილეებიც - კითხვარებით მივმართეთ მოსწავლეებს 13 წლიდან 17 წლის (მე-8-დან მე-12 კლასის) ჩათვლით .

ლიტერატურის ანალიზისა და ჩვენი ჰიპოთეზების გათვალისწინებით, ასევე, გამოვყავით კვლევისათვის მნიშვნელოვანი ცვლადები, რომლებსაც შეიძლებოდა, ზეგავლენა მოეხდინა, როგორც დამატებით ცვლადებს, ჩვენს ჰიპოთეზაში ასახულ მიმართებებზე. ეს ცვლადებია:



დამატებითი ცვლადების სქემა.

ამრიგად, ჩვენი კვლევის შერჩევა შემოიფარგლა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლე 13-17 წლის მოზარდებით.

კვლევის ფარგლებში შერჩევის ჩარჩოს ფორმირების პროცესში გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი<sup>20</sup> შერჩევა. სოციალური ქსელის საშუალებით დავუკავშირდით სხვადასხვა სკოლის დირექტორებსა და რესურს-ცენტრებს წარმომადგენლებს, რომლებსაც ვაწვდიდით ინფორმაციას კვლევის შესახებ, ვუზიარებდით surveymonkey-ს ბმულს და ასევე, ვაცნობდით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ მხარდამჭერ წერილს (იხილეთ დანართი). კვლევა 6 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში 1422-მა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა.

<sup>20</sup> კვლევისთვის განსაზღვრული გქონდა კონკრეტული სკოლები, რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კონსულტაციით შევარჩიეთ, თუმცა ახალი კორონავირუსით (Covid19) გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, ვერ შევედით სკოლებში. ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და ამიტომ იძულებული ვიყავით, კვლევისთვის გამოგვეყენებინა ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდი.

## თავი 6 - კვლევის შედეგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 1422 სკოლის მოსწავლემ. მათგან 931 გოგო იყო, ხოლო - 491 - ბიჭი (იხ. ცხ N1).

### ცხრილი N1

სქესი	რაოდენობა	პროცენტი
გოგო	931	65.5
ბიჭი	491	34.5
სულ	1422	100.0

გამოკითხული რესპონდენტები სკოლის ზომის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N2

### ცხრილი N2

სკოლის ზომა	რაოდენობა	პროცენტი
300-ზე ნაკლები მოსწავლე	41	2.9
300-დან 800-მდე მოსწავლე	502	35.6
800-ზე მეტი მოსწავლე	869	61.5
სულ	1412	100.0

კვლევის მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება წარმოდგენილია ია ცხრილში N3

### ცხრილი N3

ასაკი	სიხშირე	პროცენტი
13 წლის	29	2.1
14 წლის	298	21.1
15 წლის	441	31.2
16 წლის	431	30.5
17 წლის	213	15.1
სულ	1412	100.0

რეგიონებში გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში N4.

**ცხრილი N4**

რეგიონი	რაოდენობა	პროცენტი
თბილისი	865	60.83%
იმერეთი	91	6.40%
ქვემო ქართლი	191	13.43%
შიდა ქართლი	229	16.10%
სხვა რეგიონები	46	3.23%
სულ	1422	100.00%

კვლევის შედეგები დამუშავდა SPSS – 23 სტატისტიკური პაკეტით. დასმული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ავაგეთ იერარქიული რეგრესიის მოდელი, რომელშიც, ჰიპოთეზის შესაბამისად, ვიქტიმიზაციის სკალა დამოკიდებულ ცვლადად განისაზღვრა. კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია, რა ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურის იმ ორი პოლუსური ტიპის მაჩვენებელი, როგორებიცაა, ერთი მხრივ, “კეთილდღეობა” და “თანასწორობა” და, მეორე მხრივ, “მაღალი საფრთხე” და “განცალკევებულობა”, ვიქტიმიზაციის მაჩვენებელზე. მოდელში, ჰიპოთეზის თანახმად, დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს აგრესიის მაჩვენებელიც.

გამოყენებული იყო წრფივი იერარქიული მოდელი, რომლის კომპონენტებს წარმოადგენს დამოკიდებული ცვლადი - ვიქტიმიზაციის სკალა და დამოუკიდებელი ცვლადები - სკოლის კულტურის ოთხი ტიპი ცალ-ცალკე, აგრეთვე, ასაკი, სქესი, სკოლის ზომა, მშობელთა მუშაობის მაჩვენებლები და რეგიონი.

ანალიზის პირველ ეტაპზე მოდელში გათვალისწინებული არ არის აგრესიის მაჩვენებელი და გაზომილია მხოლოდ სკოლის კულტურის ტიპებისა და დამატებითი ცვლადების ზეგავლენის წონა (მიუხედავად იმისა, თუ როგორია

აგრესიის მაჩვენებელი) ვიქტიმიზაციის სკალაზე. განხორციელებული რეგრესიული ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში: (ცხრილი N5 და N6)

*ცხრილი N5*

Model Summary				
Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.559 <sup>a</sup>	.313	.308	6.25833

*ცხრილი N6*

ANOVA <sup>a</sup>						
Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	25429.289	18	1412.738	36.298	.000 <sup>b</sup>
	Residual	53087.488	1364	38.920		
	Total	78516.777	1382			

a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა

*ცხრილი N7*

Coefficients <sup>a</sup>						
Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
		1	(Constant)	46.516		
	განცალკევებულობა (sk_g)	.605	.117	.133	5.159	.000
	კეთილდღეობა (sk_k)	-.508	.115	-.116	-4.433	.000
	საფრთხე (sk_s)	.839	.064	.371	13.048	.000
	თანასწორობა (sk_t)	-.426	.123	-.084	-3.481	.001
	<b>13 წლის (ათვის წერტილი)</b>	<b>.000</b>		<b>.000</b>		
	14 წლის	2.185	1.227	.118	1.781	.075

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)

15 წლის	2.590	1.209	.160	2.143	<u>.032</u>
16 წლის	2.121	1.207	.129	1.757	.079
17 წლის	1.370	1.248	.065	1.097	.273
გოგონა	-.721	.357	-.046	-2.021	<u>.043</u>
<b>მუშაობს მხოლოდ მამა (ათვლის წერტილი)</b>	<b>.000</b>		<b>.000</b>		
მუშაობს მხოლოდ დედა	.147	.577	.007	.255	.798
ორივე მუშაობს	.085	.412	.006	.207	.836
არცერთი არ მუშაობს	3.130	.855	.089	3.659	<u>.000</u>
<b>თბილისი (ათვლის წერტილი)</b>	<b>0.000</b>		<b>.000</b>		
ქვემო ქართლი	.014	.533	.001	.025	.980
<b>შიდა ქართლი</b>	<b>1.432</b>	<b>.498</b>	<b>.070</b>	<b>2.876</b>	<b><u>.004</u></b>
იმერეთი	1.166	.731	.038	1.594	.111
<b>სხვა რეგიონები</b>	<b>4.679</b>	<b>1.041</b>	<b>.104</b>	<b>4.496</b>	<b><u>.000</u></b>
<b>სკოლის ზომა - 300-ზე ნაკლები მოსწავლე (ათვლის წერტილი)</b>	<b>0.000</b>		<b>.000</b>		
სკოლის ზომა - 300-დან 800-მდე მოსწავლე	.580	1.047	.037	.554	.580
სკოლის ზომა - 800-ზე მეტი მოსწავლე	1.138	1.033	.073	1.102	.271
<b>a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა</b>					

რეგრესიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია ( $R=.559$ ), რაც იმაზე მიუთითებს, რომ კორელაცია ვიქტიმიზაციის სკალასა და მოდელში მონაწილე დამოუკიდებელ ცვლადებს შორის არის საკმაოდ მაღალი ( $R^2_{ADJ}=0.308$ ,  $F(18,1382)=36.298$ ,  $p=0.000$ ). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფექტურად ხსნის გაზომილი ვიქტიმიზაციის 31,1%-ს. სხვაგვარად რომ



ვთქვათ, გამოვლენილი ვიქტიმიზაციის ხარისხის თითქმის მესამედი ჩვენ მიერ ნავარაუდები ცვლადების ზემოქმედებითაა განპირობებული. კერძოდ, მოდელში მონაწილე ცვლადებიდან უმეტესობის ზეგავლენა აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო. სკოლის კულტურის ოთხივე ტიპის („განცალკევებულობა“, „კეთილდღეობა“, „საფრთხე“ და „თანასწორობა“) ცვლადები ვიქტიმიზაციის პრედიქტორებს წარმოადგენს. ცხრილიდან ჩანს, რომ „განცალკევებულობისა“ (Beta=.133, p=.000) და „საფრთხის“ (Beta=.371, p=.000) განცდა აძლიერებს ვიქტიმიზაციას, ხოლო „კეთილდღეობა“ (Beta=-0.116, p=.000) და „თანასწორობა“ (Beta=-.084, p=.001) - ამცირებს.

სტატისტიკურად სანდო პრედიქტორული ღირებულება აქვთ, აგრეთვე, ცვლადებს: ასაკი, სქესი, მშობლების მუშაობის მაჩვენებელი, რეგიონი (შიდა ქართლი). რაც შეეხება ცვლადს - სკოლის ზომა - იგი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლის ზომის ზეგავლენა ვიქტიმიზაციის მაჩვენებელზე არ დადასტურდა.

თუ მოდელის ცხრილიდან ამოვიღებთ სტატისტიკურად უმნიშვნელო პარამეტრებს, მივიღებთ ვიქტიმიზაციის მაჩვენებელზე ზეგავლენის მქონე დამოუკიდებელი ცვლადების შემდეგ ცხრილს:

*ცხრილი N8*

Coefficients <sup>a</sup>						
Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	46.516	2.016		23.068	0
	განცალკევებულობა (sk_g)	0.605	0.117	0.133	5.159	<u>0.000</u>

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)

კეთილდღეობა (sk_k)	-0.508	0.115	-0.116	-4.433	<u>0.000</u>
საფრთხე (sk_s)	0.839	0.064	0.371	13.048	<u>0.000</u>
თანასწორობა (sk_t)	-0.426	0.123	-0.084	-3.481	<u>0.001</u>
15 წლის	2.59	1.209	0.16	2.143	<u>0.032</u>
გოგონა	-0.721	0.357	-0.046	-2.021	<u>0.043</u>
არცერთი არ მუშაობს	3.13	0.855	0.089	3.659	<u>0.000</u>
შიდა ქართლი	1.432	0.498	0.07	2.876	<u>0.004</u>
სხვა რეგიონები	4.679	1.041	0.104	4.496	<u>0.000</u>

a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა

მიღებული შედეგები პრაქტიკულად იმ რისკფაქტორებს გვაძლევს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ბულინგზე მუშაობისას. აღნიშნული საკითხი ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

კვლევისთვის საინტერესოა პრედიქტორთა ზეგავლენის წონის გაანალიზებაც. თვალსაჩინოდ წარმოსადგენად Beta კოეფიციენტების სიდიდე გადავიყვანეთ პროცენტულ მაჩვენებლებში (იხ. ცხრილი N9 ).

**ცხრილი 9**

პრედიქტორები	Beta	Beta კოეფიციენტების აბსოლუტური მნიშვნელობა	პროცენტული წილი ჯამიდან	
განცალკევებულობა (sk_g)	0.14	0.13	11.61%	63.39%
კეთილდღეობა (sk_k)	-0.12	0.12	10.71%	

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)

საფრთხე (sk_s)	0.37	0.37	33.04%	
თანასწორობა (sk_t)	-0.09	0.09	8.04%	
15 წლის	0.12	0.16	14.29%	<b>36.61%</b>
გოგონა	-0.04	0.05	4.46%	
არცერთი არ მუშაობს	0.1	0.1	8.93%	
შიდა ქართლი	0.05	0.1	8.93%	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბულინგის ქცევაზე მოქმედი პრედიქტორებიდან ყველაზე გავლენიანია სკოლის კულტურის ცვლადები - ისინი განპირობებულობის თითქმის 2/3-ს (63.39%) მოიცავენ; ამათგან ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ვიქტიმიზაციის სკალაზე, არის სკოლის კულტურის ტიპი - „საფრთხე“. მისი ზეგავლენის წილი მთლიანი ზეგავლენის 1/3-ს (33.04%) შეადგენს. სკოლის კულტურის ტიპის - „განცალკევებულობა“ ზეგავლენის წილი მთლიანი ზეგავლენის 11.61% -ია. ორივე ცვლადი ვიქტიმიზაციის (ბულინგის) დადებითი პრედიქტორია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი აძლიერებენ ვიქტიმიზაციის მაჩვენებელს. სკოლის კულტურის ტიპები - „კეთილდღეობა“ და „თანასწორობა“ კი ვიქტიმიზაციისთვის უარყოფით პრედიქტორებს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი, პირიქით, ასუსტებენ/ამცირებენ ვიქტიმიზაციის მაჩვენებელს. „კეთილდღეობის“ ტიპის სკოლის კულტურის ზეგავლენის წილი მთლიანი ზეგავლენის 10.71%-ია, ხოლო „თანასწორობის“ ტიპის სკოლის კულტურის ზეგავლენის წილი - მთლიანი ზეგავლენის 8.04%-ი.

ერთ მესამედზე ცოტა ძლიერია (36.61%) სხვა დამატებითი ფაქტორების ზეგავლენა. კერძოდ კი, ასაკის, სქესის, მშობელთა დასაქმებისა და რეგიონის ფაქტორები. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე. 15 წლის ასაკის ზეგავლენის წონა მთლიანი ზეგავლენის 14.29% -ია. ვიქტიმიზაციის მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს „არცერთი მშობლის არმუშაობა“ და შიდა ქართლის რეგიონი,

რომელთაგან თითოეულის ზეგავლენის წონა ვიქტიმიზაციის მაჩვენებელზე მთლიანი ზეგავლენის 8.93%-ს შეადგენს. რეგრესიულმა ანალიზმა გამოავლინა, ისიც, რომ სქესი წარმოადგენს მცირე, თუმცა სანდო ზეგავლენის მქონე ვიქტიმიზაციის პრედიქტორს. კერძოდ, ცვლადი “გოგონა” უარყოფითი პრედიქტორია და მისი ზეგავლენის წონა ვიქტიმიზაციის მაჩვენებელზე მთლიანი ზეგავლენის 4.46%-ს წარმოადგენს.

ამრიგად, მოდელმა აჩვენა, რომ ბულინგის შემთხვევების 31,1 %-ს განაპირობებს ის ცვლადები, რომლებიც ჩვენ მიერ იყო ნავარაუდები და გამოყოფილი კვლევაში.

ამრიგად, როგორც შედეგებიდან ჩანს, სკოლის კულტურის ზეგავლენა, დანარჩენ ცვლადებთან შედარებით, გაცილებით დიდია, რაც ჩვენს ჰიპოთეზას შეესაბამება. ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლის კულტურა ბულინგის ქცევის ძლიერ პრედიქტორს წარმოადგენს. ამ ცვლადების ურთიერთქმედების გაანალიზებით თავისუფლად შეგვიძლია ბულინგის ფსიქოლოგიურ მოდელზე მსჯელობა.

ზემოთ განხილული მოდელის დახვეწის მიზნით, შემდგომ ეტაპზე რეგრესიული ანალიზის იერარქიული მოდელის აგებისას სკოლის კულტურასთან კომბინაციაში გავითვალისწინეთ აგრესიის მაჩვენებელიც, რადგან ჩვენი ჰიპოთეზა მოიცავს ვარაუდსაც, რომ სკოლის კეთილსაიმედო კულტურის ტიპი განაპირობებს ვიქტიმიზაციის შემცირებას, მიუხედავად აგრესიის დონისა, ხოლო არაკეთილსაიმედო - პირიქით, ბულინგის შემთხვევების ზრდას. ამრიგად, ჩვენ გავაკეთეთ დაშვება, რომ მაშინაც კი, როცა აშკარაა აგრესია, თუ სკოლის კულტურა არ იძლევა განწყობის რეალიზების ინსტრუმენტულ შესაძლებლობებს, ვიქტიმიზაციის ნაკლები შანსია. სწორედ ამ მიზნით, ავაგეთ რეგრესიის ახალი მოდელი.

ამისთვის, პირველ ყოვლისა, გავზომეთ კორელაცია.

**ცხრილი 10**

Correlations					
		sk_g განცალკევებულ ლობა	sk_k კეთილდღეობა	sk_s საფრთხე	sk_t თანასწორობა
<b>bd</b> აგრესია	Pearson	.184**	-.269**	.342**	-.204**
	Correlation				
	Sig. (2-tailed)	.000	.000	.000	.000
	N	1428	1428	1430	1428
<b>**.</b> Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).					

ცხრილიდან ჩანს, რომ აგრესიას აქვს მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პოზიტიური დამოკიდებულება “განცალკევებულობისა” და “საფრთხის” სკოლის კულტურის ტიპის მაჩვენებლებთან, და ასევე, მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ნეგატიური დამოკიდებულება სკოლის კულტურის ტიპებთან - “კეთილდღეობა” და “თანასწორობა”. ეს ფაქტი ეთანადება ჩვენს ჰიპოთეზას.

რეგრესიული მოდელის აგებისას, პირველ ყოვლისა, შემოვიტანეთ აგრესიის ფონური (საშუალო) მაჩვენებელი, რომელიც სკოლის ცვლადებზე დაყრდნობით გამოთვლილი აგრესიის საშუალოა და ავაგეთ რეგრესიული მოდელი - პირველ ეტაპზე მხოლოდ აგრესიის საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით, ხოლო - შემდგომ ზემოთ ჩამოთვლილი სკოლის კულტურის ტიპების ცვლადების დამატებით.

**ცხრილი 11**

Model Summary				
Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.089 <sup>a</sup>	.008	.007	7.78671
a. Predictors: (Constant), bd_mean				

**ცხრილი N12**

**ANOVA<sup>a</sup>**

Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	742.553	1	742.553	12.247	.000 <sup>b</sup>
	Residual	92162.009	1520	60.633		
	Total	92904.562	1521			

a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა

b. Predictors: (Constant), bd\_mean

**ცხრილი 13**

**Coefficients<sup>a</sup>**

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	43.214	1.969		21.943	.000
	bd_mean	.175	.050	.089	3.500	.000

a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აგრესიის საშუალო მაჩვენებელი ვიქტიმიზაციის სუსტი, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორია ( $R^2_{ADJ}=0.07$ ,  $F(1,1521)=12.247$ ,  $p=0.000$ ). შემდგომ ეტაპზე აღნიშნულ მოდელს დაემატა სკოლის კულტურის ტიპების ცვლადები. ანალიზმა აჩვენა, რომ რეგრესიულ მოდელში სკოლის კულტურის ცვლადების ჩართვამ გამოიწვია ფონური აგრესიის მაჩვენებლის პრედიქტორული წონის შესუსტება და სტატისტიკური მნიშვნელოვნების დაკარგვა ( $R^2_{ADJ}=0.293$ ,  $F(11,1393)=57.257$ ,  $p=0.000$ ).

ცხრილი 14

Model Summary				
Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.543 <sup>a</sup>	.295	.293	6.57443
a. Predictors: (Constant), sk_t თანასწორობა, bd_mean, sk_g განცალკევებულობა, sk_k კეთილდღეობა, sk_s საფრთხე				

ცხრილი N15

ANOVA <sup>a</sup>						
Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	24674.287	11	2243.117	57.257	.000 <sup>b</sup>
	Residual	54141.333	1382	39.176		
	Total	78815.620	1393			

a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა

ცხრილი 16

Coefficients <sup>a</sup>						
Model		Unstandardized Coefficients	Standardized Coefficients		t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	51.144	2.145		23.842	.000
	sk_g განცალკევებულობა	.635	.116	.135	5.471	.000
	sk_k კეთილდღეობა	-.484	.115	-.106	-4.212	.000
	sk_s საფრთხე	.856	.062	.368	13.845	.000

	sk_t თანასწორობა	-.484	.121	-.093	-3.994	.000
	bd_mean	-.047	.043	-.024	-1.084	.279
a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა						

უკეთესი მოდელის ასაგებად და მეტად დახვეწილი გაზომვების უზრუნველსაყოფად ანალიზის შემდგომ ეტაპზე, კორელაციაზე დაყრდნობით, გამოვითვალეთ სკოლის კულტურისა და აგრესიის კომბინირებული ცვლადი, რაც ამ ორი ცვლადის ნამრავლში გამოიხატა. სტატისტიკური ანალიზისთვის სიდიდეების მნიშვნელობების მისაღებად “კეთილდღეობისა” და “თანასწორობის” მაჩვენებლებს შევუცვალეთ ნიშანი (რადგან აგრესიის მაჩვენებელთან ნეგატიური დამოკიდებულება აქვს) და გავაკეთეთ შესაბამისი ნამრავლები.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია შესაბამისი ნამრავლების აღნიშვნები:

sk_g_bd განცალკევებულობა და აგრესია= sk_g განცალკევებულობა * bd აგრესია
sk_k_bd კეთილდღეობა - ინვერსიული და აგრესია= sk_k კეთილდღეობა - ინვერსიული * bd აგრესია
sk_s_bd საფრთხე და აგრესია= sk_s საფრთხე * bd აგრესია
sk_t_bd თანასწორობა - ინვერსიული და აგრესია= sk_s საფრთხე - ინვერსიული * bd აგრესია

ამგვარად, მივიღეთ ახალი ცვლადები და მათი გამოყენებით ავაგეთ ახალი მოდელი.

რეგრესიულმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ სკოლის კულტურისა და აგრესიის კომბინაციით წარმოებული ცვლადები უფრო სრულყოფილ მოდელს გვაძლევს, რომელიც უკეთესად ხსნის ვიქტიმიზაციას: დეტერმინაციის კოეფიციენტი



კიდევ უფრო მაღალია ( $R=.591$ ) და, შესაბამისად, მოდელი ვიქტიმიზაციის 33.8 %-ს ხსნის ( $R^2_{ADJ}=0.338$ ,  $F(8,1426)=87.546$ ,  $p=0.000$ ). სტატისტიკური ანალიზის შედეგად მიღებული რეგრესიის მოდელი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ მე-14 ცხრილში.

*ცხრილი 17*

Model Summary				
Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.591 <sup>a</sup>	.349	.338	6.13139

*ცხრილი N18*

ANOVA <sup>a</sup>						
Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	26553.257	8	3319.157	87.546	.000 <sup>b</sup>
	Residual	53760.972	1418	37.913		
	Total	80314.229	1426			

a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა

*ცხრილი 19*

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
(Constant)	48.81	1.161		42.041	.000
განცალკევებულობა (sk_g)	-.217	.465	-.048	-.466	.641
კეთილდღეობა (sk_k)	.651	.358	.149	1.818	.099
საფრთხე (sk_s)	-.046	.211	-.021	-.219	.827
თანასწორობა (sk_t)	-1.013	.436	-.202	-2.326	<u>.02</u>

განცალკევებულობა და აგრესია (sk_g_bd)	.021	.011	.214	1.922	<u>.05</u>
კეთილდღეობა და აგრესია (sk_k_bd)	-.026	.009	-.280	-3.041	<u>.002</u>
საფრთხე და აგრესია (sk_s_bd)	.02	.005	.443	4.018	<u>.000</u>
თანასწორობა და აგრესია (sk_t_bd)	.014	.011	.135	1.333	.183

ცალკე აღებულმა სკოლის კულტურის ცვლადებმა (“განცალკევებულობა”, “კეთილდღეობა”, “საფრთხე”) აღარ მოგვცა სტატისტიკურად იმდენად მნიშვნელოვანი შედეგი, რამდენადაც აგრესიასთან ერთად. ამდენად, აშკარაა ჩვენი ახალი მოდელის უპირატესობები. ცხრილიდან ჩანს, რომ ცვლადებს: “განცალკევებულობა და აგრესია”, “კეთილდღეობა და აგრესია”, და “საფრთხე და აგრესია” - აქვთ მაღალი სანდოობის მქონე პრედიქტორული ღირებულება (შესაბამისად, Beta=.214, p=.05; Beta=-.28, p=.002 Beta=.443, p=.000) , ხოლო ცვლადი - “თანასწორობა აგრესიასთან ერთად” არ წარმოდგენს ვიქტიმიზაციის პრედიქტორს (Beta=.135, p=.183), თუმცა ცალკე აღებული სკოლის კულტურის ცვლადი - “თანასწორობა”, ვიქტიმიზაციის სანდო უარყოფითი პრედიქტორია (Beta=-.202, p=.02). როგორც ჩანს, იგი ვერ ერევა აგრესიას და, შესაბამისად, აგრესიის ცვლადთან კომბინაციაში ვერ ახდენს ნეგატიურ გავლენას ვიქტიმიზაციის სკალაზე.

შემდგომ ეტაპზე მოდელში შევიტანეთ ჩვენთვის საინტერესო დამატებითი ცვლადებიც და მივიღეთ ასეთი სურათი ( $R^2_{ADJ}=0.339$ ,  $F(21,1383)=34.881$ ,  $p=0.000$ ):

**ცხრილი 20**

Model Summary				
Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.591 <sup>a</sup>	.350	.339	6.12720

ANOVA<sup>a</sup>

Model	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1 Regression	27528.038	21	1310.859	34.881	.000 <sup>b</sup>
Residual	51185.088	1362	37.581		
Total	78713.125	1383			

a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა

Coefficients<sup>a</sup>

Model	Unstandardized		Standardized	t	Sig
	Coefficients		Coefficients		
	B	Std. Error	Beta-		
(Constant)	45.738	1.987		23.022	.000
განცალკევებულობა (sk_g)	-.228	.469	-.050	-.486	.627
კეთილდღეობა (sk_k)	.685	.361	-.157	1.897	.058
საფრთხე (sk_s)	.046	.214	.020	.215	.830
თანასწორობა (sk_t)	-1.166	.440	-.231	-2.652	<u>.008</u>
განცალკევებულობა და აგრესია (sk_g_bd)	<b>.020</b>	<b>.011</b>	<b>.198</b>	<b>1.780</b>	<b><u>.045</u></b>
კეთილდღეობა და აგრესია (sk_k_bd)	<b>.028</b>	<b>.009</b>	<b>-.302</b>	<b>3.258</b>	<b><u>.001</u></b>
საფრთხე და აგრესია (sk_s_bd)	<b>.018</b>	<b>.005</b>	<b>.403</b>	<b>3.620</b>	<b><u>.000</u></b>
თანასწორობა და აგრესია (sk_t_bd)	<b>-.019</b>	<b>.011</b>	<b>-.182</b>	<b>-1.792</b>	<b>.073</b>
<b>13 წლის (ათვის წერტილი)</b>	<b>.000</b>		<b>.000</b>		
14 წლის	2.223	1.207	.120	1.842	.066
<b>15 წლის</b>	<b>2.587</b>	<b>1.189</b>	<b>.159</b>	<b>2.176</b>	<b><u>.030</u></b>
16 წლის	2.134	1.187	.130	1.798	.072
17 წლის	1.404	1.228	.067	1.143	.253
გოგონა	-.539	.352	-.034	-1.535	.125

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)

მუშაობს მხოლოდ მამა (ათვის წერტილი)	.000		.000		
მუშაობს მხოლოდ დედა	.182	.568	.008	.321	.748
ორივე მუშაობს	.145	.405	.009	.357	.721
არცერთი არ მუშაობს	<b>3.033</b>	<b>.842</b>	<b>.086</b>	<b>3.604</b>	<b>.000</b>
თბილისი (ათვის წერტილი)	<b>0.000</b>		<b>.000</b>		
ქვემო ქართლი	-.093	.528	-.004	-.176	.860
შიდა ქართლი	1.365	.491	.067	2.782	.005
იმერეთი	.902	.720	.029	1.252	.211
სხვა რეგიონი	4.804	1.025	.107	4.689	.000
სკოლის ზომა - 300-ზე ნაკლები მოსწავლე (ათვის წერტილი)	<b>0.000</b>		<b>.000</b>		
სკოლის ზომა - 300-დან 800-მდე მოსწავლე	.750	1.031	.048	.727	.467
სკოლის ზომა - 800-ზე მეტი მოსწავლე	1.322	1.017	.085	1.300	.194
<b>a. Dependent Variable: vs ვიქტიმიზაციის სკალა</b>					

აქაც, საინტერესოდ მივიჩნიეთ პრედიქტორთა ზეგავლენის წონის გაანალიზება. თვალსაჩინოებისთვის Beta კოეფიციენტების სიდიდე გადავიყვანეთ პროცენტულ მაჩვენებლებში (იხ. ცხრილი N23 ).


**ცხრილი 23**

	Beta	Beta კოეფიციენტების აბსოლუტური მნიშვნელობა	პროცენტული წილი ჯამიდან		
sk_t თანასწორობა	- 0.231	0.231	14.87%	14.87%	<b>73.02%</b>

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)

sk_g_bd განცალკევებული ლობა და აგრესია	0.19 8	0.198	12.75%	58.15%	
sk_k_bd კეთილდღეობა და აგრესია	- 0.30 2	0.302	19.45%		
sk_s_bd საფრთხე და აგრესია	0.40 3	0.403	25.95%		
15 წლის	0.15 9	0.159	10.24%	<b>26.98%</b>	
არცერთი არ მუშაობს	0.08 6	0.086	5.54%		
შიდა ქართლი	0.06 7	0.067	4.31%		
სხვა რეგიონი	0.10 7	0.107	6.89%		
		1.553	100.00%	<b>100%</b>	

როგორც ზემოთ წარმოდგენილი იერარქიული რეგრესიული მოდელის შედეგები გვიჩვენებს, საგანმანათლებლო სივრცის ცვლადები - როგორებიცაა, სკოლის კულტურა და კლასში არსებული აგრესიის დონე (მათი კომბინაცია), ხსნის რეგრესიით გამოვლენილი მთლიანი ზეგავლენის (34%-ის) 73.02%-ს. აღნიშნული მიმართება გრაფიკულად წარმოდგენილია დიაგრამაზე #1, სადაც X - ღერძზე გადაზომილია ჩვენ მიერ აგებულ რეგრესიულ მოდელში მონაწილე ცვლადების მნიშვნელობების მიხედვით ვიქტიმიზაციის შეფასებული მნიშვნელობა, ხოლო Y - ღერძზე გადაზომილის ვიქტიმიზაციის მნიშვნელობა, რომელიც კვლევაში, ემპირიულად იყო მიღებული (მოსწავლეთა ვიქტიმიზაციის ემპირიული შედეგები).



ამგვარად, ბულინგის ქცევაზე მოქმედი პრედიქტორებიდან ყველაზე გავლენიანია სკოლის კულტურის ცვლადები (აგრესიის ცვლადთან კომბინაციაში) - ისინი განპირობებულობის თითქმის 4/5-ს (73.02%-ს) მოიცავენ; ამათგან ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ვიქტიმიზაციის სკალაზე, არის აგრესიისა და სკოლის კულტურის ტიპის - „საფრთხე“ კომბინირებული ცვლადი. მისი ზეგავლენის წილი მთლიანი ზეგავლენის 1/4-ზე მეტია (25.95%); აგრესიისა და სკოლის კულტურის ტიპის “კეთილდღეობა” კომბინირებული ცვლადის ზეგავლენის წილი მთლიანი ზეგავლენის 19.45%-ია, თუმცა ამ უკანასკნელს, პირველისგან განსხვავებით, უარყოფითი ზეგავლენა აქვს ვიქტიმიზაციის სკალაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი პირველი ცვლადი აძლიერებს ვიქტიმიზაციის მაჩვენებელს, მეორე - ამცირებს მას; სიმძლიერის თვალსაზრისით მესამე ადგილზეა სკოლის

კულტურის ტიპის ცვლადი “თანასწორობა”, რომლის პრედიქტორული წონა მთლიანი ზეგავლენის 14.87%-ია. თუმცა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აღნიშნული ცვლადი, აგრესიასთან კომბინაციაში კარგავს ზეგავლენის ძალას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მაღალი აგრესიის ფონზე თანასწორი სასკოლო კულტურის ტიპი ვერ ახდენს ვიქტიმიზაციაზე შემამცირებელ ზეგავლენას. პრედიქტორული სიმძლიერის მიხედვით, შემდეგი ცვლადია აგრესიისა და სკოლის კულტურის ტიპის “განცალკევებულობა” კომბინირებული ცვლადი, რომლის ზეგავლენის წონა მთლიანი ზეგავლენის 12.75%-ია.

ერთ მეოთხედზე ცოტა ძლიერია (26.98%) სხვა დამატებითი ფაქტორების ზეგავლენა. კერძოდ კი, ეს ცვლადებია ასაკის, მშობელთა მუშაობისა და რეგიონის ფაქტორები. წინა მოდელისგან განსხვავებით, სქესის ცვლადს აღარ აქვს პრედიქტორული ღირებულება. როგორც ჩანს, ეს გამოწვეულია უფრო ნატიფი გაზომვების გამოყენებით, რაც მოდელში აგრესიის ცვლადის გათვალისწინებას გულისხმობდა. ასევე საინტერესოა, რომ ვიქტიმიზაციის ცვლადის პრედიქტორებს დაემატა ცვლადი “სხვა რეგიონები”<sup>21</sup>.

ამრიგად, ჩვენთვის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ, ჩვენი კვლევის თანახმად, მოზარდების ვიქტიმურობის 73% -ს კლასსა და სკოლაში არსებული სკოლის კულტურით განპირობებული ემოციური ფონი ხსნის. ემოციურ ფონში იგულისხმება შფოთვის, საფრთხის და დამაბულობის განცდა. ჩვენი კვლევით დავინახეთ, რომ მსხვერპლად გადაქცევის ალბათობა (ვიქტიმურობა) იმ მოზარდებშია მაღალი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათ კლასში მიღებულია ერთმანეთისთვის ხელის შეშლა, აბუჩად აგდება, სალანძღავი სახელების შერქმევა, დაცინვა, ჩხუბი, ლანძღვა, გინება. შესაბამისად, როცა მოზარდი გრძნობს საფრთხის განცდას, მას, როგორც ჩანს, ისეთი ფიზიკური,

<sup>21</sup> კვლევაში გამოყოფილი იყო შემდეგი რეგიონალური ცვლადები: “თბილისი”, “იმერეთი”, “მცხეთა-მთიანეთი”, “ქვემო ქართლი”, “შიდა ქართლი” და დანარჩენი რეგიონები, რომლებიც “სხვა რეგიონების” ცვლადშია გაერთიანებული.

ფსიქოლოგიური თუ სოციალური ნიშნები უვითარდება, რომლებიც ბულინგისთვის მოწყვლადს ქმნის.

კვლევამ აჩვენა, რომ ვიქტიმურობის განცდა კიდევ ერთ ფაქტორზეა დამოკიდებული და ეს განცალკევებულობის განცდაა. როცა მოსწავლე აქტუალურ დაძაბულობას გრძნობს: გაკვეთილების შემდეგ არ ერთობა კლასელებთან ერთად, არავინ ექომაგება მას, კლასში ხშირია ჩხუბი და სკოლაში ყოფნა ფასდება, როგორც უინტერესო და არასასიამოვნო მდგომარეობა, როცა მოსწავლე თავს ცუდად გრძნობს და მას არავინ ემეგობრება, ასეთი განცდა აგრესიასთან კომბინაციაში აძლიერებს მოსწავლის ვიქტიმურობას.

საპირისპირო სურათი მოგვცა „საფრთხის“ და „განცალკევებულობის“ პოლუსური მახასიათებლების კვლევამ. კერძოდ, შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ სკოლის ისეთი კულტურა, რომელიც ჯგუფში კომუნიკაციის წესების დაცვასა და ურთიერთპატივისცემაზეა ორიენტირებული, ამცირებს მოზარდების მსხვერპლად გახდომის ალბათობას. შესაბამისად, როცა კლასში მოზარდს აქვს განცდა, რომ მას ხელს არ შეუშლიან და მის კლასში თუ დერეფანში დატოვებულ ნივთებს არავინ მოკიდებს ხელს, როცა ის გრძნობს, რომ მასწავლებლებს უხარიათ ამ კლასში შესვლა და ჩხუბიც ყოველთვის გაკვირვებას იწვევს, ასეთ შემთხვევაში, მოზარდს აქვს კეთილდღეობის განცდა, რაც, ჩვენი კვლევის თანახმად, აგრესიასთან კომბინაციაშიც კი, ამცირებს მსხვერპლად გახდომის ალბათობას.

საინტერესოა ანალიზი შედეგისა, რომელიც ორი ცვლადის - აგრესიისა და თანასწორობის კომბინაციამ მოგვცა. როგორც აღვნიშნეთ, თანასწორობის განცდა სკოლაში (როცა ურთიერთობები თანასწორია, როცა დირექტორთან მოსწავლის დაბარება ნიშნავს, რომ მისი შექება სურთ, როცა შესვენების დროს სხვა კლასში მეგობრებთან თავისუფლად შედიან) ამცირებს მსხვერპლად გახდომის ალბათობას. თუმცა აგრესიასთან კომბინაციაში ამ ცვლადმა აღარ მოგვცა პოზიტიური (შემამცირებელი) გავლენა ვიქტიმიზაციაზე. შესაბამისად,



რადგან დავინახეთ, რომ კეთილდღეობის განცდამ (მიუხედავად აგრესიის დონისა) შეამცირა მსხვერპლად გახდომის ალბათობა, სასურველია, სკოლებში ისეთი სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი, რომელიც მოზარდებში კეთილდღეობის განცდას გაზრდის. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როცა სკოლაში კეთილგანწყობილი გარემოა, აგრესია აღარ ხდება ქცევის განმსაზღვრელი და ასეთ შემთხვევაში აგრესია თანასწორობის განცდასაც ვეღარ მოერევა, შესაბამისად, ეს გრძნობაც არ დაითრგუნება.

ამრიგად, შედეგებმა აჩვენა, რომ ბულინგის ქცევის განხორციელებას სამი კომპონენტის (პიროვნული აგრესია, აგრესიის რეალიზებისთვის საჭირო ობიექტი და გარემოში არსებული შესაძლებლობები) თანხვედრა სჭირდება. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობა ქმნის შესაძლებელს, ბულინგის ქცევა განხორციელდეს. შესაბამისად, ჩვენი კვლევით ცხადად დადასტურდა, რომ ბულინგის განხორციელებისთვის უნდა არსებობდეს აგრესია, აგრესიის ობიექტი (მსხვერპლი) და გარემო, რომელიც ნებას მისცემს ბულერს, გამოავლინოს აგრესია. ამ შედეგით, ჩვენ შეგვიძლია ბულინგი ფაქტორთა ერთობლიობის შედეგად აღმოცენებულ ქცევად მოვიაზროთ და არა ცალკეული ფაქტორის გავლენით გამოწვეულ ქმედებად. შესაბამისად, ჩვენი წამყვანი ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ბულინგი მაშინ ხორციელდება, როდესაც არსებობს აგრესია, პოტენციური მსხვერპლი და ამ ქცევის განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემო, დადასტურდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქცევის განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობები მაშინ არის სკოლაში, როცა შექმნილია ისეთი სასკოლო გარემო, რომელიც მოზარდებში საფრთხის ან განცალკევების განცდას იწვევს, ხოლო ბულინგის განხორციელების დაბალი შანსია ისეთ სკოლებში, სადაც მოზარდები კეთილდღეობასა და თანასწორობას გრძნობენ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბულინგის ფსიქოლოგიურ მექანიზმს კარგად ხსნის განწყობის თეორია.

შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლის კულტურა შეიძლება იყოს როგორც ბულინგის წარმოქმნის რისკფაქტორი, ისე მისი ანტიპრედიქტორი, რაც განათლების ფსიქოლოგიისა თუ მომიჯნავე დისციპლინებისთვის მნიშვნელოვან სურათს ქმნის. ამ შედეგების გაანალიზებით, ერთი მხრივ, აიხსნება ბულინგის ფსიქოლოგიური მოდელი და, მეორე მხრივ, შეგვიძლია განვსაზღვროთ ის სასკოლო რესურსი, რომლის სწორად გამოყენებაც სკოლებში ბულინგის წარმოქმნის რისკებს შეამცირებს (ამაზე ვრცლად, რეკომენდაციების სახით, მე-7 თავში ვისაუბრებთ).


რეგრესიული მოდელის გაანალიზებისას, გარდა სასკოლო ცვლადებისა, სტატისტიკურად სანდო დამატებითი ცვლადებიც გამოიკვეთა. განვიხილოთ დამატებითი ცვლადები ცალ-ცალკე. 15 წლის ასაკის ზეგავლენის წონაა მთლიანი ზეგავლენის 10.24%. ცვლადის “სხვა რეგიონები” ზეგავლენის წონა ვიქტიმიზაციის მაჩვენებელზე მთლიანი ზეგავლენის 6.89%-ს შეადგენს. ვიქტიმიზაციის მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენს “არც ერთი მშობლის არ მუშაობა”, რომლის ზეგავლენის წონა ვიქტიმიზაციის მაჩვენებელზე მთლიანი ზეგავლენის 5.54%-ს შეადგენს. შედარებით მცირე, მაგრამ თავისი პოზიტიური წვლილი შეაქვს ვიქტიმიზაციის მაღალ მაჩვენებელში შიდა ქართლის რეგიონს: ამ რეგიონის ზეგავლენის წონა მთლიანი ზეგავლენის 4.31%-ს შეადგენს.

ვიქტიმიზაციის ცვლადზე პრედიქტორული ღირებულების მქონე ცვლადები და მათი ზეგავლენის წილი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია გრაფიკულად (იხ. გრ. N1)<sup>22</sup>.

*გრაფიკი N1*

---

<sup>22</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ცვლადი “სხვა რეგიონი” შედგენილია სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებისგან, იგი არ შევიდა გრაფიკში. თუმცა ბულინგის რეგიონული ასპექტების შესწავლა ცალკე კვლევის საკითხად მიგვაჩნია. ამ თემაზე უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ.



ამრიგად, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბულინგის შემთხვევებს უფრო მეტად უნდა ველოდოთ:

- 15 წლის მოზარდებში;
- იმ კლასებში, სადაც სკოლის კულტურა არის “საფრთხის ტიპის”, განსაკუთრებით კი იმ კლასებში, სადაც აგრესიის ფონი მაღალია;
- იმ კლასებში, სადაც სკოლის კულტურა არის “განცალკევებულობის” ტიპის, განსაკუთრებით კი იმ კლასებში, სადაც აგრესიის ფონი მაღალია;
- სადაც ის ბავშვები სწავლობენ, რომელთა არცერთი მშობელი არ მუშაობს;
- ასევე, მაღალ რისკგუფს წარმოადგენს შიდა ქართლის სკოლები.

## სასკოლო კულტურისა და ვიქტიმიზაციის აღწერითი შედეგები

ანალიზის შემდგომ ეტაპზე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, გაგვეკეთებინა სასკოლო კულტურის ტიპებისა და ვიქტიმიზაციის მაჩვენებლების ანალიზი ჩვენ მიერ გამოყოფილი პარამეტრების თვალსაზრისით.

ამ მიზნით სასკოლო კულტურის ტიპების “განცალკევებულობა”, “კეთილდღეობა”, “საფრთხე”, “თანასწორობა”, აგრეთვე, “აგრესიის” და “ვიქტიმიზაციის სკალის ინდექსები გამოვთვალეთ გასაღების მიხედვით. შედარებადი მონაცემების მისაღებად გარდავქმენით ისინი ნორმირებულ მნიშვნელობებში. ამან საშუალება მოგვცა, შეგვედარებინა ერთმანეთისთვის სხვადასხვა დონეზე გაზომილი სკალები.

ნორმირებული მნიშვნელობა ანუ  $Z$  - ქულა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:  $Z = \frac{x - \bar{x}}{s_x}$ , სადაც

$x$  - ცვლადის მნიშვნელობა.

$\bar{x}$  - ცვლადის საშუალო მნიშვნელობა.

$s_x$  - ცვლადის სტანდარტული გადახრა.

ზემოთ აღნიშნული ცვლადების მიხედვით, სკოლის კულტურის ტიპების, აგრესიისა და ვიქტიმიზაციის სკალების მაჩვენებლების საშუალოთა ანალიზისა და შედარებისთვის გამოვიყენეთ ANOVA –ს მეთოდი.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში N19 მოცემულია სკოლის ზომის მიხედვით სკოლის კულტურის ტიპების, აგრესიისა და ვიქტიმიზაციის სკალების მაჩვენებლების საშუალოთა მონაცემები და მათ შორის განსხვავების სანდოობა.

ცხრილი N24

Mean
------

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)

SKOLIS_ZO MA ჩემს სკოლაში სწავლობს	sk_g განცალკევებუ ლობა	sk_k კეთილდღე ობა	sk_s საფრთ ხე	sk_t თანასწორ ობა	bd აგრეს ია	vs ვიქტიმიზაც იის სკალა
300-ზე ნაკლები მოსწავლე	0.12	0.14	0.01	-0.05	-0.08	-0.10
300-დან 800-მდე მოსწავლე	-0.03	0.12	-0.14	0.10	-0.05	-0.08
800-ზე მეტი მოსწავლე	-0.01	-0.07	0.08	-0.04	0.04	0.03
sig	0.62	<b>0.02</b>	<b>0.000</b>	<b>0.045</b>	0.25	0.08


მონაცემთა ანალიზის საფუძველზე (იხ., ცხრ-19) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკოლო კულტურის ტიპების - “კეთილდღეობა”, „საფრთხე” “თანასწორობა”, აგრეთვე, სასკოლო კულტურის შეჯამებული მაჩვენებლის მიხედვით, განსხვავებული სურათი გვაქვს სხვადასხვა ზომის სკოლებში და ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა; კერძოდ, “კეთილდღეობის” სასკოლო კულტურის ნორმირებული მნიშვნელობის საშუალო იმ სკოლაში, სადაც 300 -ზე ნაკლები მოსწავლე სწავლობს მაღალია (საშუალოზე მაღალია, რადგან ნორმირებული მნიშვნელობის საშუალო 0-ის ტოლია) და შეადგენს 0.14-ს; ნორმირებული მაჩვენებლის საშუალო ასევე მაღალია (0.12) იმ სკოლებში, სადაც 300-დან 800-მდე მოსწავლე სწავლობს. რაც შეეხება იმ სკოლებს, სადაც 800-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, აქ “კეთილდღეობის” ტიპის სასკოლო კულტურის ნორმირებული მაჩვენებლის საშუალო უარყოფით მნიშვნელობას იძენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ სკოლებში “კეთილდღეობის” სასკოლო კულტურის ნორმირებული მაჩვენებელი შედარებით დაბალია (საშუალოზე დაბალია, რადგან ნორმირებული მნიშვნელობის საშუალო 0-ის ტოლია). საშუალოებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ( $F(2, 1410)=6.475, sig=0.002$ ).

“საფრთხის” სასკოლო კულტურის ნორმირებული მნიშვნელობის საშუალო იმ სკოლაში, სადაც 300-ზე ნაკლები მოსწავლე სწავლობს, ფაქტობრივად საშუალოა (0.01). იმ სკოლებში, სადაც 300-დან 800-მდე მოსწავლე სწავლობს, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირდება, იგი უარყოფით მნიშვნელობას იღებს (-0.014) და, შესაბამისად, საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია. რაც შეეხება იმ სკოლებს, სადაც 800-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, აქ “საფრთხის” ტიპის სასკოლო კულტურის ნორმირებული მაჩვენებლის საშუალო ყველაზე მაღალ მნიშვნელობას იძენს და იგი შეადგენს 0.08. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც შედარებით მცირერიცხოვან სკოლებში, ისე შედარებით მრავალრიცხოვან სკოლებში “საფრთხის” ტიპის სასკოლო კულტურის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ხოლო საშუალო ზომის სკოლაში, სადაც 300-დან 800-მოსწავლემდე სწავლობს, “საფრთხის” ტიპის სასკოლო კულტურის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (საშუალოებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ( $F(2, 1411)=8.550, sig=0.000$ )).


“თანასწორობის” სასკოლო კულტურის ნორმირებული მნიშვნელობის საშუალო იმ სკოლაში, სადაც 300-ზე ნაკლები მოსწავლე სწავლობს, შედარებით დაბალია (საშუალოზე დაბალია) და შეადგენს -0.05-ს; ნორმირებული მაჩვენებლის საშუალო ასევე დაბალია (-0.04) იმ სკოლებში, სადაც 800-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს. რაც შეეხება იმ სკოლებს, სადაც 300-დან 800-მდე მოსწავლე სწავლობს, აქ, “თანასწორობის” ტიპის სასკოლო კულტურის ნორმირებული მაჩვენებლის საშუალო საკმაოდ მაღალია (0.1) საშუალოებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ( $F(2, 1410)=3.045, sig=0.048$ )).

სკოლის ზომის მიხედვით, სასკოლო კულტურის სხვადასხვა ტიპის მაჩვენებლების საშუალოთა შორის განსხვავება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე (N2, N3, N4).


გრაფიკი N2



გრაფიკი N3



გრაფიკი N4



როგორც გამოიკვეთა, სკოლაში მოსწავლეების რაოდენობა (სკოლის ზომა) ბულინგის წარმოქმნის ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ. კვლევის შედეგების გაანალიზება გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მოზარდები ყველაზე კომფორტულად მაშინ გრძნობენ თავს, როცა სკოლაში მოსწავლეების რაოდენობა 300-დან 800 მოსწავლემდე მერყეობს. ამ ზომის სკოლებში მოზარდებმა კეთილდღეობის და თანასწორობის ყველაზე მაღალი და საფრთხის ყველაზე დაბალი დონე აჩვენეს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშუალო კონტინგენტის სკოლებში უფრო მეტად გვხვდება ისეთი სასკოლო გარემო, რომელიც ურთიერთპატივისცემაზე, კომუნიკაციის წესების დაცვასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული, განსხვავებით პატარა ან დიდ კონტინგენტის სკოლებისგან. მიღებული შედეგები, ვფიქრობთ, განათლების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ღირებული ინფორმაცია იქნება.

საინტერესო შედეგები მივიღეთ სკოლის კულტურის ტიპებისა და ვიქტიმიზაციის სკალის საშუალო მაჩვენებლების ანალიზისას მშობლების დასაქმების თვალსაზრისით (ცხრ. N20). მშობელთა დასაქმების სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში განსხვავებულია სკოლის



კულტურისა („განცალკევებულობა“, „კეთილდღეობა“) და ვიქტიმიზაციის საშუალო მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ „განცალკევებულობის“ საშუალო მაჩვენებელი მაღალია იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მუშაობს მხოლოდ დედა ან „არცერთი არ მუშაობს“ (შესაბამისად, 0.23 და 0.22), ხოლო იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა ორივე მშობელი მუშაობს, „განცალკევებულობა“ შედარებით დაბალია (-0.5.) და ის კიდევ უფრო დაბალია იქ, სადაც მხოლოდ მამა მუშაობს - "მხოლოდ მამა მუშაობს" ( $F(3, 1412)=6.520$ ,  $p=0.000$ ).

საინტერესოა, რომ „კეთილდღეობის“ საშუალო მაჩვენებელი, პირიქით, შედარებით დაბალია (-0.19) იმ მოსწავლეების შემთხვევაში, სადაც მხოლოდ დედა მუშაობს, და ყველაზე მაღალია იმ მოსწავლეებთან, სადაც მხოლოდ მამა მუშაობს (0.10). დანარჩენ შემთხვევებში, როცა ორივე მშობელი მუშაობს ან არც ერთი არ მუშაობს, კეთილდღეობის მაჩვენებელი ფაქტობრივად საშუალოა (შესაბამისად, 0.01 და 0.07). ( $F(3, 1412)=3.658$ ,  $p=0.012$ ).


მშობელთა მუშაობის თვალსაზრისით ვიქტიმიზაციის სკალის საშუალოთა შორის განსხვავების ( $F(3, 1412)=6.028$ ,  $p=0.000$ ) ანალიზისას დადგინდა, რომ ვიქტიმიზაციის საშუალო მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია იმ შემთხვევაში, როცა არც ერთი მშობელი არ მუშაობს. მშობელთა დასაქმების დანარჩენ ვარიანტებში ვიქტიმიზაციის მეტ-ნაკლებად საშუალო მაჩვენებლები გვაქვს.

ბულინგის ფსიქოლოგიური ბუნება და მისი განმაპირობებელი ფაქტორები  
(საქართველოში მცხოვრები მოზარდების მაგალითზე)


q0173 ჩემი მშობლები მუშაობენ	sk_g განცალკევებულობა	sk_k კეთილდღეობა	sk_s საფრთხე	sk_t თანასწორობა	bd აგრესია	vs ვიქტიმიზაციის სკალა
1 მუშაობს მხოლოდ დედა	0.23	-0.19	0.10	-0.08	0.05	0.09
2 მუშაობს მხოლოდ მამა	-0.10	0.10	-0.10	0.03	-0.02	-0.09
3 ორივე მუშაობს	-0.05	0.01	0.01	0.04	0.00	-0.04
4 არცერთ არ მუშაობს	0.22	0.07	0.00	-0.03	-0.01	0.41
sig	<i>0.00</i>	<u><i>0.012</i></u>	<i>0.12</i>	<u><i>0.50</i></u>	<i>0.86</i>	<u><i>0.00</i></u>

მშობელთა დასაქმების მიხედვით, სასკოლო კულტურის სხვადასხვა ტიპის მაჩვენებლების საშუალოთა შორის განსხვავება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე (N5, N6, N7) .


გრაფიკი N5



გრაფიკი N6



გრაფიკი N7



საინტერესოა მშობლების დასაქმების მაჩვენებელთან დაკავშირებით დაფიქსირებული შედეგების განხილვა სოციო-კულტურული ასპექტით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მოზარდები გრძნობენ სკოლაში აქტუალურ დაძაბულობას, მარტობას, განცალკევებულობას, რომელთა ან მხოლოდ დედა მუშაობს, ან არცერთი მშობელი არ მუშაობს. შესაბამისად, განცალკევებულად ნაკლებად გრძნობენ თავს ის მოსწავლეები, რომელთა მხოლოდ მამა ან ორივე მშობელი დასაქმებულია. ასევე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კეთილდღეობის განცდისთვის დედის მოზარდის გვერდით ყოფნა მნიშვნელოვანი ფაქტორია. კვლევის თანახმად, მხოლოდ მამინ გრძნობს ყველაზე დაბალ კეთილგანწყობას მოზარდი, როცა მხოლოდ დედა მუშაობს. ამ კონტექსტით მით უფრო საინტერესოა ვიქტიმიზაციის სკალასთან დაკავშირებული შედეგებიც - მოსწავლეები ვიქტიმიზირებულად გრძნობენ თავს მამინ, როცა არცერთი მშობელი არ მუშაობს, თუმცა ასევე მაღალია ვიქტიმიზირების ალბათობა მამინ, როცა მხოლოდ დედაა დასაქმებული.

ცხადია, სკოლის კულტურა საზოგადოებისგან ცალკე მდგომ ღირებულებათა სისტემად არ უნდა მოვიაზროთ და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რა გენდერული თუ კულტურით განპირობებული სტერეოტიპები არსებობს საზოგადოებაში, რასაც სკოლის კულტურაც ირეკლავს. თუ მოზარდი მიიჩნევს, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელ რეალობაში ცხოვრობს, ეს აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ის საკუთარ თავს გარემოსთან დაკავშირებით. ადამიანს და მით უფრო მოზარდს, დიდი ალბათობაა, გაუნჩნდეს გარემოსთან ადაპტაციის პრობლემა და განცალკევებულად თუ ვიქტიმიზირებულად იგრძნოს თავი მამინ, როცა ის მიიჩნევს, რომ მის გარშემო არსებული სიტუაცია (როცა დედა დასაქმებულია და მამა უმუშევარი) ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებებსა თუ გენდერულ როლებს, რომლებიც გვთავაზობენ ოჯახის მოდელს, სადაც კაცი არის შემომტანი, ქალი კი - ოჯახზე მზრუნველი. როგორც

ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მკვეთრად არის შენარჩუნებული ეს სტერეოტიპი, ყოველ შემთხვევაში, ცნობიერების დონეზე მაინც.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ შედეგებზე გავლენას სწორედ ჩვენი გენდერული ცნობიერება ახდენს, რომელიც ვიცით, რომ სოციალური ცნობიერების ნაწილს წარმოადგენს და ქალებსა და კაცებს შორის თანაცხოვრებისა და ურთიერთობების წესის განმსაზღვრელია. ამიტომ ვფიქრობთ, ეს შედეგი გენდერული ცნობიერების კვლევით დაინტერესებული პირებისთვისაც საგულისხმო იქნება.

საინტერესო შედეგები მივიღეთ, აგრეთვე, სკოლის კულტურის ტიპების საშუალო მაჩვენებლების მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავების ანალიზისას (ცხრ.#26). ANOVA ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებული საშუალო მაჩვენებლები, სკოლის კულტურის ტიპების - “განცალკევებულობა”, “საფრთხე” და “თანასწორობა” მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ “განცალკევებულობის” საშუალო მაჩვენებელი მაღალია 17 წლის მოსწავლეებში (0.21), ხოლო საშუალოზე დაბალი - 14 წლის მოსწავლეებში (-.015). დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში კი სკოლის კულტურის ამ ტიპის მაჩვენებელი საშუალო ან საშუალოზე დაბალია (იხ. ცხრილი # 26). საშუალოთა შორის სხვაობები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ( $F(4, 1410)=4.347, p=0.002$ ). ასევე, სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა სასკოლო კულტურის ტიპის - “საფრთხე” საშუალო მაჩვენებლებს შორისაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ( $F(4, 1411)=2.485, p=0.042$ ). კერძოდ, “განცალკევებულობის” საშუალო მაჩვენებელი მაღალია 17 წლის მოსწავლეებში (0.18), დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში კი სკოლის კულტურის ამ ტიპის მაჩვენებელი თითქმის საშუალოა (საშუალოზე ოდნავ მაღალი ან დაბალია).

რაც შეეხება “თანასწორობის” ტიპის სასკოლო კულტურის საშუალო მაჩვენებელს, იგი საშუალოზე მაღალია 16 წლის მოსწავლეებში (0.13), ასევე 13


წლის მოსწავლეებში (0.09), ხოლო საშუალოზე დაბალი 14 წლის მოსწავლეებში (-0.10). დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ეს მონაცემი საშუალოზე ოდნავ მეტი ან ნალეზია ( $F(4, 1411) = 2.615, p = 0.034$ ).

ცხრილი N26


Mean						
AGE ჩემი ასაკია	sk_g განცალკევებულიობა	sk_k კეთილდღეობა	sk_s საფრთხე	sk_t თანასწორობა	bd აგრესია	vs ვიქტიმიზაციის სკალა
13 წლის	-0.02	0.04	-0.06	0.09	0.00	-0.27
14 წლის	-0.15	0.01	-0.07	-0.10	-0.07	-0.05
15 წლის	-0.03	0.03	-0.04	-0.03	-0.06	0.03
16 წლის	0.00	0.03	0.02	0.13	0.06	-0.01
17 წლის	0.21	-0.15	0.18	-0.01	0.11	0.02
sig	<b>0.002</b>	0.21	<b>0.042</b>	<b>0.034</b>	0.10	0.42

მოსწავლეთა ასაკის მიხედვით სასკოლო კულტურის სხვადასხვა ტიპის მაჩვენებელთა საშუალოთა შორის განსხვავება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე (N8, N9, N10).


გრაფიკი N8



გრაფიკი N9



გრაფიკი N10



მნიშვნელოვანი შედეგები მივიღეთ სკოლის კულტურის ტიპების საშუალო მაჩვენებლების მოსწავლეთა სქესის მიხედვით განსხვავების ანალიზისას (ცხრ. N22). ANOVA ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავებული საშუალო მაჩვენებლები სკოლის კულტურის ტიპების - “საფრთხე” და “ვიქტიმიზაციის” სკალის მიხედვით (შესაბამისად,  $F(4, 1421)=9.310, p=0.002$ ) და


$F(4, 1420) = 10.395, p = 0.001$ ). კერძოდ, საინტერესოა, რომ “საფრთხე” უფრო მაღალია გოგონებში (0.05), ვიდრე - ბიჭებში (-0.11), ისევე, როგორც “ვიქტიმიზაციის” საშუალო მაჩვენებელი (იხ. შესაბამისად, 0.05 და -0.013).

**ცხრილი N27**


Mean						
sex მე ვარ	sk_g განცალკევებ ულობა	sk_k კეთილდღეობა	sk_s საფრთხე	sk_t თანასწორო ბა	bd აგრესია	vs ვიქტი მიზაც იის სკალა
1 გოგ ონ	0.02	0.00	0.05	-0.02	0.03	0.05
2 ბიჭი	-0.07	0.02	-0.11	0.07	-0.06	-0.13
Sig.	0.09	0.75	0.002	0.08	0.12	0.001

მოსწავლეთა სქესის მიხედვით სასკოლო კულტურის სხვადასხვა ტიპის მაჩვენებელთა საშუალოთა შორის განსხვავება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე (N11, N12).

**გრაფიკი N11**







კვლევამ აჩვენა, რომ გარემოს გოგონები უფრო საფრთხის შემცველად აღიქვამენ, ვიდრე ბიჭები. ასევე, შედეგების თანახმად, გოგონებს მეტად აღენიშნებათ ის ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ნიშნები, რომლებიც მათი მსხვერპლად გადაქცევის ალბათობას ზრდის, განსხვავებით ბიჭებისგან. თუმცა ეს შესაძლოა, ჩვენი კულტურული თავისებურებებით იყოს განპირობებული - ბიჭებს ყოველთვის გაცილებით უჭირთ ემოციებზე საუბარი ვიდრე - გოგონებს. პატრიარქალური კულტურა თუ მასკულიზმი ბიჭებს მეტ თავდაჭერას სთხოვს და ტესტის შევსებისას შესაძლოა, გოგონები უფრო გულახდილნი იყვნენ, ვიდრე ბიჭები. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა შედეგებში სხვაობა.

გენდერულ ჭრილში შედეგების ანალიზისას კიდევ უფრო საინტერესო ხდება ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში გაკეთებული მიგნება, რომლის თანახმადაც გოგონები უფრო ხშირად აპროტესტებენ ძალადობასა და ჩაგვრას, ვიდრე ბიჭები (Salmivalli, 2001). როგორც ჩანს, ისინი უფრო სენსიტიურები არიან აგრესიული გარემოსადმი და

შესაძლოა, ამიტომაც წარმოაჩინა ჩვენმა კვლევამ, რომ გოგონები უფრო საფრთხის შემცველად აღიქვამენ გარემოს, ვიდრე ბიჭები.

რეგიონების მიხედვით სკოლის კულტურის ტიპებისა და ვიქტიმიზაციის მაჩვენებლების საშუალოთა შორის განსხვავების ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო შედეგები (იხ. ცხრ.#28).. კერძოდ, გამოვლინდა რეგიონებს შორის სხვაობები სასკოლო კულტურის ტიპების - “განცალკევებულობა”, “კეთილდღეობა” და „საფრთხე” - მიხედვით, აგრეთვე, ვიქტიმიზაციის სკალის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით (შესაბამისად,  $F(5, 1416)=2.389, p=0.008$ ;  $F(5, 1416)=3.429, p=0.000$ ;  $F(5, 1417)=13.275, p=0.000$ ;  $F(4, 1416)=22.073, p=0.000$ ).

**ცხრილი N28**

Mean						
q0170 მე ვცხოვრობ	sk_g განცალკევებულობა	sk_k კეთილდღეობა	sk_s საფრთხე	sk_t თანასწორობა	bd აგრესია	vs ვიქტიმიზაციის სკალა
თბილისი	0.02	-0.08	0.20	-0.01	0.01	0.02
იმერეთი	0.61	-0.41	1.45	-0.95	0.57	0.29
მცხეთა-მთიანეთი	-0.29	0.42	-0.49	0.28	-0.08	-0.25
ქვემო ქართლი	-0.58	0.36	-0.33	-1.61	0.62	-0.01
შიდა ქართლი	-0.13	0.27	-0.30	0.10	-0.16	-0.22
სხვა რეგიონები	0.87	-0.29	0.88	-0.79	0.32	3.57
sig	<b>0.008</b>	<b>0.000</b>	<b>0.000</b>	0.065	<b>0.074</b>	<b>0.000</b>

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. სასკოლო კულტურის ტიპი “განცალკევებულობა” ყველაზე მაღალია ჯგუფში - “სხვა რეგიონები” (0.87), ასევე იმერეთის რეგიონში (0.61). “განცალკევებულობის“ საშუალო

მაჩვენებელი რეგიონებს შორის ყველაზე დაბალია ქვემო ქართლში (-.58). ამ პარამეტრის მიხედვით, თბილისში გვაქვს საშუალო მაჩვენებელი (0.02), ხოლო მცხეთა მთიანეთსა და შიდა ქართლში საშუალოზე დაბალი (შესაბამისად, -0.29 და -0.13).


კეთილდღეობის ტიპის სასკოლო კულტურის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (0.42), შემდეგ კი ქვემო ქართლსა (0.36) და შიდა ქართლში (0.27). თბილისში კეთილდღეობის მაჩვენებელი საშუალოზე ოდნავ ნაკლებია (-0.08), ხოლო იმერეთში კეთილდღეობის სასკოლო კულტურის საშუალო მაჩვენებელი ძალიან დაბალია (-0.41). ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია “სხვა რეგიონებშიც” (-0.29).

სასკოლო კულტურის ტიპი - “საფრთხე” ძალიან მაღალია იმერეთში (1.45) და “სხვა რეგიონებში” (0.88). ეს მაჩვენებელი საშუალოზე გაცილებით დაბალია მცხეთა-მთიანეთში (-0.49), ქვემო ქართლსა (-0.33) და შიდა ქართლში (-0.30). თბილისში “საფრთხის“ სასკოლო კულტურის საშუალო მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (0.20).


რაც შეეხება ვიქტიმიზაციის სკალას, იგი განსაკუთრებით მაღალია “სხვა რეგიონებში” (3.57), ვიქტიმიზაციის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, შემდეგ ადგილზეა იმერეთის რეგიონი, სადაც ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (0.29). თბილისსა და ქვემო ქართლში ვიქტიმიზაციის მაჩვენებელი საშუალო დონეზეა (შესაბამისად, 0.02 და -0.01), ხოლო მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში ვიქტიმიზაციის მაჩვენებელი საშუალოზე საკმაოდ დაბალია (შესაბამისად, -0.25 და -0.22).

რეგიონის მიხედვით, სასკოლო კულტურის სხვადასხვა ტიპის და ვიქტიმიზაციის მაჩვენებელთა საშუალოთა შორის განსხვავება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე (N13, N14, N15, N16).


გრაფიკი N13




გრაფიკი N14



გრაფიკი N15



გრაფიკი N16



როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, რეგრესიული მოდელის განხილვისას ცვლადების - რეგიონი, ასაკი, მშობელთა დასაქმება - ზოგიერთი მნიშვნელობა

წარმოადგენს ვიქტიმიზაციის პრედიქტორს. თუმცა, ამ ცვლადების მიხედვით, შედეგების საშუალოთა შედარება სხვა სურათს იძლევა. ეს განსაკუთრებით ეხება ასაკისა და რეგიონის ცვლადს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ გავანალიზოთ ვიქტიმიზაციისა და სკოლის კულტურის საშუალო მაჩვენებლების განსხვავებული შედეგები მოცემული ცვლადების ჭრილში. საქმე ისაა, რომ რეგრესიული მოდელი ითვალისწინებს რეგიონების გავლენას ვიქტიმიზაციაზე რეგრესიაში მონაწილე სხვა პარამეტრებისგან დამოუკიდებლად. ხოლო საშუალოების შედარების დროს აშკარავდება სხვა ცვლადების ზეგავლენაც. ასე მაგ., განვიხილოთ რეგიონების მაგალითი, როცა რეგიონების მიხედვით საშუალოებს ვადარებთ ერთმანეთს: რეგიონები განსხვავებულია ერთმანეთისაგან რეგრესიაში მონაწილე სხვა ცვლადების მიხედვით და ეს განსხვავება გვაძლევს განსხვავებულ სურათს. ვიქტიმიზაციის ხარისხის შეფასებაში, როცა ვიხილავთ რეგრესიულ მოდელს, რეგიონის წილი არის 4.5% და დანარჩენი ცვლადების კი - 95,5%, ანუ როცა საშუალოებს ვადარებთ რეგიონების მიხედვით არ ვართ დაზღვეული იმ პარამეტრების გავლენისგან, რომლებითაც რეგიონები განსხვავდება ერთმანეთისგან.

## თავი 7 - შეჯამება და დისკუსია

ჩვენ მიერ აგებულმა იერარქიულმა რეგრესიულმა მოდელმა ვიქტიმიზაციის 34% ახსნა, საიდანაც შემთხვევების 73%-ს საგანმანათლებლო სივრცისა და აგრესიის კომბინირებული ცვლადები განაპირობებს. ამ შედეგმა ჩვენი ძირითადი ჰიპოთეზები დაადასტურა. კერძოდ, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ:

მიუხედავად აგრესიის დონისა, კეთილსაიმედო სასკოლო გარემო მნიშვნელოვნად ამცირებს ბულინგის შემთხვევებს. უფრო ზუსტად კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეთა აგრესიის დონისგან დამოუკიდებლად კეთილსაიმედო სასკოლო გარემო განაპირობებს ვიქტიმიზაციის დაბალ დონეს;

ბ) მიუხედავად აგრესიის დონისა, არაკეთილსაიმედო სასკოლო გარემო განაპირობებს ვიქტიმიზაციის მაღალ მაჩვენებელს.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მართლაც, კეთილსაიმედო სასკოლო გარემო, მიუხედავად აგრესიის დონისა, ამცირებს ვიქტიმიზაციის დონეს: სასკოლო გარემო “კეთილგანწყობა”, აგრესიასთან კომბინაციაშიც კი, ვიქტიმიზაციისთვის უარყოფითი პროექტორია. სასკოლო გარემო “თანასწორობა” ასევე უარყოფითი პროექტორია ვიქტიმიზაციისთვის (თუმცა აგრესიის ფონზე იგი კარგავს სტატისტიკურ მნიშვნელობას, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი, “კეთილგანწყობასთან” შედარებით, სუსტი ზეგავლენის მქონე ცვლადია).

რეგრესიული მოდელით დადასტურდა ისიც, რომ მიუხედავად აგრესიის დონისა, არაკეთილსაიმედო სასკოლო გარემო განაპირობებს ვიქტიმიზაციის მაღალ მაჩვენებელს. კვლევამ აჩვენა, რომ სასკოლო გარემოს ორი ცვლადი - “საფრთხე” და “განცალკევებულობა” აგრესიასთან კომბინაციაში ვიქტიმიზაციის ძლიერ პოზიტიურ პროექტორს წარმოადგენს.

ამრიგად, კვლევამ დაადასტურა რომ ბულინგი მაშინ აღინიშნება, როდესაც არსებობს აგრესია, პოტენციური მსხვერპლი და ამ ქცევის განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემო.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად აგრესიის დონისა, კეთილსაიმედო სასკოლო გარემო მნიშვნელოვნად ამცირებს ბულინგის შემთხვევებს და არაკეთილსაიმედო სასკოლო გარემო განაპირობებს ვიქტიმიზაციის მაღალ მაჩვენებელს.

იმავედროულად, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ბულინგის შემთხვევა უფრო ხშირად უნდა გამოვლენილიყო ბიჭებში, ვიდრე - გოგონებში, დიდ კონტიგენტთან სკოლებში, ვიდრე - პატარაში და იმ ოჯახის ბავშვებში, რომელთა არცერთი მშობელი არ არის დასაქმებული. კვლევამ პირველი ორი ჰიპოთეზის შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო მონაცემები არ მოგვცა, ამდენად, ეს ჰიპოთეზები არ დადასტურდა.

აღსანიშნავია, რომ კვლევამ გამოავლინა ბულინგის კავშირი მშობელთა დასაქმებასთან. აღმოჩნდა, რომ მშობელთა უმუშევრობა ვიქტიმიზაციის პრედიქტორია. კერძოდ, გვიჩვენა, რომ როცა მოზარდის არცერთი მშობელი არ არის დასაქმებული, ეს მას ვიქტიმიზაციისკენ მეტად მიდრეკილს ხდის.

სტატისტიკურად სანდო პრედიქტორული ღირებულება აღმოაჩნდათ, აგრეთვე, მოსწავლის ცვლადებს: ასაკს და საცხოვრებელ რეგიონს - შიდა ქართლსა და ე.წ. “სხვა რეგიონებს”. აღმოჩნდა, რომ ბულინგი მეტად არის მოსალოდნელი 15 წლის მოსწავლეებში და ზემოთხსენებულ რეგიონებში. თუმცა ცალკეული რეგიონის ცვლადების პრედიქტორული ღირებულება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, აღნიშნული საკითხი, ჩვენი აზრით, დამატებით კვლევას საჭიროებს, რადგან, შესაძლოა, უფრო ღრმა კვლევის შედეგად ამ ცვლადის ანალიზმა მისი რომელიმე კომპონენტის უპირატესი პრედიქტორული წონა გამოავლინოს.



შედეგები შეგვიძლია განვაზოგადოთ და დავასკვნათ, რომ:

- ბულინგის ქცევა მაშინ ხორციელდება, როცა არსებობს მსხვერპლი და გარემოში გვაქვს აგრესიის რეალიზების შესაძლებლობა;
- სკოლის კულტურა ბულინგის ქცევის ძლიერ პრედიქტორს წარმოადგენს;
- მსხვერპლად გადაქცევის ალბათობა (ვიქტიმურობა) იმ მოზარდებშია მაღალი, რომლებიც განიცდიან მაღალ დამაბულობას გარემოში;
- როცა მოზარდი გრძნობს საფრთხის ან განცალკევებულობის განცდას, ეს ბულინგისადმი მის მოწყვლადობას ზრდის.
- სკოლებში უნდა იყოს ისეთი გარემო, რომელშიც არ შეიქმნება ისეთი განწყობა, რომელიც ბულინგის ქცევის წინაპირობად იქცევა;
- სკოლის ისეთი კულტურა, რომელიც ჯგუფში კომუნიკაციის წესების დაცვასა და ურთიერთპატივისცემაზეა ორიენტირებული, ამცირებს მოზარდების მსხვერპლად გახდომის ალბათობას;
- შესაბამისად, როცა მოზარდს აქვს კეთილდღეობის განცდა, აგრესიასთან კომბინაციაშიც კი, ეს განცდა ამცირებს მსხვერპლად გახდომის ალბათობას.

ამრიგად, მსხვერპლად გადაქცევის ალბათობა (ვიქტიმურობა) იმ მოზარდებშია მაღალი, რომლებიც სასკოლო გარემოში დიდ საფრთხეს გრძნობენ, ხოლო სკოლის ისეთი კულტურა, რომელიც ჯგუფში კომუნიკაციის წესების დაცვაზე და ურთიერთპატივისცემაზეა ორიენტირებული (მოზარდს აქვს კეთილდღეობის განცდა), ამცირებს მოზარდების მსხვერპლად გახდომის ალბათობას.

თანამედროვე ლიტერატურის გააზრებამ გვიჩვენა, რომ მრავალი თეორია ცდილობს ბულინგის ქცევის ახსნას, თუმცა თეორიების უმეტესობა აქცენტს სვამს სოციალური აქტის განხორციელების მიზეზებზე, როდესაც ნაკლებად გვხვდება ბულინგის ფსიქოლოგიური მოდელის ახსნის მცდელობები. ისეთი მიდგომები, როგორებიცაა, სოციალური დასწავლის, განვითარების, რეზილიანტობის, დომინანტობის, ეკოლოგიურ სისტემათა, ორგანიზაციული კულტურისა თუ სხვა თეორიები, უმეტესად მის ამა თუ იმ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და გვთავაზობს პასუხებს კითხვაზე - თუ რა ახასიათებს ბულინგს და როგორ ხორციელდება იგი. ჩვენი კვლევის ფარგლებში კი უფრო ღრმად გადავწყვიტეთ საკითხის კვლევა: მიზნად დავისახეთ გაგვეჩვენა, როგორ მუშაობს ბულინგის ფსიქოლოგიური მექანიზმი და ბულინგის ქცევა ინდივიდის დონეზე შევისწავლეთ. გამომდინარე აქედან, ეს რთული და მრავალკომპონენტური ქცევა განწყობის თეორიის საფუძველზე გავაანალიზეთ.

კვლევამ აჩვენა, რომ განწყობის თეორია კარგად ხსნის ბულინგის განხორციელებისთვის საჭირო განწყობის ინდივიდის დონეზე აღმოცენებას და მისი მოქმედების მექანიზმს. კერძოდ, იგი საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ ბულინგის არსებული ქცევა/სიტუაცია ავხსნათ, არამედ ვიწინასწარმეტყველოთ ქცევის აღმოცენება ან ჩაქრობა ინსტრუმენტული შესაძლებლობების მართვის დონეზე. განწყობის თეორია გვაჩვენებს გზას, როგორ შეგვიძლია ბუღერი გადავაჩვიოთ ამ აგრესიული ქცევის განხორციელებას განწყობის ჩაქრობის გზით და, მეორე მხრივ, გვასწავლის, როგორ უნდა მოხდეს ამ ტიპის ქცევის პრევენცია.

კვლევამ აჩვენა, რომ კეთილსაიმედო სკოლის კულტურა წარმოადგენს ისეთი ტიპის ინსტრუმენტულ შესაძლებლობას, რომელიც აგრესიული ქცევის საფუძველად მდებარე განწყობას არ აძლევს რეალიზების საშუალებას.

სავარაუდოდ, ამ დროს შესაბამისი ფიქსირებული განწყობა არარეალიზებული განწყობის სახეს იძენს და ასე ინახება. თუმცა, როდესაც გარემო სისტემატურად კეთილსაიმედოა, ეს რეალობა ბულინგის საფუძვლად მდებარე ფიქსირებული განწყობის დაშლასთან უნდა იწვევდეს, რაც არსებული განწყობის ჩაქრობასა და ახალი, გარემოს ადეკვატური, განწყობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

განწყობის თეორია საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, რომ ეს პროცესი დროში ხანგრძლივად მიმდინარეობს - როცა განწყობას რეალიზებისთვის ერთჯერადად არ ეძლევა ინსტრუმენტული შესაძლებლობები, ეს ამ განწყობის ჩაქრობის და ახლით ჩანაცვლებისთვის საკმარისი არ არის. მის გარდაქმნას დრო სჭირდება. აუცილებელია, ძველ განწყობას რეალიზების საშუალება სისტემატურად არ ეძლეოდეს. თეორიის თანახმად, რა წამსაც შეიქმნება ამ ძველი განწყობის რეალიზებისთვის ხელსაყრელი გარემო, მაშინვე განხორციელდება შესაბამისი ქცევა, რაც კვლავაც ძველი განწყობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ამიტომ სკოლის ადმინისტრაციებსა და პედაგოგებს რეკომენდაციის დონეზე შეიძლება განემარტოთ, რომ აგრესიული ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის ჩაქრობის თუ ახლით ჩანაცვლების პროცესი თანამიმდევრული და გრძელვადიანი მუშაობის შედეგია და მომენტალური გაუმჯობესების მოლოდინი არ უნდა ჰქონდეთ. ამასთან, როცა არარეალიზებულ განწყობასთან გვაქვს საქმე, ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ ერთ გარემოში (კლასში, სკოლაში) არარეალიზებულ მდგომარეობაში გადასული განწყობა, მაინც ისწრაფოდეს რეალიზებისკენ სხვა, უფრო ხელსაყრელ, გარემოში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, არ არ შეიქმნას ბულინგის ქცევის რეალიზებისთვის ხელსაყრელი გარემო და არ მოხდეს მის საფუძვლად მდებარე განწყობის ფიქსაცია, მეორე მხრივ კი, ხელი არ შეეწყოს არარეალიზებულ მდგომარეობაში გადასული განწყობებისთვის რეალიზაციის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას. შესაბამისად, როგორც ფიქსირებული განწყობის ჩაქრობისთვის, ისე ახლის აღმოცენებისთვის

მთავარია თანამიმდევრულობა და მიზანმიმართული მუშაობა. ბულინგის აღმოცენებისა და რეალიზაციის განწყობისებური მექანიზმის გააზრება, გვიჩვენებს რა მისი ჩაქრობის სირთულეებს, ნათელს ხდის, თუ რატომ არის ბულინგის ქცევა ასე რთულად სამართავი და გავრცელების მხრივ მასშტაბური.

ამრიგად, ბულინგის ქცევის კონსტრუქტს კარგად ხსნის განწყობის მექანიზმი და, როგორც პიროვნების განვითარებისა და მოქმედების თეორია, იგი ბულინგის მთლიანობით სურათს გვთავაზობს. ეს თეორია განმარტავს, თუ რატომ ხდება ერთი კონკრეტული მოზარდი ბულერი, რა ფსიქოლოგიური მექანიზმი უდევს ბულერად ჩამოყალიბებას საფუძვლად, რა შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს ბულინგის ქცევა, როგორია მისი ხელშემწყობი პირობები.

რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა კვლევამ განათლების ფსიქოლოგიისთვის საინტერესო სურათი აჩვენა. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები სასკოლო განათლებისა და პოლიტიკის დაგეგმვისთვისაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევაში, გარდა ბულინგის ფსიქოლოგიური პროექტორების შესწავლისა, მოცემულია სკოლის კულტურის, აგრესიისა და ვიქტიმიზაციის სურათი, სქესის, რეგიონის, ასაკისა და სხვ. პარამეტრების მიხედვით. ვფიქრობთ, აღნიშნული შედეგებიც წაადგება საქართველოში ბულინგის პრევენციას და სასკოლო განათლების სისტემის შემდგომ განვითარებას.

დისერტაციის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ ახალი საკვლევო საკითხებიც გამოკვეთა. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, დამატებით ვიკვლიოთ გარემოს რავგარობის ტიპისა და აგრესიის დონის კავშირები; სასკოლო კლიმატის, აგრესიის დონისა და ვიქტიმიზაციის ფორმებს შორის კორელაციები; რამდენადაა თავად მსხვერპლთათვის დამახასიათებელი აგრესიული ქცევა და

სხვა. საინტერესოა ასევე, ფონური და პიროვნული აგრესიის ურთიერთმიმართების კვლევა, რადგან ვიცით, რომ ბულინგი სოციალური ქცევაა, მას ყოველთვის ჰყავს „დამსწრე საზოგადოება“ და არ იქნება მართებული, ის მხოლოდ პიროვნების დონეზე მიმდინარე ქცევად აღვიქვათ. ამიტომ ფონური აგრესიის დამატებითი კვლევა საინტერესოდ მიგვაჩნია.

### კვლევის შეზღუდვა

1. საველე სამუშაოების დაწყებამდე განსაზღვრული გვექონდა საკვლევი პოპულაციის კვოტური შერჩევა. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად შევარჩიეთ კონკრეტული სკოლები, რომელთა მოსწავლეების გამოკითხვაც დავისახეთ მიზნად. თუმცა ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის და თანმხლები შეზღუდვების გათვალისწინებით, ვერ შევძელით კვოტური შერჩევის პრინციპის დაცვა და ამიტომ კვლევისთვის გამოვიყენეთ ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდი, რაც გარკვეული რისკის შემცველი გადაწყვეტილება იყო. კვლევამ ბულინგის ერთ-ერთ პრედიქტორად რეგიონული ცვლადები - შიდა ქართლი და “ე. წ. “სხვა რეგიონები” გამოავლინა, რა მიმართულებითაც უფრო ზუსტ სურათს, ცხადია, კვოტური შერჩევა მოგვცემდა.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მიზანი იყო ბულინგის ფსიქოლოგიური მექანიზმის შესწავლა და შესაბამისი რეგრესიული მოდელის აგება (და არა ქვეყნის/რეგიონების მასშტაბით ბულინგის თვალსაზრისით არსებული სურათის სანდო და რეპრეზენტატული აღწერა). ჩვენ მიერ მოპოვებულია საკმარისად დიდი მოცულობისა და კვლევისთვის მნიშვნელოვანი ცვლადების თვალსაზრისით

განსხვავებული მონაცემები, რაც სრულებით საკმარის საფუძველს ქმნის ჩვენთვის საინტერესო სტატისტიკური ანალიზისთვის.

2. ჩვენ ინსტრუმენტად გამოვიყენეთ სამი კითხვარი, რაც ჯამში 100 დებულებას სცდებოდა. კითხვარის ერთბაშად შევსება მოზარდებისგან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა, რამაც შესაძლოა, გარკვეულწილად გავლენა იქონია შედეგებზე.

მიუხედავად შეზღუდვებისა, ვფიქრობთ, რომ კვლევამ ღირებული შედეგები მოგვცა, რასაც აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა ხელს შეუწყობს ბულინგის თეორიული კონსტრუქტის გააზრებას და წვლილს შეიტანს მისი ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლაში. ვფიქრობთ, კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციებიც დაეხმარება ზოგადი განათლების პოლიტიკის დაგეგმვას საქართველოში.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Agnew, R. (1992). Foundation for a general strain theory of crime and delinquency. *Criminology*.
- Ahmed, E. &. (2005). Forgiveness, Shaming, Shame and Bullying. *Australian & New Zealand Journal of Criminology*, 298–323.
- Allensworth, D. (2011). Addressing the needs of the whole child: What public health can do to answer the education sector’s call for a stronger partnership. *Preventing Chronic Disease*.
- Anderson CA, S. A. (2010). *Violent video game effects on aggression, empathy, and prosocial behavior in eastern and western countries: a meta-analytic review. Psychol Bull.* .
- Anderson, Shibuya, Ihori, Swing, Bushman, Sakamoto, . . . Saleem. (2010). *Violent video game effects on aggression, empathy, and prosocial behavior in eastern and western countries: a meta-analytic review. Psychol Bull.*
- Arsenio, W. F., & Lemerise, E. A. (2002). Varieties of Childhood Bullying: Values, Emotion Processes, and Social Competence. *Social Development*, <https://doi.org/10.1111/1467-9507.00148>.
- ASCD. (2012, May 3-11). *Whole Child Virtual Conference - Moving from Implementation to Sustainability to Culture*. Retrieved from [www.ascd.org](http://www.ascd.org): <http://www.ascd.org/programs/The-Whole-Child/whole-child-virtual-conference.aspx>
- ASCD. (2015). *Whole School, Whole Community, Whole Child: A collaborative Approach to Learning and Health*. Alexandria.
- Askew, S. (1989). *Aggressive Behaviour in Boys: To what extent is it institutionalised?* .
- Bagwell, C., & Schmidt, M. (2011). *Friendships in Childhood and Adolescence*. The Guilford Press.
- Bandura, A. (1973). *Aggression: A social learning analysis*.
- Bandura, A. (1978). Social Learning Theory. *Journal of Communication*.
- Bandura, A. (1978. ). Social Learning Theory. . *Journal of Communication*.
- Bandura, A. (1983). Psychological mechanisms of aggression. *Aggression: Theoretical and empirical reviews*.
- Bauman, S. (2011). *Cyberbullying: What counselors need to know*. American Counseling Association.
- Belson, S. I. (2018). Reconsidering Maslow: The Role of the School Health Policy in a Holistic Approach to Child Health and Wellness. *Journal of Education & Social Policy*.

- Berkowitz, L. (1993). *Aggression: Its causes, consequences, and control*. . New York: McGraw-Hill.
- Beugelsdijk, S., & Smulders, S. (2003). *Bridging and Bonding Social Capital: Which type is good for economic growth?* Retrieved from Paper submitted to ERSA 2003: <http://www-sre.wu-wien.ac.at/ersa/ersaconfs/ersa03/cdrom/papers/517.pdf>
- Bohart, A. C. (2001). Humanistic psychology and positive psychology. *American Psychologist*.
- Bowers, L. (1994). Perceived Family Relationships of Bullies, Victims and Bully/victims in Middle Childhood. *Journal of Social and Personal Relationships*.
- Bowman, D. (2018). *The Sociology of Bullying: Prevention and Intervention Using a Three Themed Model*.
- Bradshaw, & Waasdrorp. (2015). The overlap between cyberbullying and traditional bullying. *Journal of Adolescent Health*, 483-488.
- Brighton, H., & Sayeed, L. (1990). The pervasiveness of Senior Management's View of the Cultural Gaps Within a Division. *Groups and Organization Studies*, 266-278.
- Bronfenbrenner, U. (1979). *The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design*. HARVARD UNIVERSITY PRESS.
- Bronfenbrenner, U. (1979). *The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design*. HARVARD UNIVERSITY PRESS.
- Campbell, & Bauman. (2018). *Reducing Cyberbullying at schools*.
- Carlsmith JM, A. C. (1979). Ambient Temperature and the Occurrence of Collective Violence: A New Analysis. *Journal of Personality and Social Psychology*.
- Chang, F. C. (2013). Relationships among cyberbullying, school bullying, and mental health in Taiwanese adolescents. . *Journal of School Health*.
- Chester, & DeWall. (2018). *Personality correlates of revenge-seeking: Multidimensional links to physical aggression, impulsivity, and aggressive pleasure. Aggress Behav*.
- Chester, D., & DeWall, C. (2018). *Personality correlates of revenge-seeking: Multidimensional links to physical aggression, impulsivity, and aggressive pleasure. Aggress Behav*.
- Cowie, H. (1995). Approaches to peer support: befriending, counselling and mediation. *Young Minds Newsletter*.
- Craig, G. J. (2001). *Human Development*. Upper Saddle River, N.J. : Prentice Hall,.
- Cullingford, C. (1995). Children's perceptions of victims and bullies. *Education*.
- dictionary.apa.org. (n.d.). *dictionary.apa.org*. Retrieved from <https://dictionary.apa.org/aggression>



- DuFour, R. P. (1990). *Clear Vision for Successful Leadership*. National Association of Secondary School Principals Bulletin.
- Duke, D. (1990). Setting Goals for Professional Development. *Education Leadership*, 71-75.
- Duska, R. (1975). *Moral Development: A Guide to Piaget and Kohlberg*.
- Erikson, E. H. (1993). *Childhood and Society*.
- Ettekal, I. (2020). Development of aggressive-victims from childhood through adolescence. *Development and Psychopathology*.
- Evans, C., & Smokowski, P. (2016). Theoretical Explanations for Bullying in School: How Ecological Processes Propagate Perpetration and Victimization. *Child and Adolescent Social Work Journal*.
- Farrington, D., & Ttofi, M. (2009). School-based programs to reduce bullying and victimization. *Campbell Systematic Reviews*.
- Ferguson, C. J. (2012). Paradigm change in aggression research: The time has come to retire the general aggression model. *Aggression and Violent Behavior*, 220–228.
- Freedman, J. (1975). *Crowding and Behavior*. San Francisco.
- Gaffney, H., Farrington, D. P., & Ttofi, M. M. (2019). Examining the Effectiveness of School-Bullying Intervention Programs Globally. *International Journal of Bullying Prevention*.
- Gegehr, C. (2001). Cognitive - behavioral theory. In & N. P. Lehmann, *Theoretical perspectives for direct social work practice, a generalist-eclectic approach* ( pp. 165-182). New York: Springer Publishing.
- Gendron B, W. K. (2011). An analysis of bullying among students within schools. *Journal of School Violence*, 150-164.
- Goldweber, A., Waasdorp, T., & Bradshaw, C. (2012). Examining Associations Between Race, Urbanicity, and Patterns of Bullying Involvement. *Journal of Youth and Adolescence*.
- Granic, I., & Patterson, G. (2006). Toward a comprehensive model of antisocial development: A dynamic systems approach. *Psychological Review* 113, 101–131. Retrieved from <https://psycnet.apa.org/doiLanding?doi=10.1037%2F0033-295X.113.1.101>
- Guerra, K., Williams, & Nancy. (2007). Prevalence and Predictors of Internet Bullying. *Journal of Adolescent Health*, S14-S21.
- Hammond, Z. (2014). *Culturally Responsive Teaching and The Brain: Promoting Authentic Engagement and Rigor Among Culturally and Linguistically Diverse Students*. Corwin.
- Harris, J. R. (1998 / 2009). *The Nurture Assumption: Why Children Turn Out the Way They Do*. New York: Free Press.

